# ქართული ენა

# 11

სახელმძღვანელო გრიფირებულია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2013

ქართული ენის მეთერთმეტე დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისაგან კომპაქტ დისკთან ერთად.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში.

ავტორები: მაია მელიქიძე
თინათინ ცერაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
დალი გვენცაძე-კაკაბაძე

მხატვარი: მაკა ჯებირაშვილი

ფოტოგრაფი: გელა ზედიანაშვილი

დიზაინერ - დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

# სარჩევი


პირველი ნაბიჯები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4-51 გვ.

თემა 1 – ცხოვრება ქუჩაში

1. მოხეტიალე ბავშვები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 52-62 გვ.
2. „პატარა მაწანწალა“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63-74 გვ.
3. უკეთესი მსოფლიო ბავშვებს! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 74-81 გვ.
4. წაკითხულის გააზრება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 82 გვ.

თემა 2 – ადამიანი და გარემო

1. ეკოლოგია და ეკოლოგიური საფრთხეები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83-93 გვ.
2. „ბიოლოგიის საუკუნე“. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 94-100 გვ.
3. ჩვენ ვიცავთ ბუნებას! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101-109 გვ.
4. წაკითხულის გააზრება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 109-113 გვ.

თემა 3 – მომსახურება

1. ფული, ფული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 114-124 გვ.
2. ბანკები და გადასახადები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 125-129 გვ.
3. დაზღვევა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 130-136 გვ.
4. წაკითხულის გააზრება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 136-137 გვ.

თემა 4 – მისტიკა

1. მითი თუ სინამდვილე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 138-145 გვ.
2. ცრურწმენები და ფობიები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 146-154 გვ.
3. უცხოპლანეტელები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 154-167 გვ.

# პირველი ნაბიჯები

## ეს ჩემი ცხოვრებაა!

1. **წაიკითხე და დააკავშირე წიგნში მოცემულ შესაბამის დოკუმენტთან (საბუთთან) (გვ 4.). მიუწერე სათანადო ნომერი.**

   ა. მკითხველის ბილეთი ________ გ. პირადობის მოწმობა ________
   ბ. სტუდბილეთი ________ დ. სავიზიტო ბარათი ________

2. **უპასუხე შეკითხვებს მოცემულ ბარათებზე (საბუთებზე) დაყრდნობით.**

   ა. ვის ეკუთვნის:

   1. სტუდბილეთი? ________________________________
   2. მკითხველის ბილეთი? ______________________
   3. პირადობის მოწმობა? ______________________

   ბ. რომელ წელს არის გაცემული? (ჩაწერე სიტყვიერად)

   1. სტუდბილეთი? ________________________________________________________________
   2. მკითხველის ბილეთი? ________________________________________________________
   3. პირადობის მოწმობა? ________________________________________________________

3. **შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

   I. **— ვერ შეგიშვებ, შენს ბილეთს**

   ა. დრო გაუვიდა;
   ბ. ვადა გაუვიდა;
   გ. ვადა გაუჩერდა.

   II. **– ჩემს ბილეთს ვადა გაუვიდა,**

   ა. ბილეთის გაცემა მინდა;
   ბ. ბილეთის მიღება მინდა;
   გ. ბილეთის განახლება მინდა.

4. **შეავსე ფრაზებში გამოტოვებული ადგილები.**

   ა. – შენს ბილეთს ვადა გაუვიდა.

   – სად უნდა ______________________ ბილეთი?

   ბ. – ახლა შესვენებაა, ცოტა ხანს მოცდა ____________________.

   გ. – აქ __________________ პირადობის მოწმობებს?

**5. ჩაწერე ყველა შესაძლო ვარიანტი. წაიკითხე და შეადარე.**

*აღება გასვლა განახლება გაცემა ამოწურვა*

ბილეთის ______________________________________________

მოწმობის ______________________________________________

თანხის ______________________________________________

ვადის ______________________________________________

**6. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

I. **– შენც ექვს ნომერს ელოდები?**

ა. კი, საეჭვოდ იგვიანებს;

ბ. არა, უკვე იგვიანებს;

გ. კი, მაგრამ საეჭვოდ იგვიანებს.

II. **– დიდი ხანია, ელოდები?**

ა. 15 წუთი მაინც იქნება, რაც ველოდები;

ბ. კი, 15 წუთს ველოდები;

გ. არა, დიდი ხანია, ველოდები.

III. **– გინდა, ეს შევუკვეთოთ?**

ა. მე მგონი, არ შევუკვეთეთ.

ბ. რატომაც არა, მოდი, შევუკვეთოთ!

გ. არა, მოდი შევუკვეთოთ!

**7. ამოწერე ხაზგასმული ზმნები მოსწავლის წიგნში მოცემული რეპლიკებიდან (გვ.5, №5) და შეუწყვე პირები. მიუთითე, რომელია სუბიექტი (S) და რომელი – ობიექტი (O). დაასახელე, როგორი ზმნებია – ვინიანი თუ მანიანი.**

S O

**ნიმუში:** *გიყვარს – შენ ის*

1. ______________________________
2. ______________________________
3. ______________________________
4. ______________________________
5. ______________________________
6. ______________________________
7. ______________________________
8. ______________________________
9. ______________________________

**1. დაუბრუნდი წინა დავალებას და ნაცვალსახელების ნაცვლად ჩაწერე სათანადო არსებითი სახელები ტექსტების მიხედვით. მიუწერე, რომელი ბრუნვაა და წაიკითხე.**

1. ______________________________
2. ______________________________
3. ______________________________
4. ______________________________
5. ______________________________
6. ______________________________
7. ______________________________
8. ______________________________
9. ______________________________

**2. წაიკითხე მოცემული ფრაზები და შეასრულე დავალებები.**

I. დააკავშირე ფრაზები შესაბამის პიროვნებებთან. შენი აზრით, რომელი ფრაზა რომელს ეკუთვნის? მიუწერე სავარაუდო მთქმელის ნომერი. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.

1



2





3



**ა.** გამუდმებით მარტო ვარ. ________

**ბ.** დილაობით ყოველთვის ვვარჯიშობ. ________

**გ.** უკვე მომბეზრდა, ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. ________

**დ.** ვერასოდეს ვახერხებ ფეხით სეირნობას. ________

**ე.** ძალიან ცოტა დრო მაქვს დასვენებისთვის. ________

**ვ.** ძალიან მინდა, შევცვალო ჩემი გრაფიკი. ________

**ზ.** აღარ ვიცი, დრო რით გავიყვანო. ________

**თ.** მომბეზრდა სულ ერთი და იმავეს კეთება. ________

**ი.** დავიღალე ამდენი უსაქმურობით. ________

**კ.** როგორც წესი, ვცდილობ, საკუთარ თავს მეტი დრო დავუთმო. ________

**ლ.** ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მსურს. ________

II. დააკვირდი ხაზგასმულ სიტყვებს და მიუთითე, რით ჰგავს ისინი ერთმანეთს.

ა. გამოხატავენ მოქმედების დროს;
ბ. მიუთითებენ მოქმედების სიხშირეზე;
გ. გამოხატავენ დამოკიდებულებას.

III. დაუბრუნდი წინადადებებს და შემოხაზე, რომელ წინადადებაში ჩანს საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილება და რატომ?

IV. თავიდან დააკვირდი სურათებს, გამოიყენე მოცემული სიტყვები და დაასახელე, ვინ როგორ გამოიყურება.

დაღლილი ბედნიერი მოწყენილი შეწუხებული
დასვენებული გაბრაზებული მხიარული

V. განმარტე, როგორ გესმის სიტყვები:

ა. დრო რით გავიყვანო, ანუ: ______

ბ. საკუთარ თავს მეტი დრო დავუთმო, ანუ: ______

**3. გამოიყენე მოცემული ზედსართავები და შეასრულე დავალებები.**

შრომისმოყვარე გულჩათხრობილი არაკომუნიკაბელური აქტიური ამბიციური
გულახდილი მეგობრული მოსიყვარულე მხიარული თამამი ემოციური
უცნაური ხიფათიანი ქარაფშუტა თავშეკავებული ცელქი

ა. წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის ზედსართავებთან.

ადამიანი:

1. რომელიც თავის თავშია ჩაკეტილი. ______
2. რომელსაც სხვებთან ურთიერთობა უჭირს. ______
3. რომელიც თავის აზრებს, გრძნობებს არ მალავს. ______
4. რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ______
5. რომელიც თავისუფლად, ლაღად მოქმედებს. ______
6. რომელიც მუდმივად საფრთხეში, განსაცდელში ვარდება. ______
7. რომელიც არასერიოზულად იქცევა. ______
8. რომელიც მეტისმეტად თამამი და შეუპოვარია (ითქმის გოგოზე). ______
9. რომელიც ძალიან მოუსვენარი და მოძრავია (ითქმის უმეტესად ბავშვზე). ______



RVEULI_Done-11_Qartuli _ 7

**ბ.** მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის ზედსართავი და ამოწერე.

1. გულჩახვეული, გულჩათხრობილი, ______________________
2. გულწრფელი, გულღია, ______________________
3. გაბედული, მოურიდებელი, ______________________
4. თავქარიანი, ცერცეტი, ______________________
5. თავდაჭერილი, ______________________
6. ანცი, დაუდეგარი, ______________________

**გ.** დაახარისხე ზედსართავი სახელები დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

**ა. დადებითი:** ______________________

______________________

______________________

______________________

**ბ. უარყოფითი:** ______________________

______________________

______________________

______________________

**დ.** დააჯგუფე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით:

- მსგავსი მნიშვნელობების მქონე (სინონიმები)

______________________

______________________

______________________

- საპირისპირო მნიშვნელობების მქონე (ანტონიმები)

______________________

______________________

______________________

**1. შეცვალე მოცემული ფრაზები ნიმუშის მიხედვით.**

I. **ნიმუში:** *სპორტის შემთხვევაში* ⟶ *თუ (როცა) სპორტი მაქვს, მაშინ*

*ცუდად თამაშის შემთხვევაში* ⟶ *თუ (როცა) ცუდად ვთამაშობ, მაშინ*

ა. კარგად გამოძინების შემთხვევაში → ______________________________

ბ. ცუდად ყოფნის შემთხვევაში → ______________________________

გ. მეგობრებთან კამათის შემთხვევაში → ______________________________

დ. კარგად მეცადინეობის შემთხვევაში → ______________________________

ე. გვიან დაძინების შემთხვევაში → ______________________________

ვ. გაკვეთილების შემთხვევაში → ______________________________

ზ. რეპეტიციების შემთხვევაში → ______________________________

II. **ნიმუში:** *თუ (როცა) ხასიათზე არ ვარ, მაშინ → უხასიათობის შემთხვევაში*

*თუ (როცა) წიგნს ვკითხულობ, მაშინ → წიგნის კითხვის შემთხვევაში*

ა. თუ სიცხე მაქვს, მაშინ → ______________________________

ბ. როცა დაძაბული გრაფიკი მაქვს, მაშინ → ______________________________

გ. როცა ეზოში ვთამაშობ, მაშინ → ______________________________

დ. როცა თავი მტკივა, მაშინ → ______________________________

ე. თუ ბევრი დავალება მაქვს, მაშინ → ______________________________

ვ. თუ ტელევიზორს ვუყურებ, მაშინ → ______________________________

**2. გამოიყენე ტექსტში მოცემული ინფორმაცია რუსკა მაყაშვილის შესახებ (მოსწ. წიგნი, გვ. 6) და უპასუხე შეკითხვებს სრულად. ყურადღება მიაქციე შეკითხვის ფორმას.**

I.

ა. რით იწყება მისი დილა?

ბ. საიდან ჩანს, რომ დატვირთული გრაფიკი აქვს?

გ. რით მგზავრობს ის ძირითადად?

დ. რით მთავრდება მისი დღე?

ე. რას აკეთებს ზაფხულში?

ვ. როგორია ზაფხულში მისი ცხოვრების რიტმი?

II.

ა. რა შემთხვევაში დგება ის ჩვეულებრივზე ადრე?

ბ. რა შემთხვევაში გრძნობს თავს საშინლად?

გ. თუ დატვირთული გრაფიკი აქვს, მაშინ რით მგზავრობს ის?

დ. თუ დაღლილი ბრუნდება, მაშინ რას აკეთებს ის საღამოს?

ე. რას აკეთებს ის კარგად გამოძინების შემთხვევაში?



RVEULI_Done-11_Qartuli _ 9

**1. ყურადღება მიაქციე კითხვის ფორმულირებას და უპასუხე შეკითხვებს შენ შესახებ.**

| რა შემთხვევაში: | რას აკეთებ მაშინ, როცა (თუ): |
|---|---|
| 1. დგები ცუდ ხასიათზე?<br>2. იგვიანებ გაკვეთილზე?<br>3. დგები გვიან?<br>4. ამბობ უარს გართობაზე / ჭამაზე / სკოლაში წასვლაზე / ადრე დაძინებაზე?<br>5. გრძნობ თავს კარგად? | 1. ცუდ ხასიათზე ხარ?<br>2. გაკვეთილზე იგვიანებ?<br>3. გაბრაზებენ?<br>4. არ გიშვებენ სასეირნოდ?<br>5. სკოლაში წასვლა არ გინდა?<br>6. კომპიუტერთან დაჯდომას გიკრძალავენ? |

I.
1. ______
2. ______
3. ______
4. ______
5. ______

II.
1. ______
2. ______
3. ______
4. ______
5. ______
6. ______

**2. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ.**

**3. დაწერე, რით იწყება და როგორ გრძელდება შენი ერთი ჩვეულებრივი დღე და გააცანი კლასელებს.**

**4. მოისმინე კლასელების ნაწერები და განსაზღვრე, ყოველდღიური ცხოვრების როგორი რიტმი აქვთ მათ.**

**5. მოცემული სიტყვებიდან შეარჩიე შესაფერისი ვარიანტი და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები სათანადო ფორმით.**

დეპრესია, შფოთვა, საკუთარ თავში ჩაკეტვა, აგრესია, მეხსიერების დაკარგვა, შოკი, არაკომფორტული, გაღიზიანება, სიბრაზე, უძილობა, უმადობა, დისკომფორტი.

ა. ამ კაბაში თავს კარგად ვერ გრძნობს. მას აქვს ______________________, თავს გრძნობს ______________________.

ბ. მას არავისთან არ სურს ურთიერთობა. ის ______________________ ______________, მას აქვს ______________________

გ. მთელი კვირაა, ჩემი შვილი არაფერს ჭამს. მას სჭირს ______________________

დ. მის ძმას ყველაფერი დაავიწყდა, არაფერი ახსოვს. მან ______________________ ______________________

ე. ეს ბიჭი ყველას საშინლად უყვირის და ეჩხუბება. ის არის ______________________

ვ. ვერ ისვენებს, მუდმივად რაღაცაზე წუხს. ის ძალიან ______________________ ______________________.

**6. შეავსე ცხრილი შენი და შენი მეწყვილის პასუხებით და გააცანი კლასელებს.**

| | **შენ** | **შენი მეწყვილე** |
|---|---|---|
| 1. ხშირად კარგავ წონასწორობას? | | |
| 2. ხშირად გჭირს თუ არა უძილობა, უმადობა? | | |
| 3. როდის არ გაქვს მადა? | | |
| 4. რა შემთხვევაში ვერ იძინებ ხოლმე? | | |
| 5. ხარ თუ არა აგრესიული? | | |
| 6. რა შემთხვევაში ხდები აგრესიული? | | |
| 7. ხშირად ვარდები თუ არა დეპრესიაში? | | |
| 8. ხშირად განიცდი თუ არა დისკომფორტს? | | |
| 9. რა შემთხვევაში გრძნობ თავს არაკომფორტულ მდგომარეობაში? | | |
| 10. ღიზიანდები თუ არა ადვილად? | | |
| 11. რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად? | | |

**7. ჩაწერე ფრჩხილებში მოცემული სახელები ხაზგასმული ნაცვალსახელების ნაცვლად. ყურადღება მიაქციე ნაცვალსახელის ბრუნვასა და რიცხვს.**

ა. **მისი** (______________________) განმარტებით, სტრესი ორგანიზმის პასუხია წაყენებულ მოთხოვნაზე (*ჰანს სელიე*).

ბ. **მის** (______________________) დროს სისხლში დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა (*სტრესი*).

გ. ხანგრძლივ სტრესს შეუძლია **მათი** (______________________) გამოწვევა (*მძიმე დაავადება*).

დ. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს **ისინი** (______________________) (*ოჯახური კონფლიქტი*).

ე. ნეგატიური სტრესფაქტორები განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის **იმათ** (_________________________________), რომლებიც ამ ასაკში დიდი მგრძნობელობით გამოირჩევიან (*ის მოზარდი*).

ვ. **მას** (____________________) შეიძლება ჰქონდეს მკვეთრი **ისინი** (______________________), როდესაც აღნიშნავენ მის ნაკლს (*მოზარდი / რეაქცია*).

ზ. **ისინი** (________________________) გულჩათხრობილები და დეპრესიულები ხდებიან (*მოზარდი*).

**1. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. დაასახელე ხაზგასმული ნაცვალსახელების ბრუნვა და რიცხვი.

ბ. მოძებნე წინადადებებში ჩვენებითი ნაცვალსახელები და გაუსვი ქვეშ ხაზი. დაასახელე:

1. რომელ პირთან მყოფობას მიუთითებს?
2. რომელ ბრუნვაშია?

**2. გამოიყენე მოცემული სიტყვები, დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, ვინ რომელ ემოციას გამოხატავს? მიუთითე, ვინ რით გამოხატავს ამ ემოციას – მიმიკით თუ მოქმედებით?**

გაბრაზებას შიშს სიძულვილს აღშფოთებას მწუხარებას დაღლილობას
სასოწარკვეთილებას გაღიზიანებას მარტოობას აღფრთოვანებას
გაოცებას უკმაყოფილებას შურისძიებას გულგრილობას
გაკვირვებას სიხარულს




**3. დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ სიტყვებს და დააჯგუფე ისინი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.**

1. დადებითი: ____________________________________________
2. უარყოფითი: ____________________________________________
3. სინონიმები: ____________________________________________
4. ანტონიმები: ____________________________________________

**4. ამოწერე ტექსტიდან (მოსწ. წიგნი, გვ.7 , დავალება №2) მრავლობითში მდგარი სახელები და სწორად გაანაწილე ცხრილში.**

| | **ებ**იანი მარავლობითი | **ნართ**ანიანი მრავლობითი |
|---|---|---|
| **არსებითი სახელები** | | |
| **ზედსართავი სახელები** | | |

**5. დაუბრუნდი ცხრილს და შეასრულე მითითებები.**

I. დაასახელე, ცალკეული სახელის ბრუნვა და მიუთითე შესაბამისი ბრუნვის ნიშანი.

II. დაუბრუნდი ბრუნვებს:

1. გაგიჭირდა თუ არა კონკრეტული ბრუნვის დასახელება თანიანი მრავლობითის შემთხვევაში (მაგ. დაავადებულთა) და რატომ?
2. მოძებნე ტექსტში (მოსწ. წიგნი, გვ.7 ) შესაბამისი სიტყვა და კონტექსტის მიხედვით დაასახელე, რომელ ბრუნვაში დგას ის.

III. შეცვალე **ებ**იანი მრავლობითი **ნართ**ანიანით და პირიქით, **ნართ**ანიანი შეცვალე **ებ**იანით ცხრილშივე.

**ნიმუში:** სანგვინიკები → სანგვინიკნი
ტანადნი → ტანადები

**6. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

ხმელ-ხმელი ალერსიანი ქედმაღალი ხალისიანი ამაყი ტანადი

ა. დიდი და მოხდენილი ტანის მქონე ადამიანი. ______________________

ბ. კარგი გუნების, მხიარული განწყობის მქონე. ______________________

გ. ვინმეს ან რამის მიმართ ნაზი გრძნობის, სიყვარულის გამომხატველი. ______________________

დ. საკმაოდ გამხდარი ადამიანი. ______________________

ე. თავმომწონე, ამპარტავანი ადამიანი. ______________________

ვ. ადამიანი, რომელიც სხვებს ზემოდან დაჰყურებს. ______________________

**7. დაუბრუნდი ტექსტს (მოსწ. წიგნი, გვ. 7), ამოწერე ადამიანის *გარეგნობის, ხასიათის, თვისებების, მისი შინაგანი მდგომარეობის* გამომხატველი სიტყვები და სწორად გაანაწილე ცხრილში. იმუშავე მეწყვილესთან ერთად.**

| | |
|---|---|
| გარეგნობა | |
| ხასიათი/თვისება | |
| შინაგანი მდგომარეობა | |

**1. გამოიყენე ჰიპოკრატეს აღწერილობა (მოსწ. წიგნი, გვ.7 ), წაიკითხე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და განსაზღვრე თითოეულის ფსიქოლოგიური ტიპი. ჩაწერე, რომელია: სანგვინიკი, მელანქოლიკი, ქოლერიკი თუ ფლეგმატიკი.**

I. გარეგნულად არის წარმოსადეგი, მოხდენილი ტანის მქონე და ღონიერი. თავაზიანი, მხიარული და თბილია. არის კომუნიკაბელური, აქტიური და მოძრავი. ახასიათებს, აგრეთვე, მოუთმენლობა და სიზარმაცე. მართალია, ძლიერი და გაწონასწორებულია, თუმცა ხშირად დაუფიქრებლად იქცევა. უჭირს კონცენტრირება და კარგავს ხანგრძლივი სამუშაოს შესრულების უნარს.

II. არის ძლიერი და გაწონასწორებული, ხშირად პასიური და უმოძრაოა. ძალიან უყვარს სიმშვიდე და ძილი. არის მომთმენი, მიზანსწრაფული და, ამავე დროს, ჯიუტიც. არის შრომისმოყვარე, აქვს მოვალეობის გრძნობა, კონცენტრირების უნარი, თუმცა ხშირად უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

III. აგებულებით გამხდარი და წელში გამოყვანილია. არის მებრძოლი, ენერგიული და დაუზარელი. განსაკუთრებით ახასიათებს გამბედაობა და მიზანსწრაფულობა. ადვილად ამყარებს კონტაქტს სხვებთან, თუმცა თავისი აგრესიულობითა და თავშეუკავებლობით ხშირად იწვევს კონფლიქტებს. გულცივი და ამპარტავანია. ხშირად იცვლის გუნება-განწყობას. აქვს თვითშეფასების მაღალი უნარი. ნიჭიერია. განსაკუთრებით, ხელოვნება იტაცებს.

IV. ძირითადად, სულ სევდიანი და დარდიანია. ძალიან მგრძნობიარე და ემოციურია. აქვს ზედმეტად რბილი ხასიათი. ამჟღავნებს სხვების მიმართ კეთილგანწყობას. აქვს თანადგომისა და გულისხმიერების უნარი, თუმცა საკუთარ თავში ჩაკეტილია და ხშირად უჭირს სხვებთან კონტაქტის დამყარება. არის თვითკრიტიკული.

**2. შეავსე ცხრილი წინა დავალების მიხედვით. წაიკითხე და შეადარე სხვების მოსაზრებებს.**

| | გარეგნობა | დადებითი თვისებები | უარყოფითი თვისებები |
|---|---|---|---|
|  სანგვინიკი | | | |
|  მელანქოლიკი | | | |
|  ქოლერიკი | | | |
|  ფლეგმატიკი | | | |

**3. დაუბრუნდი ცხრილს. თავიდან გაეცანი იქ მოცემულ ინფორმაციას და შეასრულე მითითებები.**

- მონიშნე, თითოეული ფსიქოტიპიდან შენ რომელი გახასიათებს.
- დააკვირდი, რომელი ფსიქოლოგიური ტიპი ჭარბობს შენში და რომელი – არა.
- გააცანი კლასელებს შენი ფსიქოტიპი და გაამყარე ცალკეული მოსაზრება კონკრეტული მაგალითით.

**4. კარგად იცნობ თუ არა საკუთარ თავსა და შენს მეწყვილეს? შეავსე ცხრილი მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**

I. ცხრილის I და II სვეტებში მონიშნე ის უჯრები, რომლებიც, შენი აზრით, გახასიათებთ შენ და შენს მეწყვილეს.

| | შენი აზრით | | მეწყვ. აზრით | |
|---|---|---|---|---|
| | **შენ შესახებ** | **შენი მეწყვილის შესახებ** | **შენ შესახებ** | **საკუთარი თავის შესახებ** |
| 1. ადამიანებს შეუძლიათ, ადვილად მოგატყუონ. გულუბრყვილო | | | | |
| 2. ხშირად იცვლი მეგობრებს. | | | | |
| 3. გაღიზიანებს ერთფეროვანი ცხოვრება. | | | | |
| 4. არასოდეს ინტერესდები, რას ფიქრობენ სხვები შენ შესახებ. | | | | |
| 5. მუდმივად ეძებ პრობლემებს. | | | | |
| 6. იშვიათად ცდილობ ახალგაცნობილ ადამიანთან ახლო კონტაქტის დამყარებას. | | | | |
| 7. გიყვარს გულგახსნილი და მხიარული ადამიანები. | | | | |
| 8. გაურბიხარ ზედმეტ პრობლემებს. | | | | |
| 9. პატარა შენიშვნასაც კი ვერ იტან და მაშინვე ჩხუბზე გადადიხარ. | | | | |
| 10. ცდილობ, თავიდან აირიდო კონფლიქტები. | | | | |
| 11. ყველაფერი გულთან მიგაქვს, ადვილად გწყინს და ამის გამო თავს დაჩაგრულად მიიჩნევ. | | | | |
| 12. თავს გრძნობ გარიყულად. | | | | |

II. დაუბრუნდი ცხრილში მოცემულ ფრაზებს და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან ნიმუშის მიხედვით. ჩაწერე, როგორია.

~~გულუბრყვილო~~ ემოციური თავშეკავებული ცვალებადი კომუნიკაბელური ხიფათიანი ჩაკეტილი მხიარული ამბიციური გულჩათხრობილი თანშეუკავებელი გულგრილი თამამი გაწონასწორებული მშვიდი

III. მოუსმინე მეწყვილეს და მისი მოსაზრებები მონიშნე III და IV სვეტებში.

IV. შეადარე შენი და შენი მეწყვილის ვარიანტები ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა წაიკითხეთ და გააცანით ერთმანეთს.

V. ამოწერე ზმნები და შეუწყვე პირები. მიუთითე, რომელია სუბიექტი და გაუსვი ხაზი სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშანს ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| **ვინიანი ზმნები** | *ცდილობს ის (S) მას;* |
| **მანიანი ზმნები** | *შეუძლიათ მათ (S) ის;* |

**1. სწორად შეარჩიე ზმნა და ჩაწერე.**

ვეძებ/გავურბივარ; ვცდილობ; მაღიზიანებს; ვიცვლი; გადავდივარ; მიმაქვს; მივიჩნევ/ვგრძნობ.

ა. პრობლემებს ____

ბ. ერთფეროვნება ____

გ. თავს გარიყულად ____

დ. ყველაფერი გულთან ____

ე. კონტაქტის დამყარებას ____

ვ. ჩხუბზე ____

ზ. მეგობრებს ____

**2. ქვემოთ მოცემულია მხატვარ-კარიკატურისტის, ჰერლუფ ბიდსტრუპის, ნახატი, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა ადამიანის რეაქცია ერთსა და იმავე სიტუაციაში. გამოიყენე ნახატი და შეასრულე ნახატის ქვემოთ მოცემული მითითებები.**



*დააკონკრეტე სიტუაცია კითხვების დახმარებით:*

**ა.** ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის (ნაცნობები / უცნობები; მეგობრები.)

**ბ.** გამოიყენე მოცემული სიტყვები, დააკვირდი სიტუაციების დასაწყისებს და აღწერე ოთხივე სიტუაციაში მონაწილე ადამიანები.

მსუქანი მაღალი გამხდარი მელოტი ნახევრად მელოტი
ულვაშიანი ჩიბუხიანი ჰალსტუხიანი

**გ.** აღწერე სიტუაციების დასაწყისები: ვინ იჯდა სკამზე? სად დადო ქუდი? ვინ მოვიდა შემდეგ? რა ქნა მან შემთხვევით?

**დ.** რა მოხდა შემდეგ? შეადარე ოთხივე სიტუაციაში ქუდების პატრონების რეაქციები ერთმანეთს: ვის არ ჰქონია რეაქცია საერთოდ? ვინ განაწყენდა? ვინ გაბრაზდა საშინლად და ვინ გამხიარულდა?

**ე.** გამოიყენე მოცემული სიტყვები და დაახასიათე ქუდების პატრონები: ვინ როგორია?

მგრძნობიარე ჩუმი უემოციო აგრესიული იმპულსური მხიარული გულგრილი
ლაღი შეწუხებული ბრაზიანი მშვიდი გულჩათხრობილი წყნარი

ვ. შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები (გამოიყენე როგორც გარეგნობის, ისე თვისების აღმნიშვნელი სიტყვები). წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.

1. ________________ და ________________ კაცი უყურებს ქუდს და ტირის.
2. ________________ და ________________ კაცი გულგრილად იხურავს ქუდს და აგრძელებს მოწევას.
3. ________________ და ________________ კაცი იცინის.
4. ________________ და ________________ კაცი ღრიალებს.

## მოდა და სტილი

**1. შეასრულე წიგნში მოცემული მე-5 დავალება (გვ. 8). გაიხსენე ბავშვების საუბარი და შეავსე ცხრილი მათი პასუხებით. რას ფიქრობენ ისინი მოდის შესახებ? თავიდან მოისმინე და შეამოწმე.**

| | I მოსაუბრე | II მოსაუბრე | III მოსაუბრე |
|---|---|---|---|
| რა არის მოდა? | | | |
| რას ნიშნავს „მოდურად ჩაცმა“? | | | |
| იცვლება თუ არა მოდა? | | | |
| რომელი სტილი მოსწონს? | | | |
| აქვს თუ არა საკუთარი სტილი? | | | |
| რა მოსწონს და რა – არა თანატოლთა ჩაცმულობაში და რატომ? | | | |

**2. გამოიყენე ცხრილი, დაარქვი ბავშვებს სახელები და მოკლედ აღადგინე მათი რეპლიკები. ყურადღება მიაქციე ფრაზების სისწორეს.**

I. ____________ *აზრით, მოდა არის* ________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

II. *როგორც* ________________ *ამბობს,* ____________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

III. ________________ *მიაჩნია, რომ* _______________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

**3.** 🎧 **თავიდან მოისმინე და შეამოწმე. გაასწორე ენობრივი შეცდომები.**

**4.** **აირჩიე და დაასრულე წინადადებები.**

I. როგორც უნდა / რაც უნდა
- ა. ზოგი იმას იცვამს, ____________________________
- ბ. ზოგი ისე იცვამს, ____________________________

II. როგორც მინდა / რაც მინდა
- ა. ვცდილობ, ისე ჩავიცვა, ____________________________
- ბ. ვცდილობ, ის ჩავიცვა, ____________________________

III. რაც მე მომწონს / როგორც მე მომწონს
- ა. მთავარია, ისე მეცვას, ____________________________
- ბ. მთავარია, ის მეცვას, ____________________________

**5.** **წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. რა იგულისხმება მოცემულ ფრაზაში?**

ა. ეს ფეხსაცმელი მიჭერს.
1. ფეხსაცმელი არის მეტისმეტად დიდი;
2. ფეხსაცმელი არის ოდნავ დიდი;
3. ფეხსაცმელი არის ძალიან პატარა.

ბ. ის ბიჭი „მაგრად“ გამოიყურება.
1. ის ძალიან ლამაზია;
2. მას მოხდენილად აცვია;
3. ის კარგად ხედავს.



RVEULI_Done-11_Qartuli _ 19

გ. ეს კაბა ჩემს ტანზეა შეკერილი.
   1. ჩემთვის შეკერეს;
   2. ისეთია, როგორიც მინდა;
   3. ზუსტად ჩემი ზომაა.

დ. მე გარდერობი უნდა განვაახლო.
   1. ტანსაცმლის ახალი კარადა უნდა ვიყიდო;
   2. ახალი ტანსაცმელი უნდა ჩავიცვა;
   3. ძველი ტანსაცმელი ახლით უნდა შევცვალო.

**1. არის თუ არა განსხვავებული დამოკიდებულება გოგონებსა და ბიჭებს შორის? უპასუხე შეკითხვებს მეწყვილესთან ერთად და გააცანი თქვენი ვერსიები კლასელებს.**

ა. რა დროს უთმობენ ისინი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას?

ბ. რამდენად მთავარია მათთვის ის, თუ რა აცვიათ?

გ. რას ან ვის უწევენ ისინი ანგარიშს ტანსაცმლის შერჩევისას?

დ. ვინ რა სიხშირით იცვლის ჩაცმის სტილს?

| გოგონები | ბიჭები |
|---|---|
| | |

**2. წაიკითხე და შეავსე ტექსტებში გამოტოვებული ადგილები. შეასრულე მოცემული მითითებები.**

**I.** ა. მუდმივად ვწუწუნებ; ბ. ხშირად ჩაცმაც; გ. რა ჩავიცვა; დ. ვიწყებ არჩევას

*ჩემი ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, (1) ________________. გარდერობიდან ვყრი ყველაფერს და (2) ________________. უამრავი ტანსაცმელი მაქვს, მაგრამ (3) ________________. ხან ეს არ მომწონს, ხან – ის. არ მიყვარს ერთი და იმავეს (4) ________________.*

ა. უპასუხე შეკითხვებს.

   1. რას ნიშნავს აქ სიტყვა „გარდერობი“? ________________
   2. რის არჩევას იწყებს რეპლიკის ავტორი? ________________
   3. რატომ წუწუნებს ის მუდმივად? ________________

ბ. არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორი პრეტენზიული? საიდან ჩანს? ამოწერე შესაბამისი ფრაზა: ________________

________________

**II.** ა. ჩემთვის სულერთია; ბ. მნიშვნელობა არ აქვს; გ. ხელში რაც მომხვდება

*წინასწარ არასოდეს ვფიქრობ, რა ჩავიცვა. (1) ______________________, იმას ვიცვამ. (2) ______________________, გარეთ როგორი ამინდია ან როგორი განწყობით ვიღვიძებ. რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ამა თუ იმ სამოსთან არ მაქვს. (3) ______________________, რა იქნება, მთავარია, სუფთა იყოს და თავი კომფორტულად ვიგრძნო. უფრო დიდ ყურადღებას ფეხსაცმელს ვანიჭებ.*

**ა.** უპასუხე შეკითხვებს.

1. არჩევს თუ არა რეპლიკის ავტორი წინასწარ ტანსაცმელს და რატომ? ______________________

2. რას ანიჭებს ის განსაკუთრებულ ყურადღებას? ______________________

**ბ.** არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორისათვის საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა მთავარი? საიდან ჩანს? ______________________

**III.** ა. იმის მიხედვით ვუხამებ; ბ. უპირატესობას ვანიჭებ; გ. რომ უნდა ჩავიცვა

*ერთადერთი, რაც მყარად ვიცი, (1) ______________________, ჯინსებია. ზედა ჩასაცმელს კი (2) ______________________, რა განწყობაზეც ვარ. მაქვს საყვარელი სამოსი, რომელსაც (3) ______________________. ძალიან მიყვარს კუბოკრული პერანგები. სხვადასხვა ფერის უამრავი კუბოკრული პერანგი მაქვს. ასე რომ, დიდ დროს არც ამაზე ვხარჯავ.*

**ა.** უპასუხე შეკითხვებს.

1. რას არჩევს და რას – არა ამ რეპლიკის ავტორი? ______________________

2. რატომ არ კარგავს დიდ დროს ჩაცმაზე? ______________________

**ბ.** აქვს თუ არა მას საკუთარი სტილი? საიდან ჩანს? ______________________

**IV.** ა. მოდას არასოდეს მივყვები; ბ. მეორე დღის ჩასაცმელს; გ. რაც მომწონს და რაც მიხდება; დ. გარეთ როგორი ამინდია.

*(1) ______________________ ყოველთვის წინა დღით, დაწოლამდე, ვამზადებ. დილით კი არჩევანს იმის მიხედვით ვცვლი, (2) ______________________. მიუხედავად იმისა, რომ მიყვარს კარგად ჩაცმა, (3) ______________________. ვიცვამ იმას, (4) ______________________. სტილს იშვიათად ვიცვლი.*

ა. უპასუხე შეკითხვებს.

1. მიჰყვება თუ არა მოდას რეპლიკის ავტორი? ______________________________

2. რაზეა ის დამოკიდებული ტანსაცმლის შერჩევისას? ______________________

ბ. არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორი მოწესრიგებული და საიდან ჩანს ეს? __________

______________________________________________________________________

**1. დაუბრუნდი ტექსტებს და შეადარე ერთმანეთს.**

ა. შენი აზრით, რომელი რეპლიკის ავტორია გოგო და რომლისა – ბიჭი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

ბ. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა. ჩაწერე, რა ჰქვიათ.

I რეპლიკა: _____________ II რეპლიკა: _____________

III რეპლიკა: _____________ IV რეპლიკა: _____________

გ. როგორია თითოეული რეპლიკის ავტორი, შენი აზრით – ვინ ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე და ვინ – არა, ვის აქვს საკუთარი სტილი და ვის – არა და ა.შ. გამოიყენე მოცემული სიტყვები, დაახასიათე ისინი და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითით.

| მოწესრიგებული / მოუწესრიგებელი; პრეტენზიული / უპრეტენზიო; კმაყოფილო / უკმაყოფილი; მომთხოვნი; განსაკუთრებული |
|---|

**ნიმუში:** სოფო ძალიან ... იმიტომ, რომ ის ...;
გაგა არ არის ... ეს იქიდან ჩანს, რომ ის ...

| | |
|---|---|
| **სოფო** | |
| **რეზო** | |
| **მაკა** | |
| **გაგა** | |

დ. რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან? მოძებნე მსგავსება და განსხვავება მათ შორის და დაასახელე.

ე. წაიკითხე და დააკავშირე კონკრეტულ ბავშვთან. ჩაწერე, ვინ არის და შეადარე შენს პოზიციებს.

*I. მას გამოკვეთილი სტილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად პრეტენზიულია და ნაკლებად მომთხოვნიც, მისთვის სულერთი არ არის, რას ჩაიცვამს. უყვარს ჩაცმა და აქვს გამორჩეული სამოსიც.* ____________________

*II. ის ძალიან მოწესრიგებულია. ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე, თუმცა ნაკლებად პრეტენზიულია და ნაკლებად მომთხოვნიც. იცვამს საკუთარი გემოვნებით. მოდას არ მიჰყვება, აქვს თავისი სტილი.* ____________________

III. *ძალიან მომთხოვნი და პრეტენზიულია. მოუწესრიგებელია და მუდამ უკმაყოფილო. მართალია, ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე, თუმცა არასოდეს იცის, რა უნდა. არ აქვს საკუთარი სტილი. მუდმივად ეძებს სიახლეს.* ___________

IV. *უპრეტენზიოა. არ აქვს საკუთარი სტილი. არ არის მომთხოვნი. არ ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე განსაკუთრებულად. თანახმაა, ყველაფერი ჩაიცვას, მთავარია, თავისუფლად გრძნობდეს თავს იმ ტანსაცმელში. განსაკუთრებული დამოკიდებულება მხოლოდ ფეხსაცმელთან აქვს.* _______________

გ. შენი აზრით, შესაძლებელია თუ არა მოცემულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მათი ფსიქოტიპის განსაზღვრა? დაწერე მეწყვილესთან ერთად კონკრეტული ბავშვის ფსიქოტიპი და გააცანი სხვებს. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

**2. დაწერე, შენ როგორ იქცევი ყოველ დილით და წაიკითხე.**

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

**3. შეავსე ცხრილი შენი და შენი მეწყვილის პასუხებით.**

| | შენი პასუხი | შენი მეწყვილის პასუხი |
|---|---|---|
| 1. ფიქრობ თუ არა შენს იმიჯზე?<br>2. ფიქრობ, რომ ჩაცმულობამ შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს სხვებზე?<br>3. რას ნიშნავს შენთვის „გემოვნებით ჩაცმა“?<br>4. არის თუ არა გემოვნებით ჩაცმა საკუთარი თავის პატივისცემა?<br>5. გაქვს თუ არა საკუთარი სტილი?<br>6. იცვლი თუ არა სტილს და რამდენად ხშირად იცვლი მას?<br>7. ახდენს თუ არა გარეგნობა (ჩაცმულობა) შენს ცხოვრებაზე გავლენას? | | |

**4. შეადარე ერთმანეთს ორივე პასუხი და გააცანი კლასელებს.**

**ნიმუში:** ჩვენ ორივე... (რას ვაკეთებთ? – ვფიქრობთ, რომ... // ვიცვლით/არ ვიცვლით...//ვზრუნავთ/არ ვზრუნავთ...)
მე ხშირად/არასოდეს... / გიორგი კი, პირიქით,...

**1. წაიკითხე მოცემული წინადადებები და შეადარე ერთმანეთს.**

- დაასახელე, რა განსხვავებაა მათ შორის?
- ხაზი გაუსვი იმ სიტყვებს, რომლებიც ამ განსხვავებებს იწვევს.

**ა.** მოდა ძალიან შეიცვალა.
**ბ.** მოდა შესამჩნევად შეიცვალა.
**გ.** მოდა თითქმის არ შეცვლილა.
**დ.** მოდა ხშირად იცვლება ხოლმე.
**ე.** მოდა ოდნავ შეიცვალა.

**ა.** ის დროდადრო ცუდად გამოიყურება.
**ბ.** ის საერთოდ არ გამოიყურება კარგად.
**გ.** ის მეტისმეტად ცუდად გამოიყურება.
**დ.** ის არც ისე კარგად გამოიყურება.
**ე.** ის დღეს კარგად გამოიყურება.

- წაიკითხე და დააკავშირე წინადადებებთან. რაზე მიუთითებენ ხაზგასმული სიტყვები. მიუწერე შესაბამისი ასო.

ის მიუთითებს:

მოქმედების სიხშირეზე: ______________________

მოქმედების ვითარებაზე: ______________________

მოქმედების დროზე: ______________________

**2. გაეცანი მოცემულ პოზიციებს და შეასრულე მითითებები წერილობით.**

**ა.** მოდა არის ის, რაც გიხდება.
**ბ.** ყველამ ის უნდა ჩაიცვას, რაც მას სურს.
**გ.** მას, ვინც ბრმად მიჰყვება მოდას, გემოვნება არ აქვს.
**დ.** ყოველთვის შეიძლება გეცვას მოდურად ისე, რომ საკუთარი სტილი არ დაკარგო.

I. უარყავი პირველი დებულება სათანადო არგუმენტებით.

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

II. დაასაბუთე მეორე დებულება სათანადო არგუმენტებით.

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

III. წარმოადგინე ორივე პოზიცია (უარყოფა და დასაბუთება) მესამე დებულების გარშემო შესაბამისი არგუმენტებით.

IV. გამოხატე შენი რეალური პოზიცია მეოთხე დებულებასთან დაკავშირებით და დაასაბუთე.

**3. ამოწერე ტექსტიდან შესაბამისი ინფორმაცია და გააცანი კლასელებს.**



**1. გამოიყენე წინა დავალება და აღწერე კოკო შანელი.**

**2. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე მოცემული დავალებები.**

I. წაიკითხე I აბზაცი და დააკავშირე ფოტოებთან.

II. უპასუხე შეკითხვებს I და II აბზაცების მიხედვით.

ა. რას იცვამდა კოკო შანელი:

1. ყოველდღიურად? ______________________________

______________________________

2. წვეულებებსა და საღამოებზე? ______________________________

ბ. რომელ აქსესუარებზე თქვა მან უარი? ______________________________

______________________________

გ. რომელ აქსესუარებს მიანიჭა მან უპირატესობა? ______________________________

______________________________

დ. რის გამო შეცვალა მოდა? დაასახელე მიზეზები. ______________________________

______________________________

______________________________

ე. როგორ ფიქრობ, უჭირდა თუ არა მას მატერიალურად თავისი მოღვაწეობის დასაწყისში? დაასაბუთე პასუხი ტექსტზე დაყრდნობით.

**3. გამოიყენე მოცემული ინფორმაცია და დაასრულე წინადადებები. ყურადღება მიაქციე ფორმების სიზუსტეს.**

| |
|---|
| უბრალო სამოსის ტარება; ტანსაცმლის შეხამება; |
| ქალი (3-ჯერ); მოდა; სუნამო. |

კოკო შანელმა:

ა. შეცვალა (რა?) ______________________________

ბ. გამოაწყო (ვინ?) ______________________________

გ. მიაჩვია (ვინ? რას?) ______________________________

დ. ასწავლა (ვის? რა?) ______________________________

ე. შექმნა (რა?) ______________________________

**4. დაუბრუნდი ტექსტს და შეამოწმე შენი პასუხები.**

**5. გაეცანი ორ ინფორმაციას და შეასრულე მოცემული დავალება.**

1. კოკოს მიაჩნდა, რომ „საუკეთესო ფერია ის, რომელიც შენ გიხდება!“
2. კოკო უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ სამს – შავს, თეთრსა და კრემისფერს.

რა მომდინარეობს ამ ორი ინფორმაციიდან? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა. კოკოს მოსწონდა ეს სამი ფერი;

ბ. კოკოს უხდებოდა ეს სამი ფერი;

გ. ყველა ქალს უხდება ეს სამი ფერი.

**6. მოძებნე სიტყვა „ფერმკრთალის“ სინონიმი ტექსტში (მოსწ. წიგნი, გვ. 11) და ამოწერე.**

ფერმკრთალი, ______________________________

**7. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.**

ფერმკრთალი ფერწასული ფერმიხდილი ფერშეცვლილი გაფითრებული

**8. აირჩიე და ჩაწერე კონტექსტის მიხედვით.**

| |
|---|
| იწვეთებს იპარსავს ილებავს იზელს (2-ჯერ) იკრავს (2-ჯერ) ისვამს |

ა. თმას შავად ______________________

ბ. ტუჩზე პომადას ______________________

გ. მამა წვერს ______________________

დ. თმის ძირებში მალამოს ______________________

ე. თითზე პლასტირს ______________________

ვ. თვალში წამალს ______________________

ზ. ტანს სველი პირსახოცით ______________________

თ. პალტოს ღილს ______________________

**9. გამოიყენე ზმნის წყვეტილის ფორმა, ყურადღება მიაქციე მოცემულ საწყისებს და გადაიყვანე წინა დავალებაში მოცემული წინადადებები წარსულ დროში.**

ა. (**შე**ღებვა): ______________________________

ბ. (**წა**სმა): ______________________________

გ. (**გა**პარსვა): ______________________________

დ. (**შე**ზელა): ______________________________

ე. (**და**კვრა): ______________________________

ვ. (**ჩა**წვეთება): ______________________________

ზ. (**და**ზელა): ______________________________

თ. (**შე**კვრა): ______________________________

## არქიტექტურა

**1. გაიხსენე ნოიშვანშტაინის ციხესიმაგრის მშენებლობის ისტორია. რა აკავშირებდა რიჰარდ ვაგნერს სასახლესთან? წაიკითხე და შემოხაზე ყველა სწორი ინფორმაცია.**

ა. ვაგნერმა წინასწარ იცოდა სასახლის აშენების შესახებ.
ბ. სასახლის კედლები მისი ოპერების სცენებით იყო მოხატული.
გ. ლუდვიგ ბავარიელმა ვაგნერის თხოვნით ააშენა სასახლე.
დ. ვაგნერმა დაასრულა სასახლის აგება.
ე. სასახლეს ვაგნერის ერთ-ერთი ოპერის პერსონაჟის სახელი ჰქვია.

**2. დაალაგე ქვემოთ მოცემული მოვლენები თანამიმდევრულად – რა მოხდა პირველად და რა – შემდეგ. გადაამოწმე დავალება ტექსტის დახმარებით.**

ა. სასახლის კედლები მოხატეს. ______
ბ. ლუდვიგ ბავარიელი გარდაიცვალა. ______
გ. საძირკველში პირველი ქვა დადეს. ______
დ. ლუდვიგმა ვაგნერს წერილი გაუგზავნა. ______
ე. სასახლის მშენებლობა დასრულდა. ______
ვ. მეფემ სასახლის აშენება გადაწყვიტა. ___1___
ზ. რიჰარდ ვაგნერმა მეფის წერილი მიიღო. ______

**3. გამოიყენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ.14 ) და შეავსე უჯრები სათანადო ინფორმაციით.**

რა ერქვა? ______

სადაური იყო? ______

ვინ იყო პროფესიით? ______



როდის დაიბადა? ______

რა გააკეთა მიზნის მისაღწევად? ______

სად დაიბადა? ______

როდის გადაწყვიტა? ______

რა დაამთავრა? ______

რა გადაწყვიტა? ______

**4. გამოიყენე წინა დავლება და იმუშავე მეწყვილესთან ერთად. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

**5. გამოიყენე წყვეტილის ფორმა (რა ქნა?) და ინფორმაციულ ბლოკებზე დაყრდნობით (დავალება № 3) ისაუბრე კონრად დიპელ ფონ ფრანკენშტაინის შესახებ.**

**6. წაიკითხე და შეადარე ერთმანეთს. უპასუხე მარჯვნივ მოცემულ შეკითხვებს.**

ვინიანი 1

| | |
|---|---|
| **ის** ცხოვრობს | **ის** აშენებს **მას** |
| **მან** იცხოვრა | **მან** ააშენა **ის** |
| **მას** უცხოვრია | **მას** აუშენებია **ის** |

ვინიანი 2

| | |
|---|---|
| **ის** იზრდება | **ის** ელაპარაკება **მას** |
| **ის** გაიზარდა | **ის** დაელაპარაკა **მას** |
| **ის** გაზრდილა | **ის** დალაპარაკებია **მას** |

**ა.** რომელი ზმნების სუბიექტური პირები იცვლიან ბრუნვის ფორმას?

______________________________

**ბ.** რომელი ზმნების ობიექტური პირები იცვლიან ბრუნვის ფორმას?

______________________________

**გ.** რომელი ზმნების სუბიექტური და ობიექტური პირები არიან ბრუნვაუცვლელი? ____________ ______________________

**დ.** რომელ ბრუნვაში დგას ვინიანი 1-ის სუბიექტი:
1. **აწმყოში**? ____________________
2. **წყვეტილში**? __________________
3. **I თურმეობითში**? ______________

**ე.** რომელ ბრუნვაში დგას ვინიანი 1-ის ობიექტი:
1. **აწმყოში**? ____________________
2. **წყვეტილში**? __________________
3. **I თურმეობითში**? ______________

**7. გაანაწილე მოცემული ფორმები ცხრილში და შეუწყვე პირები.**

| | |
|---|---|
| ხატავს /დახატა /დაუხატავს; | დაწერა /დაუწერია /წერს; |
| დაწყებულა /იწყება /დაიწყო; | ავალებს /დაავალა /დაუვალებია; |
| წასულა /მიდის /წავიდა; | აცხადებს /გამოაცხდა /გამოუცხადებია; |
| არის /იყო /ყოფილა; | ივახშმა /ვახშმობს /უვახშმია; |
| ამბობს /უთქვამს /თქვა; | დახმარებია /დაეხმარა /ეხმარება; |
| ამდგარა /დგება /ადგა; | ჰყვება / მოჰყვა /მოუყოლია. |

| | |
|---|---|
| **აწმყო**<br>(რას შვრება?) | |
| **წყვეტილი**<br>(რა ქნა?) | |
| **I თურმეობითი**<br>(რა უქნია?) | |

**1. დაუბრუნდი ცხრილს და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. გაუსვი ქვეშ ხაზი ვინიანი 1 ზმნებს, წაიკითხე და შეამოწმე.
ბ. ჩაწერე ფრჩხილებში მოცემული საწყისი სათანადო ფორმით და წაიკითხე.

1. *დიქტორმა ამინდის პროგნოზი ______________________ (გამოცხდება).*
2. *ეს მას არ ჩაუდენია, სიმართლეს ______________________ (თქმა).*
3. *ამ ფაქტის შესახებ დედაჩემისთვის ვიღაცას ______________________ (თქმა).*
4. *მასწავლებელს ხვალისთვის არაფერი ______________________ (დავალება) ჩვენთვის.*
5. *ჩემს დას ძალიან უყვარს ხატვა. ის ბევრს ______________________ (ხატვა).*

გ. მოძებნე სათანადო ფორმა (გვ. 29, №7) კონტექსტის მიხედვით და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილას. წაიკითხე და შეადარე სხვების ნაწერებს. შეამოწმე ენობრივი სისწორე.

1. *დედამ შვილს სახლის დალაგება ______________________.*
2. *როგორც ვიცი, გიორგი თურმე მარტო ______________________ სახლში.*
3. *ჩემს ძმას არ ______________________ და ისე დაწოლილა.*
4. *გუშინ ______________ ნანამ ეს პორტრეტი.*
5. *მამაჩემი ყოველთვის 7 საათზე ______________________ და სამსახურში 8 საათზე ______________.*
6. *როგორც მითხრეს, ეს წერილი ანას არ ______________________.*
7. *ლელა ჩუმად ______________________ და ისე ______________________ სახლში, რომ არავისთვის არაფერი ______________________.*

დ. გადაიყვანე წინა ცხრილში (გვ. 29 დავალება № 7) მოცემული ფორმები პირველ პირში, შეავსე ცხრილი და წაიკითხე.

| | |
|---|---|
| **აწმყო**<br>(რას ვშვრები?) | |
| **წყვეტილი**<br>(რა ვქენი?) | |
| **I თურმეობითი**<br>(რა მიქნია?) | |

**2. დაუბრუნდი კონრად დიპელს და მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს. მასწავლებლის დახმარებით დააზუსტე ფორმათა სისწორე.**

**ა. რქმევია:**

______________________

**ბ. ყოფილა:**

______________________

**გ. დაბადებულა:**

______________________

**დ. გაუკეთებია:**

______________________

**ე. დაუმთავრებია:**

______________________

ვ. დაუჩემებია:

ზ. გადაუწყვეტია:

თ. ამოსულა:

ი. ჩაუტარებია:

კ. აფეთქებულა:

ლ. ქცეულა:

**3. გამოიყენე I თურმეობითი და ინფორმაციულ ბლოკებზე დაყრდნობით (გვ. 28 დავალება № 3) ისაუბრე კონრად დიპელ ფონ ფრანკენშტაინის შესახებ.**

**4. გამოიყენე მოცემული ფორმულები და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმა.**

| |
|---|
| **შეუძლია (სურს.)** + II კავშირებითი (რა ქნას? – გააკეთოს)<br>**შეეძლო (სურდა.)** + II თურმეობითი (რა ექნა? – გაეკეთებინა) |

ა. მას შეეძლო, ______________ (*გაიქცეს / გაქცეულიყო*).

ბ. მას შეუძლია ______________ (*დაიძინოს / დაეძინა*).

გ. ანას უნდა, რომ ______________ (*წავიდეს / წასულიყო*).

დ. არ უნდოდა, ასე ______________ (*გადაწყვიტოს / გადაეწყვიტა*).

ე. სასურველია, კვლევა მან ______________ (*ჩაატაროს / ჩაეტარებინა*).

ვ. სასურველი იყო, სახლში ______________ (*დარჩეს / დარჩენილიყო*).

ზ. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა ______________ (*მიიღოს / მიეღო*).

თ. ყველაფერს აკეთებს, რომ ______________ (*გაიმარჯვოს / გაემარჯვა*).

ი. არ უნდოდა, რომ იქ ______________ (*ისწავლოს / ესწავლა*).

**5. გაანაწილე მოცემული ფორმები ცხრილში და შეუწყვე პირები.**

| | |
|---|---|
| დახატოს /დაეხატა; | დაეწერა / დაწეროს; |
| დაეწყო /დაიწყოს; | დაავალოს /დაევალებინა; |
| წასულიყო /წავიდეს; | გამოაცხადოს /გამოეცხადებინა; |
| იყოს /ყოფილიყო; | ივახშმოს / ევახშმა; |
| ეთქვა /თქვას; | დახმარებოდა /დაეხმაროს; |
| ამდგარიყო /ადგეს; | მოჰყვეს /მოეყოლა; |
| ააშენოს / აეშენებინა; | ჩაეტარებინა / ჩაატაროს. |

| | |
|---|---|
| **II კავშირებითი** (რა ქნას?) | |
| **II თურმეობითი** (რა ექნა?) | |

**1. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით.**

**ნიმუში:** *შეუძლია, დაწეროს.* *შეეძლო, დაეწერა.*

ა. სურს, დახატოს. ______

ბ. შეუძლია, წავიდეს. ______

გ. სასურველია, დაეხმაროს. ______

დ. უნდა, რომ თქვას. ______

ე. ურჩევს, რომ გამოაცხადოს. ______

ვ. შეუძლია, დაავალოს. ______

ზ. უნდა, რომ იყოს. ______

**2. მოძებნე და გაასწორე მცდარი ფორმები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს. დააზუსტე დავალების სისწორე.**

| | |
|---|---|
| ა. დიპელს უნდოდა, რომ ჩაატაროს ექსპერიმენტები.<br>ბ. ინდირა განდის უნდოდა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტში ესწავლა.<br>გ. მარი შელის სურს, მეგობრებთან ერთად დაესვენა.<br>დ. მათ არ უნდოდათ, რომ ამ თემებზე მასთან ესაუბრათ.<br>ე. სასურველი იყო, ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადოს.<br>ვ. მას არ შეუძლია, რომ ეს წიგნი ეყიდა.<br>ზ. მას არ უნდა, რომ დაეტოვებინა იქაურობა. | |

**3. წაიკითხე და განავრცე დამატებითი ინფორმაციით წიგნის დახმარებით.**

I. ძმები გრიმები სოფელს ესტუმრნენ.

როგორი ძმები? ______

რომელ სოფელს? ______

როდის ესტუმრნენ? ______-

რისთვის ესტუმრნენ? ______

II. ციხეხიმაგრეში ამბები ხდებოდა.

რომელ ციხესიმაგრეში? ______

როგორი ამბები? ______

III. კვამლი ამოდის.

საიდან ამოდის? ______

როგორი კვამლი? ______

როდის ამოდის? ______

**4. შეასრულე მსგავსი დავალება მოცემულ წინადადებებზე და გააცანით ერთმანეთს. შეადარე, ვინ რა დამატებითი ინფორმაციით შეავსო წინადადებები.**

I. ექსპერიმენტებს ატარებს.

______________________________

______________________________

______________________________

II. გადაწყვიტა და დაიწყო.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

III. აფეთქებამ ნანგრევებად აქცია.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**5. მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.**

ა. უსულო სხეული, ______________, ______________

ბ. შემაძრწუნებელი, ______________, ______________, ______________

გ. უცნაური, უჩვეულო, საკვირველი, ______________

**6. რომელი მნიშვნელობით არის ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში ნახმარი? შემოხაზე სწორი ვარიანტი კონტექსტის მიხედვით.**

ა. ბაირონმა მეგობრებს ერთგვარი ფანტასტიკური ლიტერატურული შეჯიბრების მოწყობა შესთავაზა.

1. ერთმანეთის მსგავსი, ერთნაირი;
2. გარკვეული ხასიათის, თავისებური;
3. არც თუ ისე დიდი, უმნიშვნელო.

ბ. გადაუღებელი წვიმა სახლიდან გარეთ გასვლის საშუალებას არ გვაძლევდა.

1. მოქმედების სახეობა, ხერხი. გზა რამის მისაღწევად;
2. იარაღი (საგანი, მოწყობილობა) რაიმე მოქმედების განსახორციელებლად;
3. მკურნალობისთვის საჭირო რამ, წამალი;
4. შესაძლებლობა, პირობა რამის განსახორციელებლად.

გ. გართობის ძირითადი საშუალება ტბაზე ნავით სეირნობა და ბუხართან ღამის საუბრები იყო.

1. მოქმედების სახეობა, ხერხი. გზა რამის მისაღწევად;
2. იარაღი (საგანი, მოწყობილობა) რაიმე მოქმედების განსახორციელებლად;
3. მკურნალობისთვის საჭირო რამ, წამალი;
4. შესაძლებლობა, პირობა რამის განსახორციელებლად.

**1. განმარტე ხაზგასმული სიტყვები და გააცანი კლასელებს.**

ა. ასე დაიბადა საყოველთაოდ ცნობილი წიგნი. ________________

ბ. ზაფხული ნესტიანი და ცივი იყო. ________________

გ. წიგნის მიხედვით არაერთი ფილმი გადაიღეს. ________________

დ. მან გადაწყვიტა, თხზულება დილით სალ გონებაზე დაეწერა. ________________

ე. სიზმარში ნანახმა მერის შიშის ზარი დასცა. ________________

**2. დაუბრუნდი მერი შელის სიზმარს და ამოწერე ტექსტიდან, რა იყო:**

ა. შემზარავი? ________________

ბ. საშინელი? ________________

გ. ამაზრზენი? ________________

დ. გულისამრევი? ________________

**3. მოძებნე და გაასწორე ენობრივი შეცდომები.**

| | |
|---|---|
| ა. წიგნი ეხება ფრანკენშტაინისა და მის მიერ შექმნილი მონსტრის შესახებ. | |
| ბ. მე ძალიან მიყვარს ფანტასტიური ჟანრის ფილმები. | |
| გ. შელი მეგობრების ერთად ჟენევის ტბასთან ახლოს ისვენებდა. | |
| დ. ისინი ტბაზე ნავით ისეირნეს და ბუხართან ისაუბრეს. | |
| ე. მერი შელიმ სიზმარში საშინელი სანახაობა ნახა. | |
| ვ. სიზმარში ნანახმა მას შიშის ზარი დაარტყა. | |

**4. გაიხსენე ინფორმაცია სასახლის შესახებ და შეასრულე დავალებები.**

I. მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა.

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|
| ა. პოლ შტერნმა ფრანც ტიტელის ქალიშვილის დაკვეთა შეასრულა. | | | |
| ბ. პროექტი უცვლელად განხორციელდა. | | | |
| გ. ემილი საქართველოში რამდენიმე წელი ცხოვრობდა. | | | |
| დ. ტიტელი აღფრთოვანებული იყო შტერნის პროექტით. | | | |
| ე. პრინცი მიურატი დადიანების შორეული ნათესავი იყო. | | | |
| ვ. ანდრია დადიანი სერიოზულად იყო გატაცებული ჭადრაკით. | | | |

II. გაასწორე მცდარი ინფორმაცია და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ნაწერები.

ა. ______________________________

ბ. ______________________________

III. მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი დავალება.

IV. აირჩიე სწორი ვარიანტი და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილას.

ა. 1895 წელს თბილისში აშენებული სასახლე 1989 წელს მუზეუმად ______________ (*შეიცვალა / გადაკეთდა / გახდა*).

ბ. ამ ტერიტორიის დიდი ______________ (*მხარე / სივრცე / ნაწილი*) ფრანც ტიტელს ______________ (*ეკუთვნოდა. / ჰქონდა / ფლობდა*).

გ. პოლ შტერნის პროექტმა სახეცვლილება ______________ (*გამოიწვია / მიიღო / განიცადა*).

დ. ანდრია დადიანი მსოფლიოში ______________ (*ცნობადი / ცნობილი / ნაცნობი*) მოჭადრაკე იყო.

**5. დაუბრუნდი მე-3 დავალებაში მოცემულ ტექსტს (მოსწ. წიგნი, გვ. 16) და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. დააკონკრეტე, რომელ საუკუნეზეა ტექსტში საუბარი? ______________

ბ. განმარტე, რას ნიშნავს ფრაზა – „ხმები დადიოდა“? ______________

გ. რამდენჯერ ნახეს ქალის ლანდი თბილისელებმა? ______________

დ. განმარტე, რას ნიშნავს: „იდუმალებით მოცული ისტორია“? ______________

______________________________

**1. დაუბრუნდი სასახლის გარშემო მოცემულ I ისტორიას (მოსწ. წიგნი, გვ. 17) და შეასრულე მითითებები.**

I. უპასუხე შეკითხვებს.

ა. რას ეხება ეს ისტორია? ___

ბ. ვინ არიან ამ ისტორიის მონაწილენი? ___

___

გ. ვინ არის მთხრობელი? ჩანს თუ არა ის, ვინც ამ ამბავს ჰყვება? ___

დ. საიდან იცის მთხრობელმა ეს ისტორია? ამოწერე ფრაზები, რომლებიც ამაზე მიუთითებს.

1. ___
2. ___

ე. როგორ ფიქრობ, ერთი და იგივე პირია თუ არა ამბის მთხრობელი და ამ ისტორიის წყარო?

II. გამოიყენე კონტექსტი და შეავსე მოცემული ცხრილი.

| | ჩაწერე, რომელი მწკრივია | შეუწყვე პირები | მიუთითე S და O |
|---|---|---|---|
| უცხოვრია | | | |
| შეჰყვარებია | | | |
| მდგარა | | | |
| დაენახა | | | |
| შეხვედრიან | | | |
| გაუკეთებია | | | |
| დანგრეულა | | | |

III. გამოიყენე ცხრილში მოცემული ზმნები და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები.

ა. მიურატი საათობით ___ აივანზე.

ბ. მას უნდოდა, რომ თავისი სატრფო ___.

გ. მოზაიკიან სახლში ციციშვილის ქალს ___.

დ. მიურატს ძალიან ___ ის ქალი.

ლ. ბიჭებს ძალიან შეეშინდათ. ________

II. მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა.

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს |
|---|---|---|---|
| ა. სმიტფილდი ბიჭებთან ერთად დადიოდა მოსაპარად. | | | |
| ბ. ისინი ყოველთვის სხვადასხვა ადგილას ქურდობდნენ. | | | |
| გ. ისინი ხშირად იხსენებდნენ ბავშვობისდროინდელ ამბებს. | | | |
| დ. სმიტფილდს ფურგონში რიპსტონის გვერდით ეძინა. | | | |
| ე. სმიტფილდს მაღალი სიცხე ჰქონდა. | | | |
| ვ. ფურგონის პატრონი ახალგაზრდა კაცი იყო. | | | |
| ზ. სმიტფილდი ზაფხულამდე მკურნალობდა მუშათა სახლში. | | | |

III. ამოწერე ტექსტიდან წინადადებები, რომლებიც ცხრილში შენ მიერ მონიშნულ სწორ ინფორმაციას დაასაბუთებს.

IV. გაასწორე ცხრილში მოცემული მცდარი ინფორმაცია.

**1. შეცვალე ხაზგასმული სიტყვები მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით.**

ა. უმეტესად ერთფეროვნად ვცხოვრობდით.

ბ. თავიდან ფეხებამდე გალუმპული ვიყავი.

გ. მდინარის ნაპირზე დიდხანს დავსეირნობდით.

დ. ვიწვოდი, თან სიცივისაგან მაკანკალებდა.

**2. წაიკითხე და განმარტე, რისი თქმა სურს ამ სიტყვების ავტორს?**

ა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა.

ბ. გამბედაობას ვიკრებდი.



RVEULI_Done-11_Qartuli _ 72

**3. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| 1. ერთმანეთს სხვადასხვა ამბებს ვუყვებოდით. | ______ |
| 2. მეგობრებმა თავისი ტანსაცმელი მომცეს. | ______ |
| 3. თავი ძალზე უბედური ვიგრძენი. | ______ |
| 4. ყველაფერი ერთ ყლუპ ცხელ ყავაში გავცვალე. | ______ |
| 5. ყოველდღე ადრიანად ავდექი და ვისეირნე. | ______ |
| 6. მოულდი მაისში გავიცანი, ახლა კი ოქტომბრის შუა იყო. | ______ |
| 7. ჩემს ავადმყოფობამ ისინი ძალიან შეაშინა. | ______ |
| 8. დილაზე ფურგონის პატრონი მოვიდა. | ______ |
| 9. მეფურგონემ ბიჭი მუშების სახლში წაიყვანა. | ______ |
| 10. ისინი დილით მუშაობისთვის წავიდნენ. | ______ |

**4. დააკვირდი სქემას და უპასუხე შეკითხვებს.**




| შესასრულებელი მოქმედება | II თურმეობითი (რა უნდა მექნა მაშინ?) | II კავშირებითი (რა უნდა გავაკეთო მერე?) |
|---|---|---|

ა. რა აქვს საერთო II თურმეობითსა და II კავშირებითს ერთმანეთთან?

ბ. რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

გ. რომელი მწკრივს ვიყენებთ წარსულში შესასრულებელი მოქმედების გამოსახატავად?

**5. წაიკითხე წინადადებები და უპასუხე შეკითხვებს.**

I. ***მინდა**, რომ სკოლაში წავიდე, მაგრამ არ შემიძლია, ცუდად ვარ.*

ა. დაშალე მოცემული წინადადება ორ მთავარ ინფორმაციად.

1. ______
2. ______

ბ. წინადადების რომელი ნაწილი გამოხატავს:

- მთქმელის სურვილს შესასრულებელი მოქმედებისადმი? ______

გ. რას გამოხატავს წინადადების მეორე ნაწილი? ______

დ. რომელ დროშია გამუქებული სიტყვა? ______

ე. რომელ მწკრივში დგას ზმნა „წასვლა“? ______

II. ***მინდოდა**, რომ სკოლაში წავსულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, ცუდად ვიყავი.*

**ა.** დაშალე მოცემული წინადადება ორ მთავარ ინფორმაციად.

1. ________________________________________________

2. ________________________________________________

**ბ.** წინადადების რომელი ნაწილი გამოხატავს:

- მთქმელის სურვილს შესასრულებელი მოქმედებისადმი? ____________________

**გ.** რას გამოხატავს წინადადების მეორე მაწილი? ____________________

**დ.** რომელ დროშია გამუქებული სიტყვა? ____________________

**ე.** რომელ მწკრივში დგას ზმნა „წასვლა“? ____________________-

**1. დაწერე, რისი გაკეთება გინდოდა და წაიკითხე.**

**ა.** ბავშვობაში: *ბავშვობაში მინდოდა* ____________________

____________________________________________

**ბ.** გასულ ზაფხულს: ____________________

____________________________________________

**გ.** წინა კვირას: ____________________

____________________________________________

**დ.** გუშინ: ____________________

____________________________________________

**ე.** ერთი საათის წინ: ____________________

____________________________________________

## 3. უკეთესი მსოფლიო ბავშვებს!

**2. გაიხსენე ინფორმაცია და შემოხაზე სწორი პასუხი. თავიდან მოისმინე და შეამოწმე.**

**ა.** რა მოხდა 1946 წლის 11 დეკემბერს?

- მიიღეს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდი;
- იუნისეფს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

**ბ.** როდის მიიწვიეს საგანგებო სესიაზე ბავშვები?

- 1948 წელს;
- 1965 წელს;
- 2002 წელს.

**გ.** რა სტატუსით იყვნენ ბავშვები სესიაზე?

- ისინი მიიწვიეს, როგორც ოფიციალური წევრები;
- მიიწვიეს, როგორც დამკვირვებლები;
- სესია მოიწვიეს თვითონ ბავშვებმა.

დ. რისთვის მიენიჭა იუნისეფს ნობელის პრემია?
- ბავშვთა კეთილდღეობისათვის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;
- 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვისათვის;
- განსაკუთრებით, ქუჩის ბავშვთა უფლებების დაცვისათვის.

**3. დააკავშირე, როდის რა მოხდა.**

| | |
|---|---|
| 1946 წ. | იუნისეფმა მიიღო ნობელის პრემია; |
| 1948 წ. | შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდი; |
| 1965 წ. | იუნიეფმა მოიწვია საგანგებო სესია; |
| 2002 წ. | მიიღეს ბავშვის უფლებათა კონვენცია. |

**4. მოცემული ციფრები ჩაწერე სიტყვიერად.**

1946: ____________________

1965: ____________________

2002: ____________________

**5. გადახაზე არასწორი შესიტყვებები.**

ა. ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბ. ბავშვის უფლებების ძალისხმევა

გ. ბავშვთა უფლებათა კონვენცია

დ. ბავშვთა უფლებათა დაცვა

**6. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| წვლილის | მიწვევა | ____________ |
| პრემიის | გაწევა | ____________ |
| ბავშვებზე | შეტანა | ____________ |
| სესიაზე | მინიჭება | ____________ |
| დახმარების | ზრუნვა | ____________ |

**7. გაასწორე ენობრივი შეცდომები და წაიკითხე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ა. მან ნობელის პრემია ბავშვთა კეთილდღეობის გამო შეტანილ წვლილზე აიღო.<br>ბ. თავისი ძირითადი საქმიანობაა ბავშვთა უფლებების დაცვა და კრიტიკულ სიტუა-ციებში მისთვის დახმარების მინიჭება. | |

**8. წაიკითხე განმარტებები და ჩაწერე, რა არის.**

*კეთილდღეობა წვლილი საზრუნავი*

ა. წილი, შენატანი; დამსახურება. ____________

ბ. საფიქრალი, სადარდებელი. ____________

გ. კარგი, ბედნიერი ცხოვრება. ____________

**1. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე გამოტოვებული ადგილები.**

ა. მისი ________________________________________ ის იყო, რომ როგორმე პურის ფული ეშოვა.

ბ. მას უდიდესი ______________________________ აქვს შეტანილი საერთო საქმეში.

**2. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| იუნისეფი I -ლი ორგანიზაცია იყო, რომელმაც თანამშრომლობა გამოჩენილ ადამიანებში დაიწყო. 1954 წელს „თავისუფალ ელჩის“ წოდება პირველად ამერიკელ მსახიობს დანი კეის მიენიჭა. მას დაგვიანებით მიუერთდნენ ოდრი ჰეპბერნი და ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი და კინომსახიობი ჰარი ბელაფონტე. დღეს უკვე იუნისეფის კეთილი ნების ელჩის სია მრავალ ცნობილ და მსოფლიოში აღიარებულ ადამიანებს ითვლის. | |

**3. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა წინა დავალებში მოცემულ ტექსტში და ამოწერე.**

ა. შეთანხმებული მოქმედება, თანამოღვაწეობა. ______________________________

ბ. ცნობილი, სახელგანთქმული. ______________________________ ______________

**4. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა მოხდა 1954 წელს?

ბ. რით გამოირჩევა იუნისეფი სხვა ორგანიზაციებისაგან?

გ. ვინ იყო პირველი „თავისუფალი ელჩი“?

დ. შენი აზრით, რას საქმიანობენ კეთილი ნების ელჩები?

**5. გამოიყენე მოსწავლის წიგნში მოცემული ტექსტი (გვ. 41, დავალება №6) და დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციები. დაასაბუთე შენი პოზიცია სათანადო ფრაზით.**

ა. პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდიდან დახმარებას მსოფლიო დონის საოპერო მომღერლები იღებენ. ____________

**საიდან ჩანს?** ________________________________________________

________________________________________________

ბ. ანჯელინა ჯოლისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს სხვების სიცოცხლეზე ზრუნვა წარმოადგენს. ______________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

გ. მას მიაჩნია, რომ ბევრი შვილის ყოლა ხელს უშლის ადამიანს წარმატების მიღწევაში. ________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

დ. ცნობილ ფეხბურთელს, მესის, ძალიან მოსწონს, როცა აქებენ. ___________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

ე. მესი განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდა თაობის განათლებას ანიჭებს. ___ ________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

**6. გაიხსენე ინფორმაციები და მოცემული სიტყვების გამოყენებით აღადგინე კონტექსტი. შეავსე ცხრილის I სვეტი. წინადადებები გამართე ენობრივად.**

| | როგორ გახსოვს შენ? | როგორ არის ტექსტში? |
|---|---|---|
| **მზრუნველობამოკლებული ბავშვები** | | |
| **ცხელი წერტილები** | | |
| **ბავშვთა სახლები** | | |

**7. გამოიყენე წიგნი (გვ. 41) და შეავსე ცხრილის II სვეტი. შეადარე ეს წინადადებები ერთმანეთს და დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**8. აირჩიე ერთ-ერთი კეთილი ნების ელჩი, მოიძიე დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ და გააცანი კლასელებს. მაგალითად,**

- ერთ-ერთი საინტერესო ისტორია მისი ცხოვრებიდან;
- უცნობი, გაუხმაურებელი დეტალი;
- სკანდალური ისტორია;
- რაიმე კურიოზი და ა.შ.

1. გამოიყენე ყველა ნასწავლი ტექსტი და შეავსე სათანადო ინფორმაციით.

რა ორგანიზაციაა?

როდის შეიქმნა?

ჯილდო:

ორგანიზაციის საქმიანობა:

unicef

თანამშრომლობა ცნობილ ადამიანებთან (კეთილი ნების ელჩები):

მისი მთავარი საზრუნავი:

2. შეადგინეთ შეკითხვები წინა დავალებაზე დაყრდნობით, დაუსვით ერთმანეთს და უპასუხეთ.

3. გამოიყენე სქემა და ისაუბრე იუნისეფისა და მისი კეთილი ნების ელჩების საქმიანობების შესახებ.

4. 🎧 მოისმინე ინფორმაციები დედა ტერეზასა და პრინცესა დაიანას შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.

|  დედა ტერეზა |  პრინცესა დაიანა |
|---|---|
| ა. ვინ იყო? ________ | ა. ვინ იყო? ________ |
| ბ. სადაური იყო? ________ | ბ. სადაური იყო? ________ |
| გ. რას საქმიანობდა? ________ | გ. რას საქმიანობდა? ________ |
| დ. რა დააფუძნა? ________ | დ. რა გახსნა? ________ |
| ე. რა მოხდა 1979 წელს მის ცხოვრებაში? ________ | ე. რა მოხდა 1997 წელს მის ცხოვრებაში? ________ |
| ვ. რას აკეთებდა ის 40 წლის განმავლობაში და სად? ________ | ვ. რა ურთიერთობა ჰქონდა მას იუნისეფთან და ვინ იყო კონკრეტულად? ________ |
| ზ. რა მოხდა მისი გარდაცვალების შემდეგ? ________ | ზ. რას უწოდებდნენ მას? ________ |

**5.** წაიკითხე და დააზუსტე შენი პასუხები.

**6.** შეადარე ცხრილში მოცემული პასუხები ერთმანეთს და დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

**7.** დაუსვით ცხრილში მოცემული შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ რვეულის დახმარების გარეშე.



RVEULI_Done-11_Qartuli _ 79

**1. გაიხსენე პრინცესა დაიანას ბიოგრაფიული დეტალები და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა მოსმენილი ინფორმაციის მიხედვით.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|
| ა. ის მე-20 ს-ის II ნახევარში დაიბადა. | | | |
| ბ. ოთხი დედმამიშვილიდან დაიანა ყველაზე პატარა იყო. | | | |
| გ. მომავალი პრინცესა ერთ პატარა და წყნარ ქალაქში დაიბადა. | | | |
| დ. ის 16 წლიდან ლონდონში ცხოვრობდა. | | | |
| ე. დაიანა ჯერ ცურვის ინსტრუქტორად, შემდეგ კი ბაღის აღმზრდელად მუშაობდა. | | | |
| ვ. მომავალი საქმრო მან მეგობრებთან წვეულებაზე გაიცნო. | | | |
| ზ. პრინცესა ავიაკატასტროფაში დაიღუპა. | | | |

**2. წაიკითხე და შეამოწმე (მოსწ. წიგნი, გვ.129). დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

- გაასწორე ცხრილში მოცემული არასწორი ინფორმაცია.

  ა. ______________________________

  ბ. ______________________________

  გ. ______________________________

- მოიძიე და დააზუსტე ის ინფორმაცია, რომელიც არ ჩანს.

  ა. ______________________________

  ბ. ______________________________

**3. მიუწერე, რა მოხდა დაიანას ცხოვრებაში:**

1961 წელს? ______________________________

1981 წელს? ______________________________

1997 წელს? ______________________________

**4. შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე. შეამოწმე წიგნის მიხედვით (გვ 129).**

პრინცესა დაიანამ უარი თქვა ____________________ და თავად შეუდგა შვილების გაზრდას. მიუხედავად დატვირთული საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, ის მაინც ახერხებდა ბავშვების ____________________ და მათთან ერთად ____________________.

ლამაზი და მუდმივად ____________________ დაიანა თავისი სიკეთითა და უშუალობით აღაფრთოვანებდა არა მარტო ინგლისელებს, არამედ ____________________. მას „მსოფლიო პრინცესას", ან უბრალოდ, „ლედი დის" უწოდებდნენ. როგორც ამბობენ, პრინცესას ხალხის ____________________ და მათი ____________________ განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. შეეძლო, ყველსთან ისე ____________________, როგორც თანასწორთან.

**5. დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რაზე თქვა დაიანამ უარი და, შენი აზრით, რატომ?

ბ. როგორი დედა იყო პრინცესა?

გ. რატომ უწოდეს მას „მსოფლიო პრინცესა“? „ლედი დი“? დაასაბუთე პასუხი ტექსტის მიხედვით.

**6. გამოიყენე ყველა ნასწავლი ტექსტი და შეავსე სათანადო ინფორმაციით დაიანას შესახებ.**

**პირადი მონაცემები:**

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

**მისი ცხოვრება დაქორწინებამდე:**

ოჯახი: ______________________

განათლება: ______________________

გატაცებები და ინტერესები: ______________________

______________________

საქმიანობა: ______________________

______________________



**საქმიანობა ქორწინების შემდეგ:**

______________________

______________________

______________________

**იუნისეფთან ურთიერთობა:**

______________________

______________________

**ნობელის პრემია:** ______________________

______________________

______________________

**დახასიათება:**

გარეგნული შტრიხები: ______________________

ზოგადი თვისებები: ______________________

როგორც დედა: ______________________

______________________

როგორც პრინცესა: ______________________

______________________

**7. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

**8. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე პრინცესა დაიანას შესახებ.**

## წაკითხულის გააზრება

**1. გამოიყენე წიგნში არსებული ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. რა არის პირველი აბზაცის დანიშნულება, თემა? ამოიწერე პირველი აბზაცის მთავარი წინადადება.

თემა: ______________________________

წინადადება: ______________________________

______________________________

______________________________

ბ. გააგრძელე შევსება და მიუთითე, I აბზაცის რომელ წინადადებებშია მოცემული კონკრეტული ინფორმაცია პრობლემის მიზეზების შესახებ.

______________________________

______________________________

გ. რა არის II აბზაცის თემა? ამოიწერე წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია II აბზაცის თემა.

თემა: ______________________________

წინადადება: ______________________________

______________________________

______________________________

დ. გააგრძელე შევსება და მიუთითე, II აბზაცის რომელ წინადადებებშია მოცემული კონკრეტული ინფორმაცია ქუჩის ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

______________________________

______________________________

ე. რა არის III აბზაცის თემა? ამოიწერე წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია III აბზაცის თემა.

თემა: ______________________________

წინადადება: ______________________________

______________________________

______________________________

ვ. გააგრძელე შევსება და მიუთითე, III აბზაცის რომელ წინადადებებშია მოცემული კონკრეტული ინფორმაცია ქუჩის ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესების გზების შესახებ.

______________________________

______________________________

ზ. ტექსტის ცალკეული წინადადებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მიუთითე III აბზაცის ის წინადადება, რომელიც კავშირშია I აბზაცის დასკვნით წინადადებასთან.

______________________________

______________________________

______________________________

# ადამიანი და გარემო

## 1. ეკოლოგია და ეკოლოგიური საფრთხეები

**1. დააკავშირე შესაბამის მნიშვნელობასთან.**

*გამოწვევა / მოწვევა*

ა. პროვოცირების მოხდენა, გაღიზიანება. ______________

ბ. რაიმეს მოწყობა, გამართვა. ______________

გ. რაიმეს წარმოქმნა. ______________

დ. მიპატიჟება. ______________

**2. აირჩიე სათანადო ფორმა კონტექსტის მიხედვით და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილას.**

ა. მისმა ქცევა-პასუხმა ყველას უკმაყოფილება ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

ბ. დამრიგებელმა მშობელთა კრება ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

გ. მოგებულმა გუნდმა ჩვენი კლასი შეჯიბრებაში ______________ (გამოიწვია / მოიწვია)

ა. მიწისძვრამ ცუნამი ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

ბ. ლიამ დაბადების დღეზე მეგობრები ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

გ. მამამ სტუმრები სუფრასთან ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

დ. გიორგი ჩხუბში იმ უცნობმა ბიჭმა ______________ (*გამოიწვია / მოიწვია*)

**3. გადახაზე ზედმეტი.**

ა. ნელ-ნელა გამოსვლა   გადინება   გაჟონვა   გამოტანა

ბ. დაზიანება   დაშავება   გაფუჭება   დაზარალება

**4. გაანაწილე მოცემული ვარიანტები და წაიკითხე.**

*გამოვიდა / გამოჟონა / გამოიტანა*

ა. იმ შეხვედრიდან ინფორმაციამ ______________

ბ. ვიღაცამ იმ შეხვედრიდან ინფორმაცია ______________

გ. იმ შეხვედრიდან ინფორმაცია ______________

*დააშავა / გააფუჭა / დააზარალა*

ა. მისმა არასწორმა საქციელმა ყველა ______________

ბ. ზურამ ახალი სათამაშო ______________

გ. ის ძალიან ცუდად მოიქცა. ყველაზე მეტად მან ______________

**1. აირჩიე და ჩაწერე ყველა შესაძლო ვარიანტი.**

გაკეთება გაუარესება მიყენება შენარჩუნება გარკვევა მოგვარება

ა. ზიანის ______________________

ბ. პრობლემის _________________, _________________, _________________

გ. პირობების _________________, _________________, _________________

დ. მოვლენის ______________________

ე. არჩევანის ______________________

ვ. წონასწორობის ______________________

**2. შეავსე წინადადებები და წაიკითხე. ყურადღება მიაქციე ფორმების სიზუსტეს.**

ა. ბიჭმა ძლივს შეინარჩუნა ___________________________.

ბ. გარემო ______________________ მკვეთრად გაუარესდა.

გ. მან სწორი არჩევანი ______________________.

დ. მისი ______________________ მარტივად მოგვარდა.

ე. ბიჭებმა თავიანთი ______________________ გაარკვიეს.

**3. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

ნაგავსაყრელი კატასტროფა ნავთობი გარემო საწვავი ნარჩენი კრიზისი

ა. დედამიწის სივრცეში არსებული ბუნება, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ. ______________________

ბ. თხევადი საწვავი ნივთიერება, რომელიც მიწის წიაღში მოიპოვება. ______________________

გ. რაიმე პროდუქციის გამოშვების შემდეგ დარჩენილი მასალა. ______________________

დ. მწვავე მდომარეობა. ______________________

ე. ნაგვის დასაყრელი სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. ______________________

ვ. თხევადი ნივთიერება, რომელსაც წვის უნარი აქვს, იწვის. ______________________

ზ. რაიმე უბედური შემთხვევა, ამბავი, რომელსაც მძიმე, საბედისწერო შედეგები მოს-დევს. ______________________

**4. გამოიყენე წინა დავალება და ჩაწერე ყველა შესაძლო ვარიანტი შესაბამისი ფორმით.**

ა. _________________, _________________ გამოწვევა

ბ. ______________________ დაზიანება

გ. ______________________ ჩაღვრა

დ. ______________________ გაჟონვა

ე. ______________________ გატანა

**5. გაეცანი სიტყვა „*გარემო*“-სთან დაკავშირებულ მნიშვნელობებს და დააკავშირე ისი-ნი შესაბამის წინადადებებთან.**

I. *არემარე, მიდამო, რაიმეს გარემომცველი ადგილი.*

II. *გარემომცველი წრე, პირობები.*

**ა.** – შეხედე, რა მშვენიერი გარემოა!

**ბ.** ჩვენს გარშემო ძალიან დაბინძურებული გარემო იყო.

**გ.** იქაური სიტუაცია არ მომეწონა. ის გარემო ჩემთვის უცხო იყო.

**დ.** ბოლო ათ წელიწადში პოლიტიკური გარემო რამდენჯერმე შეიცვალა.

**ე.** ბაბუა აივანზე იდგა და მშვიდად გაჰყურებდა გარემოს.

**ვ.** ყველაზე მშვიდად თავს ოჯახურ გარემოში ვგრძნობ.

**ზ.** ასეთ გარემოში მეცადინეობა ძალიან მიჭირს!

ა. ______
ბ. ______
გ. ______
დ. ______
ე. ______
ვ. ______
ზ. ______

**6. დააკავშირე მოცემული განმარტება შესაბამის გამოთქმასთან.**

I. *თავს საფრთხეში იგდებს*

II. *საფრთხეს თავიდან იცილებს.*

თავისივე მიზეზით საშიშ, სახიფათო მდგომარეობაში ვარდება, ანუ ______

**7. ყურადღება მიაქციე წინა დავალებას და სწორად შეავსე წინადადებები.**

**ა.** მან თავისი საქციელით ______________________________ ჩაიგდო.

**ბ.** მან თავისი სწორი ქმედებით ______________________________ აიცილა.

**8. წაიკითხე ტექსტი და შეასრულე 86-ე გვერდზე მოცემული მითითებები.**

სიტყვა „ეკოლოგია“ მომდინარეობს ბერძნულიდან. „ეკო“ საცხოვრებელ ადგილს ანუ სახლს ნიშნავს. ეკოლოგია – ეს არის მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ მათს „საკუთარ სახლში“.

ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ „გარემოს დაცვის“ აღსანიშნავადაც გამოიყენება. ბევრი ჩვენთაგანისთვის კი ის დღეს პლანეტაზე შექმნილი საშიში სიტუაციის სინონიმი გახდა.

ადამიანები საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხშირად არღვევენ ბუნებრივ გარემოს, სულ უფრო მეტად აზიანებენ იმ ეკოსისტემას, რომელზედაც არიან დამოკიდებულები.

ქალაქების გაუაზრებელი ზრდა და ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის არასწორი განვითარება დიდ როლს თამაშობს ეკოსისტემების რღვევაში. ადამიანები მასობრივად ჩეხენ ტყეებს, მავნე ნივთიერებებით აბინძურებენ ნიადაგს, წყალსა და ჰაერს, ავტომანქანებისა თუ საწარმოებების გამონაბოლქვებით წამლავენ ატმოსფეროს...

რა ელოდება კაცობრიობას? შეძლებს თუ არა ადამიანი, დაიცვას საკუთარი პლანეტა ეკოლოგიური კატასტროფებისაგან?

ჩვენი საუკუნე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საუკუნეა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცივილიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია არ მოდის უფასოდ. ამის საფასური კი, შესაძლოა, ჩვენი სიცოცხლეც აღმოჩნდეს.

ერთი კენიური ანდაზა ამბობს: „*მოუარეთ დედამიწას, ის საჩუქრად არ მიგიღიათ მშობლებისაგან, ის თქვენმა შვილებმა გათხოვეს.*“

I. *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები და ამოწერე.*

ა. საჭიროება; სურვილი, ნდომა. ______________________

ბ. რაიმე საწვავის წვის შედეგად გამოსული მავნე აირი. ____________

II. *უპასუხე შეკითხვებს.*

ა. რატომ გახდა დღეს სიტყვა „ეკოლოგია“ საშიში სიტუაციის სინონიმი?

ბ. რა მოთხოვნილებები აქვთ ადამიანებს?

გ. რისთვის ჩეხენ ადამიანები ტყეებს?

დ. რა არის „საწარმო“ და რას აწარმოებენ, ამზადებენ ადამიანები საწარმოებ-ში?

III. *იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.*

ა. რა იგულისხმება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებში?

ბ. აუცილებელია თუ არა ამდენი მანქანისა და საწარმოს არსებობა?

გ. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არ დაზიანდეს ეკოსისტემა?

**გამოიყენე!**

უნდა შემცირდეს ...-ის რიცხვი / უნდა შევამციროთ ...
საერთოდ უნდა ვთქვათ უარი ...-ზე
სწორად უნდა განვითარდეს ...
ამაზე უნდა იზრუნოს ყველამ / სახელმწიფომ / იმათ, ვისაც ეს ეხებათ ...
არ უნდა დავყაროთ ... / გავჩეხოთ ... / დავაბინძუროთ ... / მოვწამლოთ ...

IV. *განმარტე, როგორ გესმის ფრაზები:*

ა. ცივილიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია არ მოდის უფასოდ.

ბ. ამის საფასური, შესაძლოა, ჩვენი სიცოცხლეც აღმოჩნდეს.

V. *რა არის ანდაზის მთავარი სათქმელი? შეადარე ის ვაჟა ფშაველას სიტყვებთან:* „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია!“

VI. *მოძებნე შენს ენაში მსგავსი მნიშვნელობის ანდაზა და შეადარე მათ.*

**1. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტები (გვ.51) და შეასრულე დავალებები.**

ა. უპასუხე შეკითხვებს.

1. რა მოხდა 1978 წელს ატლანტის ოკეანეში?
2. რას მიაყენა ზიანი ჩაღვრილმა ნავთობმა?
3. რატომ მიიჩნევენ ამ ფაქტს ევროპის ისტორიაში უდიდეს ეკოლოგიურ კატასტროფად?
4. რა ვერსიები არსებობს ჩიტების უცნაურ დახოცვასთან დაკავშირებით?
5. რატომ უკავშირებენ მეცნიერები მათ დახოცვას კოსმოსურ ცდებს?
6. სად დაფიქსირდა პირველად ასეთი შემთხვევა?
7. რამდენად მასობრივ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?
8. რამ გამოიწვია ცუნამი იაპონიაში და რა მოჰყვა მას?

9. რატომ დააყენეს ფუკუშიმა ჩერნობილის გვერდით?
10. რა მოხდა ჩერნობილში?
11. რით არის შეშფოთებული დიუკის უნივერსიტეტის ბიოლოგი ლუკ დოლარი?
12. რა მოხდა ოჰაიოს შტატის ქალაქ ზეინსვილში?
13. რას წინასწარმეტყველებენ მეცნიერები?

**ბ.** დაწერე, რა არის თითოეული ტექსტის მთავარი სათქმელი. რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას?

I. ______________________________

II. ______________________________

III. ______________________________

IV. ______________________________

**გ.** ამოწერე წამყვანი წინადადებები თითოეული ტექსტიდან, რომლებშიც გადმოცემულია ტექსტის მთავარი სათქმელი და წაიკითხე.

I. ______________________________

II. ______________________________

III. ______________________________

IV. ______________________________

**დ.** წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრები.

| | **I ტექსტი** | **II ტექსტი** | **III ტექსტი** | **IV ტექსტი** |
|---|---|---|---|---|
| 1. ავტორი საუბრობს მხოლოდ მომხდარ ფაქტებზე.<br>2. ავტორი გადმოსცემს ფაქტს და გამოაქვს სათანადო დასკვნა.<br>3. ავტორი სვამს პრობლემას, მოჰყავს ფაქტები და აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას.<br>4. ავტორი გადმოსცემს ფაქტებს, პოზიციებსა და დასკვნებს. | | | | |

**ე.** დაასათაურე მოცემული ტექსტები და გააცანი კლასელებს.

**1. გაიხსენე ინფორმაცია მდინარე ციტარუმის შესახებ და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|
| ა. ციტარუმი მსოფლიოში ყველაზე ბინძური მდინარეა. | | | |
| ბ. მდინარე მთელ კუნძულს კვეთს შუაზე. | | | |
| გ. ციტარუმი 300 კმ. სიგრძისაა. | | | |
| დ. მდინარეს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. | | | |
| ე. მდინარე სავსეა საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ნაგვით. | | | |
| ვ. ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს მდინარეში თევზაობა. | | | |
| ზ. დაბინძურებულია მდინარის ნაპირებიც. | | | |
| თ. მოსახლეობა მდინარიდან ამოღებულ ნაგავს ყიდის. | | | |

**2. აირჩიე და ჩაწერე სწორი ვარიანტი.**

**ა.** წყლის ზედაპირი დაფარულია ______________________ (*ნაგავმა / ნაგვით / ნაგვის მიერ*)

**ბ.** მდინარე კუნძულ იავაზე __________________________ (*არსებობს / ბინადრობს / მდებარეობს*)

**გ.** დღეს ციტარუმზე ___________________________ ეკოლოგიური კატასტროფაა. (*ნამდვილი / რეალური / გამოცხადებული*)

**დ.** ნაგვით დაფრული ზედაპირის გამო წყლის ______________________ შეუძლებელია. (*ნახვა / დანახვა / შეხედვა*)

**ე.** ადგილობრივი მოსახლეობა ნაგვის გადარჩევა-გაყიდვით არის _________________ _________________ (*დატვირთული / შეწუხებული / დაკავებული*)

**3. შეავსე მოცემული ზმნებით ტექსტში გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე. შეამოწმე დავალება მასწავლებლის დახმარებით.**

მოედინებოდა დაიწყო ყრიდნენ იყო დაემატა ჩამოედინება
იყენებდა უცდია ააშენეს გამოიწვია იჭერდნენ ყვაოდნენ

ის ადგილი, სადაც მდინარე ციტარუმი __________________________________, ერთ დროს ყველაზე ლამაზი ________________ მთელს კუნძულზე. წყნარად __________________________ ________ ციტარუმი, გარშემო მცენარეები ____________________________, მეთევზეები მდინარეში თევზს ________________________________, ადგილობრივი მოსახლეობა მდინარის წყალს სასმელად და სარწყავად ___________________________.

მისი დაბინძურება სწრაფი ინდუსტრიალიზაციის დროს, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს _________________________. მდინარის ნაპირებთან რამდენიმე ათეული საწარმო ___ ____________________. სწორედ ისინი ___________________________ თავიანთი პროდუქციის ნარჩენებს მდინარეში. მისი გაწმენდა კი არავის _________________________. საწარმოო ნაგავს საყოფაცხოვრებო ნაგავიც ______________________ და, საბოლოოდ, მდინარის მასშტაბური დაბინძურება _______________________________.

**4. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მოცემული მითითებები.**

I. *უპასუხე შეკითხვებს.*

ა. როდიდან დაიწყო მდინარის დაბინძურება?

ბ. რამ შეუწყო ხელი დაბინძურებას?

გ. ვინ არიან ამაში დამნაშავეები და რატომ?

დ. რა იყო მდინარის ფუნქცია დაბინძურებამდე და რა გახდა დაბინძურების შემდეგ? გაიხსენე მოსმენილი ინფორმაციაც და ისე უპასუხე მოცემულ შეკითხვას.

II. *წაიკითხე მოცემული წინადადება და განმარტე, რას ნიშნავს სიტყვა „სარწყავად“?*

სოფელში ბაღსა და ბოსტანს მდინარის წყლით ვრწყავთ.

III. *გამოიყენე ყველა ინფორმაცია და ისაუბრე მდინარე ციტარუმის შესახებ.*

**5. ყურადღებით წაიკითხე მოცემული მითითებები და ისე შეასრულე წიგნის მეექვსე დავალება (გვ. 52).**

ა. იმ შემთხვევაში, თუ შენს საცხოვრებელ ადგილას არ არის მდინარე, მოიძიე ინფორმაცია ახლომდებარე მდინარის შესახებ;

ბ. მიუთითე მდინარის დასახელება, კონკრეტული მონაცემები (*სიდიდე, სიგრძე... საიდან მოედინება და ა.შ.*) და ადგილმდებარეობა;

გ. გამოკვეთე მისი ფუნქცია, დანიშნულება (*რისთვის იყენებენ? სასმელად, სარწყავად, საბანაოდ და ა.შ.*);

დ. აღწერე მდინარის მიმდებარე ტერიტორია (*რა არის ირგვლივ – ტყე, სახლები, მინდვრები, მთები და ა.შ. და რა ხდება იქ – დაბინძურებულია თუ არა და რით?*)

ე. რა ხდება თავად მდინარეში? (*არის თუ არა დაბინძურებული? რა არის დაბინძურების წყარო? როგორია დაბინძურების მასშტაბები? იწმინდება თუ არა? და ა.შ.*)

**6. გაიხსენე წყალთან დაკავშირებული ინფორმაცია, წაიკითხე წინადადებები და შეავსე გამოტოვებული ადგილები. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვარიანტები.**

ა. წყლის გარეშე სიცოცხლე ______________________________.

ბ. დედამიწის ზედაპირის __________% წყლითაა დაფარული.

გ. ზრდასრული ადამიანის ორგანიზმი _____________% წყალს შეიცავს.

დ. ადამიანს შეუძლია, ერთ თვემდე გაძლოს ______________________ გარეშე.

ე. ჩვეულებრივ გარემოში ადამიანი უწყლოდ ___________ __________ ცოცხლობს, ცხელი, მშრალი კლიმატის პირობებში კი __________ _______________ _______ _______ ვერ ძლებს.

ვ. __________________ წყლის დაკარგვა ორგანიზმის დაღუპვას იწვევს.

ზ. წყალი ერთადერთია, რომელიც შეიძლება იყოს ____________, ___________ და _________მდგომარეობაში.

**7. შეამოწმე დავალების სისწორე წიგნის დახმარებით (გვ. 130).**

**1. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რას ნიშნავს მპემბას ეფექტი?

ბ. ვინ არის ერასტო მპემბა და რა აღმოაჩინა მან?

გ. რას ფიქრობენ მეცნიერები ამ ფენომენის შესახებ?

დ. ვინ არის მასარუ ემოტო და რა ექსპერიმენტებს ატარებდა ის?

ე. რა აჩვენა ექსპერიმენტებმა იაპონელ მეცნიერს?

**2. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| იაპონელმა მეცნიერმა, დოქტორი მასარუ ემოტომ 1999 წლის შემდეგ უამრავი ექსპერიმენტები ჩაატარა წყალში და საოცარი შედეგი მიილო. როგორც ემოტო ირწმუნება, წყალს ჩვეულებრივად ისმენს ადამიანის ნათქვამი და რეაგირებს კიდეც მისთვის. მეცნიერმა დაადგინა, რომ წყლის კრისტალები იცვლება სხვადასხვა ხმებისა და სხვადასხვა სიტყვების მოსმენის დროსაც. რაც ძალიან მშვიდი, ლამაზი და სიკეთით ავსებულია მუსიკა თუ სიტყვა, მით უფრო უმშვენიერესია წყლის სტრუქტურა. | ______________________________ |

**3. გაეცანი სიტუაციას და შეასრულე მის ქვემოთ მოცემული მითითება.**

*დოქტორმა ემოტომ წყალს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მოასმენინა და თითოეული მუსიკის დროს მისი სტრუქტურები შეისწავლა. ყველა მუსიკაზე წყალი სხვადასხვაგვარად რეაგირებდა.*

დააკვირდი მოცემულ ფოტოებს. 🎧 მოისმინე მუსიკალური ნაწყვეტები და დააკავშირე კონკრეტული ნაწყვეტი კონკრეტულ ფოტოსთან. მიუთითე, როგორი გახდა, შენი აზრით, წყლის მოლეკულური სტრუქტურა.

ა. "Edelweiss" კინოფილმიდან "მუსიკის ჰანგები"

ბ. ბითლების სიმღერა („Imagine")

გ. ბახი

დ. მეტალიკა

4


1


2


3


**4. მოძებნე სათანადო ინფორმაცია ტექსტში (მოსწ. წიგნი, გვ.53 , დავალება №8) და დაწერე.**

საიდან ჩანს, რომ:

ა. მკვდარი ზღვის სამკურნალო თვისებების შესახებ ძალიან დიდი ხნის წინ იყო ცნობილი?

___

ბ. კოსმეტიკის წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს?

___

**5. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციები ტექსტის მიხედვით. მიუთითე სიტყვა ან ფრაზა, რომელიც შენს პასუხს დაასაბუთებს.**

ა. მკვდარ ზღვაში არცერთი ცოცხალი ორგანიზმი არ არის.

___

ბ. მკვდარი ზღვის სიახლოვეს მხოლოდ სასტუმროები და სამკურნალო დაწესებულებებია.

___

გ. მკვდარ ზღვაზე უმნიშვნელო ულტრაიისფერი გამოსხივებაა.

___

დ. მკვდარ ზღვაში ჩაძირვა თითქმის შეუძლებელია.

___

**6. შეავსე ტექსტის მიხედვით და წაიკითხე. შეადარე სხვების ნაწერებს.**

**მონაცემები**

ა. მდებარეობა:

ბ. საზღვრები:

გ. (სიგრძე, სიგანე, ფართობი, სიღრმე და ა.შ.):

**ეკოლოგიური მდგომარეობა**



**თვისებები**

**განსაკუთრებულობა**

**1. გამოიყენე წინა დავალება და შეადგინე შეკითხვები მკვდარი ზღვის შესახებ.**

**ნიმუში:** *სად მდებარეობს მკვდარი ზღვა? როგორია მისი ნაპირები აღმოსავლეთით და დასავლეთით და ა.შ.*

**2. დაუსვით თქვენი შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.**

**3. გამოიყენე წინა დავალებები და ისაუბრე მკვდარი ზღვის შესახებ.**

**4. გაიხსენე ტექსტები მაიასა ცივილიზაციების შესახებ და მოცემული სიტყვების გამოყენებით აღადგინე კონტექსტი. შეავსე ცხრილის I სვეტი.**

| | როგორ გახსოვს შენ? | როგორ არის ტექსტში? |
|---|---|---|
| დახვეწილი დამწერლობით | | |
| იყო გაშენებული | | |
| დამანგრეველი მიწისძვრის | | |
| აღმოსავლეთით მდებარე | | |
| დაუსახლებელ ადგილებში | | |
| გამწევი საქონლის | | |
| დიდებულ ქანდაკებებს | | |
| პირამიდების მშენებლებს | | |
| წაქცეული ხეები | | |
| წვიმების დასასრულს | | |
| დასახლებული პუნქტი | | |

**5. გამოიყენე წიგნი და შეავსე ცხრილის II სვეტი. შეადარე ეს წინადადებები ერთმანეთს და დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**6. მოძებნე და გაასწორე ენობრივი შეცდომები.**

| | |
|---|---|
| ა. ძველი სამეფო მიატოვა და ახალი ქალაქების მშენებლობისათვის წამოიწყო.<br>ბ. ქანდაკებებს ქვის იარაღებისაგან კვეთდნენ.<br>გ. ისინი ეგვიპტის პირამიდის მშენებლებს არ ჩამოუცვივდებოდნენ.<br>დ. ატლანი დასანგრეველი მიწისძვრის გამო ტბაში ჩაიძირა.<br>ე. წვიმების სეზონის დაწყებიდან ისინი გამხმარ ხეებს ცეცხლს კიდებდნენ და წვავდნენ. | |

**7. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

1. ინდის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო:
   ა. მიწათმოქმედება;
   ბ. მშენებლობა.
   გ. ვაჭრობა;

2. მოჰენჯო-დაროში ერთი გეგმით აგებდნენ:
   ა. ციხესიმაგრეებს;
   ბ. კერძო სახლებს;
   გ. ნებისმიერ შენობას.

**8. შეავსე ტექსტის მიხედვით და წაიკითხე. შეადარე სხვების ნაწერებს.**

**მონაცემები**
ა. არსებობის დრო:
ბ. მდებარეობა:
გ. მოსახლეობა:
დ. კულტურული მემკვიდრეობა:

**ქალაქის დაგეგმარება და არქიტექტურა**

**ქალაქის საკომუნიკაციო სისტემები და მრეწველობა**



**კულტურა და განათლება**

**9. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე აზიის პირველი ქალაქის – მოჰენჯო-დაროს შესახებ.**

## 2. „ბიოლოგიის საუკუნე“

**1. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. შეამოწმე შენი დავალება წიგნის დახმარებით (გვ.130).**

I. როდის იქცა ბიოლოგია წარმატებულ მეცნიერებად?

ა. XX ს-ის დასაწყისში;

ბ. XX ს-ის მეორე ნახევარში;

გ. XIX ს-ში.

II. როდიდან იღებს სათავეს თანამედროვე ბიოტექნოლოგია?

ა. XX ს-ის დასაწყისში;

ბ. XX ს-ის მეორე ნახევარში;

გ. XIX ს-ში.

III. რას გულისხმობს ბიოტექნოლოგია?

ა. საჭირო პროდუქტების მისაღებად ნებისმიერი ორგანიზმის გამოყენებას;

ბ. საჭირო პროდუქტების მისაღებად ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებას;

გ. საჭირო პროდუქტების მისაღებად ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას.

IV. ძირითადად, რაში გამოიყენება ბიოტექნოლოგიის მიღწევები?

ა. ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში;

ბ. მედიცინა;

გ. მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში.

**2. გაეცანი განმარტებებს და დააკავშირე ისინი ქვემოთ მოცემულ წინადადებებთან. რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული სიტყვა „იარაღი“ ცალკეულ შემთხვევაში? მიუწერე შესაბამისი ნომერი.**

იარაღი არის:

1. რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი, ხელსაწყო, ინსტრუმენტი (მიწის დასამუშავებელი იარაღი; სამეურნეო იარაღი, საწარმოო იარაღი (საკვების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ბინის, სათბობისა და სხვა შესაქმნელი საშუალებებს)
2. ბრძოლისა და თავდაცვის საშუალება (თოფი, ზარბაზანი, ხმალი, ხანჯალი)
3. გადატ. რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალება, ღონისძიება;

ა. ცოდნა ჩემი იარაღია! _________

ბ. კუთხეში პატარა სახელოსნო გახსნა და სულ ახალთახალი იარაღი შეიტანა. ______

გ. ქირურგმა ჯერ ხელები დაიმუშავა, შემდეგ იარაღი აიღო და ოპერაციას შეუდგა. ________

დ. ჯარისკაცებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და წინა ხაზზე გაიჭრნენ. ___________

ე. მე ჩემი სიმართლით ვიბრძვი, სიმართლე უძლიერესი იარაღია! _________

ვ. აიღო საჭირო იარაღები და არხის თხრა დაიწყო. _________

ზ. წამოიღე იარაღები და ბაღში წავიდეთ! ________

თ. ელექტრიკოსმა იარაღები აიღო და ბოძზე აძვრა. _________

**3. დააკავშირე ერთმანეთთან.**

*შეიარაღდება / ბრძოლას თავს დაანებებს*

იარაღს აისხამს, ანუ ______________________

იარაღს დაყრის, ანუ ______________________

**4. განმარტე, როგორ გესმის:**

*თავიდან ფეხებამდე (კბილებამდე) იარაღში ჩამჯდარი, შეიარაღებული.*

**5. შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და შეასრულე მოცემული დავალებები.**

*მისი   იარაღს   ის   იარაღის   იარაღად*

*ბიოლოგიურ ომში ______________, როგორც წესი, ვირუსებს, ბაქტერიებს, სოკოებსა და მწერებს გამოიყენებენ. ბიოლოგიური ______________ შესაძლებლობები თვით ყველაზე უბოროტესს ტერორისტებსაც კი შიშის ზარს სცემს. ______________ ძალა, სხვებიდან განსხვავებით, უკონტროლოა. ბიოლოგიურ ______________ არ აქვს საზღვრები. ______________ სხვადასხვა გზებით ვრცელდება: ასაფეთქებელი საშუალებებით, აერზოლის სახით ჰაერში გაბნევით, კვებაში ან სმაში მისი მოხვედრითა და, აგრეთვე, მწერების გზით.*

I. გაასწორე ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომები.

| შეცდომაა: | უნდა იყოს: |
|---|---|
| | |

II. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.

**ა.** აშინებს. ______________________

**ბ.** როცა ვერ შეამოწმებ, მეთვალყურეობას ვერ გაუწევ. ______________________

**გ.** ხაზი, რომელიც ორ ადგილს, ორ ტერიტორიას ერთმანეთისაგან ჰყოფს. ______________________

**დ.** საშუალება, ხერხი. ______________________

**ე.** გაფანტვა, გავრცელება. ______________________

III. გაიხსენე სრული ინფორმაცია ბიოლოგიური ომისა და იარაღის შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.

**ა.** რას უწოდებენ ბიოლოგიურ იარაღს სხვაგვარად და რატომ?

**ბ.** რა არის კონკრეტული ბიოლოგიური იარაღის მიზანი?

**გ.** გარდა ადამიანების განადგურებისა, კიდევ რა მიზანი აქვს ბიოლოგიურ ომს?

IV. დაუბრუნდი ტექსტს მოსწავლის წიგნში (გვ. 59) და შეამოწმე შენი პასუხები.

V. დაუსვით ერთმანეთს კითხვები ტექსტის გარშემო და უპასუხეთ.

**1. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ჰაერში | გადატანა | ______ |
| საკვებში | მოწამვლა | ______ |
| ინფექციის | გაბნევა | ______ |
| მოსახლეობის | მოხვედრა | ______ |

**2. უპასუხე შეკითხვებს და დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**

ა. შენი აზრით, როდის გამოიგონეს ბიოლოგიური იარაღი?

ბ. მის გამოსაგონებლად საჭიროა თუ არა ბიოლოგიის ელემენტარული ცოდნა?

გ. ვის ან რის წინააღმდეგ გამოიყენეს პირველი ბიოლოგიური იარაღი?

**3. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსიები. შეასრულე მოცემული დავალებები.**

*(1) ბიოლოგიური იარაღების მარტივი ფორმები გამოიყენებოდა შორეულ წარსულშიც. მაგალითად, ძვ. წ. აღ-ით VI ს-ში (2) ასირიელებმა სოკოთი მოწამლეს მტრის საკვები. ძვ. წ. 591 წელს ათენელებმა ქალაქ კირას (3) მცხოვრებთა წინააღმდეგ შხამა გამოიყენეს. მათ მდინარეში აყვავებული შხამა ჩააფინეს და (4) ქალაქის მოსახლეობა მოწამლეს. ძვ. წ. აღ-ით 184 წელს კართაგენელმა სარდალმა ჰანიბალმა პირველმა დაამზადა (5) „ბიოლოგიური ჭურვები“. მან პერგამონელების გემებზე გველის (6) შხამით სავსე თიხის ქოთნები ისროლა. 1346 წელს მონღოლებმა ალყაში მოქცეულ ქალაქ (7) კაფას შავი ჭირით დაავადებული გვამები ესროლეს.*

ა. დააკავშირე ერთმანეთთან.

| | | |
|---|---|---|
| მოწამლული | საკვები | ______ |
| ჩაფენილი | შხამა | ______ |
| ნასროლი | ქოთნები | ______ |
| დამზადებული | ჭურვები | ______ |

ბ. უპასუხე შეკითხვებს.

- რა აჭამეს ასირიელებმა მტერს?
- ვინ გამოიყენა მოწამლული წყალი?
- რა მოწამლეს ათენელებმა?
- რისგან იყო დამზადებული ჰანიბალის „ბიოლოგიური ჭურვები“?
- რა იყო კართაგენელების მიერ ნასროლ ქოთნებში?
- როგორ დაამარცხეს მონღოლებმა კაფას მცხოვრებლები?

გ. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები და ამოწერე.

- ბინადარი, მოსახლე, მკვიდრი. ______
- ფართოპირიანი, ყელგანიერი ჭურჭელი. ______
- ასაფეთქებელი საბრძოლო იარაღი, იგივეა, რაც ყუმბარა. ______
- მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი. ______
- ბლოკირებული. ______

**დ.** ტექსტში ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად ჩაწერე შესაბამისი ნაცვალსახელები.

1. ____________ 2. ____________ 3. ____________ 4. ____________

5.____________ 6____________ 7. ____________

**4. გაეცანი მოცემულ შეკითხვებს, მოძებნე მათ შესახებ ინფორმაცია და წარუდგინე კლასელებს.**

- ვინ არიან ასირიელები და რა იცი მათ შესახებ?
- სად ცხოვრობენ ისინი?
- რომელია მათი მშობლიური ენები?
- არიან თუ არა საქართველოში ასირიელები და, თუ არიან, სად ცხოვრობენ ისინი? რას საქმიანობენ? როგორია მათი კულტურა, ტრადიციები? და ა. შ.

**5. გამოიყენე წიგნი (გვ. 60), შეავსე ცხრილი და შეასრულე მის ქვეშ მოცემული მითითებები.**

| | იან ვილმუტი | ნისარ ახმად ვანი | ჰუან ვუსუკი |
|---|---|---|---|
| პროფესია | | | |
| წარმომავლობა | | | |
| მოღვაწეობის ადგილი | | | |
| განსაკუთრებული წარმატება:<br>ა. რა?<br>ბ. როდის?<br>გ. სად?<br>დ. ვისთან ერთად | | | |

**ა.** დასვი შეკითხვები ცხრილში მოცემული ინფორმაციების მიხედვით.

- ________________________________________?
- ________________________________________?
- ________________________________________?
- ________________________________________?
- ________________________________________?
- ________________________________________?

**ბ.** დაუსვით ერთმანეთს თქვენი შეკითხვები და უპასუხეთ.

**1. გაიხსენე, რომელს ეხება მოცემული ინფორმაცია და მონიშნე შესაბამისი უჯრა.**

| | დოლი | ინჯაზი | სნუპი |
|---|---|---|---|
| 1. სამიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. | | | |
| 2. მან სულ ექვსი წელი იცოცხლა. | | | |
| 3. ის იყო პირველი ასეთი ერთკუზიანი ცხოველი. | | | |
| 4. მის შექმნამდე წინ ბევრი წარუმატებელი ექსპერიმენ-ტი ჩატარდა. | | | |
| 4. მის შექმნაზე 45-კაციანი ჯგუფი მუშაობდა. | | | |

**2. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა? შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. *კლონირების გზით დაბადებულ ცხოველებს არაბუნებრივად დიდი ზომის შინაგანი ორგანოები ახასიათებთ.*

1. მეტისმეტად, ძლიერ
2. უცნაურად, უჩვეულოდ
3. სასტიკად, მწვავედ

ბ. *უმეტესობა აღიარებს, რომ ადამიანის კლონირება უკიდურესად სახიფათოა.*

4. მეტისმეტად, ძლიერ
5. უცნაურად, უჩვეულოდ
6. სასტიკად, მწვავედ

გ. *პოლიტიკოსებმა და რიგითმა ადამიანებმაც მძაფრად გააკრიტიკეს ადამიანთა კლონირება.*

1. მეტისმეტად, ძლიერ
2. უცნაურად, უჩვეულოდ
3. სასტიკად, მწვავედ

**3. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები წინა დავალებაში მოცემულ წინადადებებში და ამოწერე.**

ა. საშიში, ანუ ____________________

ბ. გაჩენილი, შექმნილი, ანუ ____________________

გ. ჩვეულებრივი, უბრალო, ანუ ____________________

დ. სიმართლის თქმა, გამოტყდომა, ანუ ____________________

**4. დააკავშირე ერთმანეთთან და განმარტე შენი სიტყვებით, რას ნიშნავს.**

| | |
|---|---|
| ამკრძალავი | მოწოდება |
| აკრძალული | კანონი |
| აკრძალვის | ქმედება |

ა. ____________________

ბ. ____________________

გ. ____________________

**5. გაეცანი ორ ინფორმაციას და შეასრულე მოცემული დავალება.**

1. *საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გამოვიდა მსოფლიო მასშტაბით ადამიანის კლონირების აკრძალვის მოწოდებით.*
2. *მისი განცხადებით, „საფრანგეთში ისეთი პროცედურა, რომელიც ლახავს ადამიანის ღირსებას, ბოროტმოქმედებად ითვლება“.*

რა გამომდინარეობს ამ ორი ინფორმაციიდან? როგორია ჟაკ შირაკის აზრი ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებით? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

**ა.** ადამიანის კლონირება დანაშაულია;

**ბ.** კლონირება ადამიანის შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ქმედებაა;

**გ.** კლონირება, როგორც დანაშაული, საფრანგეთში აკრძალულია.

მოიტანე სიტყვები, რომლებიც შენს პასუხს დაასაბუთებს.

**6. დაუბრუნდი წიგნს და ჩაწერე, კონკრეტულად რა არგუმენტები აქვთ მათ კლონირების საწინააღმდეგოდ.**

| | |
|---|---|
| მეცნიერები | |
| პოლიტიკოსები | |
| სასულიერო პირები | |

**7. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მოცემული მითითებები.**

I. უარყავი მეცნიერთა პოზიცია სათანადო არგუმენტებით.

II. დაასაბუთე პოლიტიკოსთა პოზიცია სათანადო არგუმენტებით.

III. გამოხატე შენი რეალური პოზიცია კლონირებასთან დაკავშირებით და დაასაბუთე.

1. **წაიკითხე და შეადარე სხვების მოსაზრებებს.**

2. **გაეცანი მოცემულ მითითებებს და, საჭიროებისამებრ, ბიოლოგიის მასწავლებლის დახმარებით მოამზადე პროექტი – „საკვები დანამატები“.**

I. პირველ რიგში, მოიძიე ინფორმაცია საკვები დანამატების შესახებ და შეადგინე შესაბამისი საგნის მასწავლებლის დახმარებით საკვები დანამატების ცხრილი.

II. შეაგროვე შენ მიერ მოხმარებული საკვები პროდუქტების ეტიკეტები და დაახარისხე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა. ეტიკეტები, რომლებზედაც კონკრეტულად არის მითითებული, რომელი ემულგატორები შედის პროდუქტის შემადგენლობაში;

ბ. ეტიკეტები, რომლებზედაც მხოლოდ ზოგადად არის აღნიშნული, რომ ის შეიცავს ემულგატორებს.

გ. ეტიკეტები, რომლებიც ამ მხრივ საერთოდ არ იძლევა ინფორმაციას.

III. დაუბრუნდი პირველი ტიპის ეტიკეტებს (ა) და ცხრილის დახმარებით გაარკვიე, რომელ საკვებ დანამატებს შეიცავენ ისინი.

IV. გამოკვეთე, არის თუ არა მათ შორის ორგანიზმისათვის საშიში ნივთიერებები და დააზუსტე ისინი.

V. გააანალიზე და გააცანი კლასელებს. მიუთითე პროდუქტი და შესაბამისი შემადგენელი ნივთიერება.

| ვიცი, რას ვჭამ | არ ვიცი, რას ვჭამ |
|---|---|
| უსაფრთხო: | |
| ნაკლებად საშიში: | |
| საშიში: | |
| ძალიან საშიში: | |
| და ა.შ. | |

## 3. ჩვენ ვიცავთ ბუნებას!

**3. რას ნიშნავს სიტყვა „ბუნება"? განმარტე და მიუთითე, შენი აზრით, რა მნიშვნელობებით იხმარება ის ენაში. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით.**

- ა. იხმარება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით;
- ბ. იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით.

**4. წაიკითხე განმარტებები და შეამოწმე შენი ვერსია. დააკავშირე ისინი მოცემულ წინადადებებთან. ჩაწერე შესაბამისი განმარტების ნომერი.**

„ბუნება" არის:

- I. *რეალურად არსებული სამყარო (დედამიწა, ჰაერი, წყალი, ცის სხეულები, მცენარეები, ცხოველები);*
- II. *რისამე არსი, ძირითადი თვისება; ხასიათი, ზნე.*

- ა. „ო, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!" ___________
- ბ. გიორგი სულ სხვა ბუნების ადამიანია. ___________
- გ. ბუნებით მშვიდი იყო, მაგრამ ზოგჯერ გაფიცხებაც იცოდა. ___________
- დ. დაბნელდა. ბუნება დასაძინებლად მოემზადა. ___________
- ე. არაჩვეულებრივი ბუნება იყო, მსგავსი სილამაზე არსად მინახავს! ___________
- ვ. დიდი კატები ველური ბუნების „შვილები" არიან. ___________
- ზ. „ადრე ბუნება ემუქრებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი ემუქრება ბუნებას!" ___________

**5. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| 1. ბუნების წიაღში | ა. ბუნებაში არსებული შეუცნობელი უნარი |
| 2. ბუნების შვილები | ბ. ცის ქვეშ (ტყეში, მთაში, მინდორში...) |
| 3. ბუნების სამყარო | გ. ბუნებრივ გარემოში მცხოვრები, ცივილიზაციისაგან თავისუფალი ადამიანები |
| 4. ბუნების ძალა | დ. ბუნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით |

1. ___________ 2. ___________ 3. ___________ 4. ___________

**6. გადაახარისხე მოცემული სიტყვები.**

ქათამი ასტეროიდი ადამიანი ხე აისბერგი ქვა ხე სოკო ჰაერი
ბაქტერია არწივი კლდე ვეფხვი მარსი ყვავილი ჩანჩქერი
თევზი ღრუბელი ნისლი ჭიამაია აისბერგი ვარსკვლავი

**7. ცოცხალი ბუნებრივი სხეული:** ____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

**8. არაცოცხალი ბუნებრივი სხეული:** ____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

**1. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

*„დედამიწაზე არსებული ყველა ბუნებრივი სხეული ნივთიერებებისაგან შედგება. ნივთიერებების უმრავლესობა თხევადი, აირადი (გაზობრივი) და მყარი ნივთიერებების სახით არსებობს.“*

**ა.** დაუბრუნდი წინა დავალებას და იქ მოცემული ბუნებრივი სხეულები გაანაწილე შესაბამისი კრიტერიუმებით:

**თხევადი:** ____________________

**აირადი:** ____________________

**მყარი:** ____________________

____________________

**ბ.** დაამატე, კიდევ რომელი თხევადი ნივთიერებები იცი.

**გ.** დაასახელე ნივთიერება, რომელიც სამივე მდგომარეობაში არსებობს. ____________

**დ.** წაიკითხე და გაარკვიე, როგორი სხეულია. ჩაწერე მითითებული სიტყვები.

თხევადი აირადი მყარი

- ინარჩუნებს ფორმას. ____________________
- ხშირად მისი დანახვა შეუძლებელია. ____________________
- ზემოქმედებისას იცვლის ფორმას. ____________________
- მიედინება. ____________________
- ვრცელდება ჰაერში. ____________________
- ილვრება. ____________________
- ის შეიძლება გატყდეს. ____________________

**2. დააკავშირე ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| მცენარე | ნიანგი, გველი, კუ, ქამელეონი ... |
| მწერი | ბეჰემოთი, ვეშაპი, მგელი, ცხენი ... |
| ძუძუმწოვარი | ხე, ყვავილი, ბუჩქი, ბალახი ... |
| ქვეწარმავალი | პეპელა, კალია, ფუტკარი, ბუზი... |

**3. გადახაზე ზედმეტი სიტყვა და უპასუხე შეკითხვებს.**

- *რით ჰგავს დანარჩენი (მსგავსი) სიტყვები ერთმანეთს? რა აქვს მათ საერთო?*
- *რით განსხვავდება „ზედმეტი“ სიტყვა დანარჩენებისაგან?*

**ა.** მცენარე ცხოველი ფრინველი ქვეწარმავალი გველი

**ბ.** ჩანჩქერი ნისლი ტბა ვეშაპი ყინული

**გ.** პეპელა მწერი ობობა ფუტკარი კალია

**4. გაიხსენე ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

ა. უპასუხე შეკითხვებს.

- რა მოხდა 1972 წელს სტოკჰოლმში?
- ვინ იყო ამის ინიციატორი?
- რით არის იაპონია ყველაზე წარმატებული ქვეყანა?
- როდის აღნიშნავენ გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს?

ბ. გაიხსენე, რას შეახსენებს გაერო ადამიანებს და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

*„ადამიანებს უჭირთ იმის გაგება, რომ რაღაც ________________________, თუმცა, როცა მეზობელ ქვეყანაში ________________________ აბობოქრდება ხოლმე, მაშინვე აგონდებათ ______________________. შესაძლებელია, ეს ერთა-დერთია, რაც ყველა ____________________________________________________ ________________________________________________.*

გ. წაიკითხე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი (მოსწ. წიგნი გვ.131).

დ. დაუბრუნდი გაეროს მიერ ნათქვამ სიტყვებს და უპასუხე შეკითხვებს.

- რის გაგება უჭირთ ადამიანებს?
- რა არის ის „რაღაც“, რაც ადამიანებს აერთიანებთ? დაასაბუთე პასუხი ტექს-ტის მიხედვით.
- როგორ გესმის სიტყვა „აბობოქრდება“?
- გაიხსენე, სად და როდის აბობოქრდა ბუნება ბოლოს და რაში გამოიხატა ეს.
- შენ თუ გახსოვს გარემო და რას აკეთებ მის დასაცავად?

ე. ეთანხმები თუ არა სიტყვებს: *„შესაძლებელია, ბუნება ერთადერთია, რაც ყველა ქვეყანასა და ყველა კულტურას აერთიანებს“.*

დაადასტურე ან უარყავი მოცემული დებულება სათანადო არგუმენტებით.

**გაითვალისწინე!**

- მოიყვანე სათანადო ფაქტები, ანალოგიები, მაგალითები.
- შეეცადე, შენ მიერ მოყვანილი არგუმენტებით თანაკლასელებში გამოიწვიო გარკვეული ემოციები.

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

________________________________________________________________________

**1. გაიხსენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ.67 ) და შემოხაზე სწორი ვარიანტები.**

ა. გარკვეული სახეობების გადაშენება:

- ბუნებრივი პროცესია;
- ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობების შედეგია;
- ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზია.

ბ. ბრაკონიერები:

- აბინძურებენ გარემოს;
- ანადგურებენ ფლორას და ფაუნას;
- არ იცავენ ნადირობის, თევზაობის წესებს.

გ. ბიოლოგების აზრით:

- დედამიწის ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას;
- ადამიანები გადაარჩენენ გაქრობის წინაშე მდგარ ცოცხალ ორგანიზმებს;
- ბუნება თავად იზრუნებს საკუთარი თავის გადასარჩენად.

**2. გაიხსენე ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. მოძებნე ტექსტში მცდარი ინფორმაცია და გაასწორე.

*მეცნიერები დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებენ: მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილებიდან თანდათან ქრებიან მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, 10 წელიწადში საერთოდ გაქრება ქვეწარმავლებისა და მწერების ყველა სახეობა.*

*გასულ საუკუნეში მკვეთრად შემცირდა ლომების, ლეოპარდების, ავაზებისა და, განსაკუთრებით, ვეფხვების რაოდენობა. ორი ათწლეულის შემდეგ შეიძლება კვლავ გაიზარდოს დიდი კატების უმეტესობის რიცხვი.*

| მცდარია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| | |

ბ. თავიდან მოისმინე და შეამოწმე შენი ნაწერი.

გ. დაასაბუთე მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.

საიდან ჩანს, რომ:

- პრობლემა სერიოზულია?
- პრობლემა მასობრივ ხასიათს ატარებს?
- მთელს მსოფლიოს ეხება?

დ. როგორია შენი პოზიცია ამ განცხადებასთან დაკავშირებით? ფიქრობ თუ არა, რომ მეცნიერთა შეშფოთება გაზვიადებულია? რას ემყარება მათი ვარაუდი? არის თუ არა ეს განცხადება საკმარისი და დამაჯერებელი შენთვის და რატომ? მეტი დამარწმუნებლობისათვის რა აკლია მეცნიერთა არგუმენტებს?

**3. მოისმინე ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ანალიზის შედეგები და ჩასვი გამოტოვებული ციფრები.**

გასული ნახევარი საუკუნისათვის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ანალიზმა შემდეგი სურათი აჩვენა:

- ლომების რაოდენობა ______________ _მდე შემცირდა აფრიკის ველურ ბუნებაში, როცა 50 წლის წინ ______________ს აღწევდა.
- ავაზების მაჩვენებელი დაეცა ______________ _დან ______________მდე.
- ლეოპარდების რაოდენობა შეიცვალა ______________დან ______________მდე.
- ველურ ბუნებაში სულ რაღაც ______________ ვეფხვია, როცა მათი რიცხვი ადრე ______________ _ს აღწევდა.

**4. დაუბრუნდი წინა დავალებას, გამოიყენე ანალიზის შედეგები და თავიდან გამოხატე შენი პოზიცია მეცნიერთა შეშფოთებასთან დაკავშირებით.**

**5. დაუბრუნდი მეცნიერთა განცხადებას. რა არის, შენი აზრით, ფუტკრებისა და დიდი კატების გაქრობის კონკრეტული მიზეზები? ჩაწერე ცხრილში და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.**

| | | |
|---|---|---|
| <br>**ფუტკარი** |  <br>**ბენგალური ვეფხვი** **აფრიკული ლომი** | <br>**იაგუარი** |
| | | |

**6. მოისმინე ინფორმაცია და ჩაწერე ცხრილში გაქრობის რეალური მიზეზები. შეადარე ისინი შენს ვერსიებს. დაასახელე, რომელი ინფორმაცია იყო შენთვის მოულოდნელი და რატომ?**

| | |
|---|---|
| ფუტკრების გაქრობის მიზეზები | |
| ბენგალური ვეფხვისა და აფრიკული ლომების გაქრობის მიზეზები | |
| იაგუარის გაქრობის მიზეზები | |



RVEULI_Done-11_Qartuli _ 105

**1. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. ცხოველი ან ფრინველი, რომელიც იჭერს და ჭამს სხვა ცხოველებს ან ფრინველებს, არის:

- გარეული
- საშიში
- მტაცებელი

ბ. ცხოველს, რომელიც მკვდარი ცხოველებით იკვებება, უწოდებენ:

- ხორცისმჭამელს
- ლეშისმჭამელს
- ყველაფრისმჭამელს

გ. მკვდარ ცხოველს ჰქვია:

- მძორი, იგივე ლეში
- გვამი
- ჩონჩხი

2. **გაეცანით მოცემულ შეკითხვებს და იმსჯელეთ მათ შესახებ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები სათანადო არგუმენტებით. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

ა. მართლაც არის თუ არა შემაშფოთებელი მთავარი მტაცებლების გაქრობა დედამიწიდან?

ბ. რა შეიძლება გამოიწვიოს მათმა გაქრობამ?

გ. ვინ ან რა დაზარალდება ამით?

**3. გაიხსენე ინფორმაცია ტიპი დეგრეს შესახებ და გაასწორე მცდარი ინფორმაცია.**

| | |
|---|---|
| ფრანგმა ჟურნალისტებმა, სილვია რობერტიმ და ალენ დეგრემ, ერთმანეთი საჰარის უდაბნოში გაიცნეს. 1990 წელს კი მათ ნამიბიაში ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ტიპი დაარქვეს.<br>მოგვიანებით გოგონას შესახებ არაერთი მხატვრული ფილმი გადაიღეს. გამოიცა წიგნები, დაიწერა სტატიები, დაიბეჭდა მისი ინტერვიუები.<br>ის ახლაც ნამიბიაში ცხოვრობს ჰიმბას ტომთან ერთად, თუმცა თავს ფრანგად მიიჩნევს. სურს, მიიღოს ნამიბიის მოქალაქეობა. ცხოვრების მთავარ მიზნად ტიპი გარემოზე ზრუნვას ასახელებს. ის ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საბავშვო ფონდის სპიკერია. ტიპი დეგრეს მთავარი დევიზია – სანამ ძალიან გვიან არ იქნება, გადავარჩინოთ ველური ბუნება! | |

**4. გაიხსენე ტექსტი ტიპი დეგრეს აფრიკული ცხოვრების შესახებ და მოცემული სიტყვე-ბის გამოყენებით აღადგინე კონტექსტი. შეავსე ცხრილის I სვეტი.**

| | როგორ გახსოვს შენ? | როგორ არის ტექსტში? |
|---|---|---|
| ზრუნავდნენ | | |
| ცხოვრების წესს | | |
| მშვილდით | | |
| ოკანტი | | |
| ადგილობრივ დიალექტზე | | |
| არ იცილებდა | | |
| ხორთუმზე | | |
| მიუწვებოდა | | |
| ენა ამოიდგა | | |
| თავს დაესხა | | |
| გაიძურწა | | |

**5. გამოიყენე წიგნი და შეავსე ცხრილის II სვეტი. შეადარე ეს წინადადებები ერთმანეთს და დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**6. მოძებნე და გაასწორე ენობრივი შეცდომები.**

| | |
|---|---|
| ა. ტიპი მაშინ ერთი წლის და ნახევრის იყო.<br>ბ. სპილოს სულ გვერდზე ჰყავდა გოგონა.<br>გ. სპილო გოგომას ქვეწარმავლებიდან იცავდა.<br>დ. ტიპი ყველაზე უფრო ლეოპარდთან მეგობ-ბრობდა.<br>ე. გოგონა მიეჭრა მის ოთხფეხა მეგობარს.<br>ვ. მან უგვანო საქციელის გამო მეგობარს ლაზა-თიანი სილა გააწნა. | |

1. **გაასწორე წიგნში მოცემულ ტექსტში არსებული მცდარი ინფორმაცია ტიპი დეგრეს შესახებ (გვ.68 , დავალება № 3) და წაიკითხე.**

| მცდარია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| | |

2. **წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე დავალების სისწორე.**

ა. *„წითელი წიგნის“ შექმნის იდეა ეკუთვნის:*
- ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირს;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციას;
- მსოფლიო ეკოლოგთა გაერთიანებას.

ბ. პირველი წიგნი მომზადდა და გამოიცა:
- მე-20 ს-ის I ნახევარში;
- 1966 წელს;
- 1982 წელს.

გ. წიგნი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:
- როგორ გადავარჩინოთ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცოცხალი ორგანიზმები;
- ვინ ან რამ შეუწყო ხელი ამ საფრთხეს;
- სად რომელ ცოცხალ ორგანიზმებს ემუქრებათ გაქრობა.

3. **ამოწერე ტექსტიდან (მოსწ. წიგნი, გვ. 72-73, საქართველოს დაცული ტერიტორიები) გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების ჩამონათვალი, გაარკვიე მათი მნიშვნელობები და მიუწერე მათი შესატყვისები შენს მშობლიურ ენაზე.**

| | |
|---|---|
| დაცული ცხო-ველები | |
| დაცული ფრინ-ველები | |
| დაცული მცენარეები | |

4. **დაიყავით ჯგუფებად, მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში დაცული ტერიტორიების შესახებ, აირჩიეთ ერთ-ერთი პროექტი და შეასრულეთ მოცემული მითითებები.**

I ა. შეადგინეთ საქართველოს რუკა და გადაიტანეთ თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია რუკაზე რეგიონების მიხედვით;

ბ. დაუბრუნდით თქვენს რეგიონში არსებულ დაცულ ტერიტორიას და მოამზადეთ ინფორმაცია მის შესახებ:

- მიუთითეთ დაცული ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები; რა ფართობზეა გაშლილი?
- გადმოეცით მისი ისტორია;
- წარმოადგინეთ ინფორმაცია იქ დაცული გადაშენების პირას მყოფი მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების შესახებ;
- შეისწავლეთ ტერიტორიის თანამედროვე ვითარება – რა მდგომარეობაა იქ ეკოლოგიის თვალსაზრისით, არის თუ არა ეკოლოგიური პრობლემები, საჭიროებს თუ არა დამატებით ზრუნვას დაცული ტერიტორიის ბუნება და ძეგლები და ა.შ.
- მოიძიეთ, არის თუ არა ტერიტორიაზე საინტერესო ობიექტები (კულტურული ძეგლები და სხვა ღირსშესანიშნაობები) და აღწერეთ ისინი;
- მოიძიეთ (ან თავად გადაიღეთ) სათანადო ფოტოები ფოტოალბომის შესაქმნელად;
- მიუთითეთ ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაცია – როგორ, რით შეიძლება ტერიტორიაზე გადაადგილება, რა არის დაშვებული ტურისტებისათვის და რა – არა, არსებობს თუ არა სპეციალურად განსაზღვრული მარშრუტები და ა.შ.

II ა. შეადგინეთ საქართველოში დაცული ტერიტორიების კატალოგი;

ბ. დაურთეთ ფოტოები და გააცანით ერთმანეთს;

## წაკითხულის გააზრება

**5. გამოიყენე წიგნში არსებული ტექსტი (გვ. 74) და შეასრულე მოცემული დავალებები.**

1. რატომ არის საფრთხის შემცველი გენური ინჟინერიის გამოყენება (უპასუხეთ I აბზაცზე დაყრდნობით)?

________________________________________

________________________________________

2. I აბზაცის მიხედვით, რა ძირითადი განსხვავებაა ბუნებრივ ევოლუციასა და გენურ ინჟინერიას შორის?

________________________________________

________________________________________

3. I აბზაცის დასასრულს მოყვანილია ფრენსის ბეკონის გამონათქვამი: „ბუნებაზე იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ემორჩილება ბუნების კანონებს". ამ გამონათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) თუკი გსურს არ დაემორჩილო ბუნებას, უნდა გაიმარჯვო ბუნების კანონებზე;

ბ) თუკი გსურს გაიმარჯვო ბუნებაზე, უნდა დაემორჩილო ბუნების კანონებს;

გ) თუკი გსურს გაიმარჯვო ბუნების კანონებზე, არ უნდა დაემორჩილო ბუნებას;

დ) თუკი არ გსურს გაიმარჯვო ბუნებაზე, უნდა დაემორჩილო ბუნების კანონებს.

4. I აბზაცში ვკითხულობთ: "სპეციალისტები ჩქარობენ, ატარებენ ახალ-ახალ ექსპერიმენტებს, რათა რაც შეიძლება სწრაფად შექმნან ახალი ჯიშები და სახეობები". რა მიმართებაა წინადადების პირველ და მეორე ნაწილებს შორის? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა) მიზეზშედეგობრივი;

ბ) ქრონოლოგიური ანუ დროითი;

გ) მიზანი - საშუალება;

დ) პირობა და შედეგი

5. რა სახელწოდებით მოიხსენიებს ავტორი გენურ ინჟინერიას? (უპასუხეთ პირველი აბზაცის მიხედვით)

______________________________________________

6. ამოიწერეთ II აბზაცის თემატური წინადადება.

______________________________________________

7. II აბზაცის მიხედვით, გენური ინჟინერიის მიმართ ადამიანებს მეტისმეტად ოპტიმისტური დამოკიდებულება აქვთ. ეს გულისხმობს, რომ ისინი:

ა) გაიაზრებენ გენური ინჟინერიის უარყოფით მხარეებს;

ბ) გაიაზრებენ გენური ინჟინერიის დადებით მხარეებს;

გ) აზვიადებენ გენური ინჟინერიის დადებით მხარეებს;

დ) აზვიადებენ გენური ინჟინერიის უარყოფით მხარეებს.

8. ტექსტის თანახმად, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულება გენური ინჟინერიის მიმართ მეტისმეტად ოპტიმისტურია. შემოხაზეთ ვარიანტი, რომელშიც განსხვავებული აზრია გამოთქმული.

*ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულება გენური ინჟინერიის მიმართ:*

ა) უზომოდ ოპტიმისტურია; გ) არცთუ ისე ოპტიმისტურია;

ბ) ზომიერად ოპტიმისტურია; დ) საკმაოდ ოპტიმისტურია.

9. ამოიწერეთ მესამე აბზაცის თემატური წინადადება.

______________________________________________

______________________________________________

10. რა კონკრეტული მაგალითებია მოყვანილი III აბზაცში იმის დასამტკიცებლად, რომ გენური ინჟინერიის გამოყენებას ზოგჯერ მოულოდნელი პრობლემები ახლავს?

______________________________________________

11. დაალაგეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედებები ისე, რომ მათი თანამიმდევრობა შეესაბამებოდეს გენმოდიფიცირებული სოიოს პროდუქტების დამზადებისა და გამოყენების ეტაპებს.

გენმოდიფიცირებული სოიოს პროდუქტების ამოღება გაყიდვიდან; ________

ბრაზილიური თხილის გენის გადანერგვა სოიოში; ________

გენმოდიფიცირებული სოიოს შექმნა; ________

ბრაზილიური თხილისაგან გენის გამოყოფა; ________

საკვები პროდუქტების დამზადება გენმოდიფიცირებული სოიოთი. ________

12. ავტორის აზრით, რატომ უნდა აიკრძალოს გენური ინჟინერიის გამოყენება?

______________________________________________

13. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი. ამოწერე არგუმენტები და მოიტანე კონკრეტული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გაამყარებს ამ არგუმენტებს.

| აბზაცები | არგუმენტები | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|
| III აბზაცი | გენური ინჟინერიის გამოყენება ხშირად წარმოქმნის ახალ პრობლემებს, რომლებიც სრულიად მოულოდნელია ხოლმე თვით სპეციალისტებისთვისაც კი. | გენური ინჟინერიის გზით მიიღეს რაფსის (ბოლოკისმაგვარი მცენარის) ახალი ჯიში, რომელიც კარგად უძლებდა პესტიციდებს. ამის შემდეგ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზედაც გენმოდიფიცირებული რაფსი იყო დათესილი, თამამად იყენებდნენ პესტიციდებს — ისინი ანადგურებდნენ სარეველებს და არ აზიანებდნენ რაფსის კულტურას. თანდათანობით მდგომარეობა შეიცვალა: გენმოდიფიცირებულმა რაფსმა თავისი გამძლეობის გენი მტვრის მარცვლით გადასცა სარეველა ბალახებს. შესაბამისად, პესტიციდები ველარ სპობდნენ სარეველებს და ისინი ფართოდ გავრცელდა ნაკვეთებზე. |
| I აბზაცი | | |
| II აბზაცი | | |

**1. გამოიყენე წიგნში არსებული მეორე ტექსტი (გვ. 75) და შეასრულე მოცემული დავალებები.**

1. რას ეყრდნობა ავტორი რეალობაში ნანახისა და ეკრანზე ნანახის ერთმანეთთან შედარების დროს? პასუხის დასაბუთებისათვის ამოიწერე ტექსტიდან სათანადო სიტყვები.

1. ____________________
2. ____________________

2. შემოხაზე სწორი ვარიანტი. "საყოველთაოდ ცნობილი" არის ის, რაც:

ა) ყველასთვის უნდა გახდეს ცნობილი;

ბ) ყველასთვისაა ცნობილი;

გ) ყველასთვის შეიძლება გახდეს ცნობილი;

დ) თითქმის ყველასთვისაა ცნობილი.

3. შენი აზრით, რა მიზნითაა აღწერილი ტექსტში ზოოპარკის დათვალიერების პრაქტიკა? რის დასაბუთებას ცდილობს ამით ავტორი?

____________________

4. რა არგუმენტებია მოყვანილი პირველ აბზაცში იმის დასამტკიცებლად, რომ ზოოპარკები საჭიროა საზოგადოების განვითარებისათვის?

1. ______________________________

2. ______________________________

5. II აბზაცში მოყვანილია ბუნების დამცველი ორგანიზაციების განცხადება. შენი აზრით, რა მიზნით მოჰყავს ავტორს ეს განცხადება? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ავტორის მიზანია, გვიჩვენოს, რომ იგი:

ა) არ ეთანხმება ამ განცხადებას;

ბ) კარგადაა ინფორმირებული;

გ) არ ითვალისწინებს ამ განცხადებას;

დ) საპირისპიროდაა განწყობილი.

6. როგორ ფიქრობ, რა ზეგავლენას ახდენს მკითხველზე საპირისპირო არგუმენტის მოყვანა? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

*მკითხველი რწმუნდება, რომ ავტორის პოზიცია:*

ა) ობიექტურია:      გ) სუბიექტურია;

ბ) მერყევია;      დ) საეჭვოა.

7. რით ასაბუთებს ავტორი, რომ ზოოპარკებში საუკეთესო პირობებია შექმნილი?

______________________________

8. რა კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ავტორს იმის დასამტკიცებლად, რომ ცხოველებს აქვთ შესაფერისი ბუნებრივი გარემო?

______________________________

9. რა კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ავტორს იმის დასამტკიცებლად, რომ ზოოპარკებმა გადაარჩინა ზოგიერთი ცხოველი?

______________________________

10. III აბზაცზე დაყრდნობით დაასახელე 2 ფაქტორი, რომლებიც დადებით ზეგავლენას ახდენს ზოოპარკის სტუმარზე.

______________________________

11. რა კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ავტორს იმის დასამტკიცებლად, რომ ველური ბუნების დაცვა აქტუალურია დღეისათვის?

______________________________

12. ტექსტის ბოლოს ვკითხულობთ: „რაც უფრო მეტ ადამიანს ექნება ბუნების მრავალფეროვნების დაფასების... უნარი, მით უფრო ნაკლები ძალისხმევა იქნება საჭირო ველური ბუნების დასაცავად". შემოხაზე წინადადება, რომელშიც მსგავსი აზრია გამოთქმული.

**ა.** რამდენადაც შემცირდება ბუნების დამფასებელი ადამიანების რაოდენობა, იმდენად ნაკლები ძალისხმევა იქნება საჭირო ველური ბუნების დასაცავად;

ბ. რამდენადაც გაიზრდება ბუნების დამფასებელი ადამიანების რაოდენობა, იმდენად ნაკლები ძალისხმევა იქნება საჭირო ველური ბუნების დასაცავად;

გ. ბუნების დამფასებელი ადამიანების რაოდენობის გაზრდა ვერ შეამცირებს იმ ძალისხმევას, რომელიც ველური ბუნების დასაცავადაა საჭირო;

დ. ბუნების დამფასებელი ადამიანების რაოდენობის გაზრდა გაზრდის  იმ ძალისხმევას, რომელიც ველური ბუნების დასაცავადაა საჭირო.

13. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი. ამოწერე არგუმენტები და მოიტანე კონკრეტული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გაამყარებს ამ არგუმენტებს.

| აბზაცები | არგუმენტები | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|
| I აბზაცი | ზოოპარკის მონახულება ადამიანს აძლევს გარეულ ცხოველებთან ურთიერთობის რეალურ გამოცდილებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენისა და პიროვნების განვითარებისათვის. | ქართული ანდაზა: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია. |
| II აბზაცი | | |
| III აბზაცი | | |

# მომსახურება

## 1. ფული, ფული ...

**1. გაიხსენე ნაწყვეტი რობინზონ კრუზოს შესახებ და შეასრულე მოცემული მითითებები.**

**ა.** წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრა.

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს |
|---|---|---|---|
| 1. რობინზონ კრუზომ, საბოლოოდ, ყველაფერი გადმოზიდა გემიდან. | | | |
| 2. სამი სამართებლიდან ერთი გატეხილი აღმოჩნდა. | | | |
| 3. კარადის ერთ-ერთ უჯრაში მან ევროპული და ბრაზილიური მონეტები იპოვა. | | | |
| 4. რობინზონ კრუზოს ძალიან გაუხარდა ფულის დანახვა. | | | |
| 5. მან ნაწილი ფული ზღვაში გადაყარა, ნაწილი კი ნაპირზე გადაიტანა. | | | |
| 6. ტივი რობინზონ კრუზომ გემის ფიცრებისაგან შეკრა. | | | |
| 7. შეკრული ტივი პატარა, მაგრამ გამძლე აღმოჩნდა. | | | |

**ბ.** გამოიყენე წიგნი და შეამოწმე შენი ნაწერი. გაასწორე მცდარი ინფორმაცია ტექსტზე დაყრდნობით.

**გ.** დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტიდან მოტანილი ფრაზით.

- *რობინზონ კრუზო მზად იყო, რომ მთელი გემი დაეშალა.* ________

  **საიდან ჩანს?** ________________________________________

  ________________________________________

- *ნაპირზე ყველაფრის გადატანაში მას ამინდმა შეუშალა ხელი.* ________

  **საიდან ჩანს?** ________________________________________

  ________________________________________

- *ფული, რომელიც რობინზონ კრუზომ იპოვა, არც ისე ბევრი იყო.* ________

  **საიდან ჩანს?** ________________________________________

  ________________________________________

- *ის დარწმუნებული იყო, რომ ფული აუცილებლად გამოადგებოდა.* ________

  **საიდან ჩანს?** ________________________________________

  ________________________________________

**დ.** მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ტექსტში და ამოწერე.

- გადაჩხრეკილი, შემოწმებული, ________________________
- ძველი, გამოუსადეგარი ნივთები, ________________________

- ერთ ადგილზე გროვად დაყრილი, ______________________________-
- დამსახურებული, შესაფერი, ___________________________

**2. წაიკითხე განმარტებები და ჩაწერე, რა არის. წაიკითხე და შეამოწმე ნაწერი წიგნის დახმარებით (გვ.131).**

*ვალუტა ბანკნოტი პლასტიკური ბარათი ფული*

ა. ის გადახდის ან გაცვლის საშუალებაა. __________________________

ბ. ის ქვეყნის ოფიციალური ერთეულია და მას მთავრობა უშვებს. ________________

გ. ის ქაღალდის ფულს ნიშნავს. _________________________

დ. მას იყენებენ ნებისმიერი ფულადი ოპერაციის განსახორციელებლად. __________

**3. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ოპერაციის | ოპერაცია | ______________________ |
| ფულის | მთავრობა | ______________________ |
| ფულადი | განხორციელება | ______________________ |
| ქვეყნის | შენახვა | ______________________ |

**4. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე.**

I. *სიტყვა „ლარი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს:*

ა. ძვირფას ქსოვილს;

ბ. განძს, ქონებას;

გ. ზოგადად, ფულს.

II. *ქართული ფულის ერთეულს „ლარი“ დაერქვა:*

ა. 1991 წლიდან;

ბ. 1995 წლიდან;

გ. 2000 წლიდან.

**5. გაიხსენე ინფორმაცია მილიონერების შესახებ და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი.**

I. <u>კარლ რაბედერი</u>

ა. მან ______________________ ასაკში ______________________ გადაწყვიტა.

ბ. რაბედერმა __________________________________ ფულით ვერ მიაღწია.

გ. მისთვის ფულს მხოლოდ ______________________________ მოჰქონდა.

დ. გადაწყვიტა, მთელი ____________________ თავიდან ____________________.

ე. მან ყველაფერი ____________________________________ ჩადო.

ვ. ის ________________________ გადასახლდა.

II. გრეჰემ პენდრილი

ა. წარმოშობით ის ______________________________ იყო.
ბ. აფრიკაში _______________________ ის ____________________ ტომის წევრი გახდა.
გ. ინგლისში _________________________ გრეჰემი კვლავ მასაის ტომის _________ _______________ დადის.
დ. მან საბოლოოდ გადაწყვიტა აფრიკაში ________________________.

III. ნიკოლას ბერგრუენი

ა. ის ________________________________ მილიონერია.
ბ. ნიკოლასი _____________________ სასტუმროებში _________________________.
გ. მან უარი თქვა _____________________ სახლზე, ____________________ ყველანაირი ნივთის ______________________.
დ. მას ___________________, რომ ნივთებს ________________________ არ მოაქვს.
ე. მან გადაწყვიტა, _______________ ქონება ქველმოქმედებას ______________________.

**1. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია (შემოხაზე** კი **ან** არა **და გაიხსენე ფრაზა, რომელიც შენს პასუხს დაასაბუთებს).**

**ა.** გრეჰემ პენდრილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მასაის წევრი გამხდარიყო. **კი არა**
**ბ.** სიღარიბეში გაზრდილი და გამდიდრებული რაბედერი დღეს უსახლ-კაროდ ცხოვრობს. **კი არა**
**გ.** გრეჰემი მასაის ტომის ტანსაცმელს განაკუთრებულ შემთხვევებში იცვამდა. **კი არა**
**დ.** ნიკოლას ბერგრუენის ოცნება იყო სასტუმროებში ცხოვრება. **კი არა**

**2. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| ა. კარლ რაბედერი ღარიბობაში გაიზარადა.<br>ბ. მას რამდენიმე მანქანები ჰქონდა.<br>გ. რაც მიაჩნდა, ყველაფერი ქველმოქმედებაში დადო.<br>დ. მან მთელ რიგ რიტუალებში გაიარა.<br>ე. პენდრილმა გადაწყვიტა მისი რეზიდენციის გაყიდვა.<br>ვ. ის შეხვედრებზე ამგვარი ჩაცმული ცხდდება.<br>ზ. ნიკოლასმა უარი თქვა ყველანაირი ნივთის შეძენისათვის. | |

**3. გამოიყენე წიგნი და უპასუხე შეკითხვებს იგავ-არაკის გარშემო (გვ.78 ).**

**ა.** რა იპოვა კაცმა გზაზე?
**ბ.** როგორ მოიქცა ის ამის შემდეგ?
**გ.** რის ოცნება დაიწყო კაცმა?
**დ.** რა მოხდა ბოლოს?

**4. წაიკითხე წინადადებები და შეასრულე მითითებები.**

I. *„ღმერთმა ჩემი გამდიდრება მოინდომა.“*

ა. განმარტე, როგორ გესმის ეს სიტყვები.

ბ. ვინ არის „ღმერთი“?

- უხილავი არსება;
- უზენაესი ძალა, რომელმაც შექმნა სამყარო;
- არსება, რომელიც ადამიანებს ეხმარება.

II. *„კაცს ერთ წუთში დაემსხვრა ოცნებები.“*

ა. განმარტე, როგორ გესმის ეს სიტყვები.

ბ. რას ნიშნავს „ოცნებების დამსხვრევა“?

**5. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ტექსტში და ამოწერე.**

ა. არაფრის მქონე, ______________________

ბ. გავმდიდრდები, ______________________

გ. დაარტყამს, ______________________

დ. გავეხმაურო, დავუძახო, ______________________

**6. გამოიყენე კონტექსტი და დააკავშირე სიტყვები განმარტებებთან.**

*ხარი ერბო ქილა*

ა. გადამდნარი კარაქი, ______________

ბ. ფართოპირიანი, თიხის ან მინის უმუცლო ჭურჭელი, ______________

გ. მამალი შინაური რქიანი ცხოველი, მის მდედრს ძროხას უწოდებენ. ______________

**7. ამოწერე ტექსტიდან ზმნები, რომლებიც მიწის სამუშაოებზე მიუთითებს და შეასრულე მითითებები.**

- ______________________
- ______________________

ა. წაიკითხე კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული განმარტება და დააკავშირე შესაბამის ზმნასთან.

- ამოსასვლელად (აღმოცენების მიზნით) მიწაში რაიმე თესლის (მარცვლის, კურკის...) ჩაგდება, ჩაყრა. ______________________
- სახვნელი იარაღით მიწის დამუშავება. ______________________

ბ. დააკავშირე სათანადო საწყისთან: *დათესვა / მოხვნა*

მიწის ______________________; მიწაში ______________________.

**1. გამოიყენე კონტექსტი და შეავსე მოცემული ცხრილი.**

| | ჩაწერე, რომე-ლი მწკრივია | მიუთითე დრო | შეუწყვე პირები | მიუთითე S და O |
|---|---|---|---|---|
| იპოვა | | | | |
| გამოახვია | | | | |
| გაუყარა | | | | |
| გაიდო | | | | |
| განაგრძო | | | | |
| ფიქრობდა | | | | |
| მოინდომა | | | | |
| ჩავალ | | | | |
| გავყიდი | | | | |
| ვიყიდი | | | | |
| მოვიყვან | | | | |
| დავზრდი | | | | |
| დავასუქებ | | | | |
| მოვხნავ | | | | |
| დავთესავ | | | | |
| მიადგა | | | | |
| მიჰქონდა | | | | |
| გაივლის | | | | |
| გატყდა | | | | |
| დაიქცა | | | | |
| დაემსხვრა | | | | |

**2. გამოიყენე ცხრილში მოცემული ზმნები და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით. წაიკითხე და შეადარე სხვების ნაწერებს.**

**ა.** დედამ ნემსში ძაფი ____________________.

**ბ.** მაგიდიდან გადმოვარდნილი ჭიქა იატაკზე დავარდა და ____________________.

**გ.** ზურა ფულის სათხოვნელად მეგობარს ____________________.

**დ.** ლიას ყოველდღე ____________________ საჭმელი ბებიასთან.

**ე.** ის აუცილებლად ____________________ მამასთან და ფულს გამოართმევს.

**ვ.** ის აუცილებლად ____________________ ამ კონკურსსაც.

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას და განმარტე, რა მნიშვნელობით არის შენ მიერ შერჩეუ-ლი ზმნა ბოლო წინადადებაში ნახმარი.**

**4. დააკვირდი ცხრილში გადანაწილებულ ზმნებს და შეასრულე მარჯვნივ მოცემული მითითებები.**

**I.**

| მე მას | მე მათ |
|---|---|
| გავყიდი | დავყიდი |
| გავზრდი | დავზრდი |
| გავასუქებ | დავასუქებ |
| მოვხნავ | დავხნავ |
| გავთლი | დავთლი |
| გავტეხ | დავტეხ |

ა. რა მსგავსება და განსხვავებაა პირველსა და მეორე სვეტში მოცემულ ზმნებს შორის:
- I ცხრილის მიხედვით;
- II ცხრილის მიხედვით.

ბ. დაასახელე, რა ფუნქცია აქვს „და“ ზმნისწინს I ცხრილში არსებულ ზმნებთან.

გ. დაასახელე, რა ფუნქცია აქვს „და“ზმნისწინს II ცხრილში არსებულ ზმნებთან.

**II.**

| ის / მას ის | ის / მას ის |
|---|---|
| მიდიოდა | დადიოდა |
| მირბოდა | დარბოდა |
| მისეირნობდა | დასეირნობდა |
| მიცურავდა | დაცურავდა |
| მიჰქონდა | დაჰქონდა |
| მიჰყავდა | დაჰყავდა |

**5. დაუბრუნდი იგავ-არაკს („გლახაკი და ქილა ერბო“) და იქ მოცემული ინფორმაცია გაანაწილე ცხრილში.**

| რა მოხდა სინამდვილეში? | რა „მოხდა“ ოცნებაში? | რა დაგეგმა კაცმა? |
|---|---|---|
| | | |

**1. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| ა. ღმერთმა ჩემი სიმდიდრე მოინდომა, – გაიფიქრა კაცმა.<br>ბ. წიწილებს გავასუქებ და იმასაც გავყიდი.<br>ე. ოცნებებში გართულმა კაცმა ხიდს ჯოხი მოუქნია.<br>ვ. კაცმა ერბოთი მთლიანი ქილა ხიდზე დაარტყა. | |

**2. რას იზამდი, ფულით სავსე საფულე რომ იპოვო ქუჩაში? აირჩიე შენთვის მისაღები ვარიანტი და დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება, რატომ მოიქცეოდი ასე.**

ა. პატრონს მოვძებნიდი და დავუბრუნებდი;
ბ. პოლიციაში მივიტანდი;
გ. სახლში წავიღებდი და მშობლებს მივცემდი;
დ. გაჭირვებულს გავუყოფდი, გავუზიარებდი;
ე. დავხარჯავდი;
ვ. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი.

*გამოიყენე ფრაზები!*

*დავუბრუნებდი, თუკი საფულეში მის შესახებ რაიმე ინფორმაცია იქნებოდა. აზრი არ აქვს პოლიციაში მიტანას. ისინი საიდან გაიგებენ, ვინ არის მისი პატრონი. მაინც პოლიციაში მივიტანდი იმიტომ, რომ პატრონი აუცილებლად დაუწყებდა ძებნას. ან პატრონს მოვძებნიდი, ან პოლიციაში წავიღებდი იმიტომ, რომ ის ფული ჩემი არ არის, მე არ მეკუთვნის. რა თქმა უნდა, ავიღებდი, მაგრამ არ ვიცი, რას ვიზამდი – ან დავხარჯავდი, ან კიდევ სახლში წავიღებდი. ალბათ, უფრო სახლში წავიღებდი / დავხარჯავდი / გაჭირვებულს გავუყოფდი. რაკი ქუჩაში ვნახე, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო და ის ფული უკვე მე მეკუთვნის.*

**3. გაეცანი მოცემულ სიტუაციას და შეასრულე მითითებები.**

სწორედ ამ საკითხზე ჩაატარეს კვლევა ედინბურგელმა ფსიქოლოგებმა. მათ მთელი ქალაქის მასშტაბით სულ 240 საფულე დაყარეს ქუჩაში. საფულეში ფულთან ერთად მფლობელის მისამართიც იდო. საფულეთა უმრავლესობაში, გარდა მისამართებისა, იყო აგრეთვე სხვადასხვა ფოტოც – ჩვილი ბავშვების, საყვარელი ლეკვების ან მოხუცი წყვილის ფოტოები. ზოგ საფულეში, ფოტოს ნაცვლად, მინიშნებული იყო, რომ პატრონი ხშირად რიცხავდა თანხას საქველმოქმედო ორგანიზაციებში, საფულეების მცირე ნაწილში კი მხოლოდ ფული და მისამართი იდო.

ა. უპასუხე შეკითხვებს.

- რომელ საკითხზეა საუბარი ტექსტში?
- ვინ ჩაატარა კვლევა?

- სად ჩატარდა კვლევა?
- ვინ იყვნენ კვლევის ობიექტები?
- სულ რამდენ ადამიანს უნდა მიეღო ამ კვლევაში მონაწილეობა?
- იცოდნენ თუ არა მათ ამ კვლევის შესახებ და რატომ?
- რა იყო კვლევის მიზანი? რა აინტერესებდათ ფსიქოლოგებს?
- რატომ ჩადეს ფსიქოლოგებმა საფულეში ფულთან ერთად სხვა ნივთებიც?

**ბ.** მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა და ამოწერე.

- ახალშობილი, თოთო, ______________________________
- მეპატრონე, მესაკუთრე, ______________________________
- ქალ-ვაჟი; ცოლ-ქმარი, ______________________________
- რაღაც მითითება, ______________________________

**გ.** *დაუბრუნდი ტექსტს. შენი აზრით, რა აჩვენა კვლევამ? მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად კვლევის სავარაუდო შედეგები და გააცანი კლასელებს (მონაცემები მიუთითეთ პროცენტებში). შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და ახსენით, რატომ გაანაწილეთ ასე.*

**დ.** *მოისმინე, რა მოხდა სინამდვილეში, შეავსე გამოტოვებული ადგილები ტექსტში და წაიკითხე.*

როგორც აღმოჩნდა, საფულე __________%-მა დააბრუნა და ისიც იმ შემთხვევაში, თუკი იქ ბავშვის სურათი იდო. ქველმოქმედებს ყველაზე ნაკლებად სწყალობდათ ბედი. დარჩენილი ____________%-დან მხოლოდ __________-%-მა დაუბრუნა მათ თანხა. დანარჩენი __________-% ერგო იმ საფულეების მფლობელებს, რომელთა მხოლოდ მისამართი იყო მითითებული.

**ე.** შეადარე შენი და შენი მეწყვილის ვარიანტებს – რა დაემთხვა და რა – არა.

**ვ.** დაუბრუნდი კვლევის შედეგებს და უპასუხე შეკითხვებს.

- რა პროცენტმა დააბრუნა დაკარგული საფულე და რატომ?
- ვის დაუბრუნა ფული ყველაზე ცოტა პროცენტმა?
- რას ნიშნავს ფრაზა: „*ყველაზე ნაკლებად სწყალობდათ ბედი*“?
- ვინ იყვნენ ისინი, ვისაც 15%-მა დაუბრუნა თანხა?

**ზ.** იმსჯელეთ კვლევის შედეგებზე, გამოხატეთ თქვენი პოზიციები და გააკეთეთ სათანადო დასკვნები.

**4. გაიხსენე ინფორმაცია იუნონას შესახებ და შემოხაზე სწორი ვარიანტები.**

**ა.** იუნონა და იუპიტერი იყვნენ:

- ცოლ-ქმარი
- მეგობრები
- და-ძმა

**ბ.** იუნონა იყო:

- ბუნებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი;
- სიმდიდრისა და სიუხვის ქალღმერთი;
- ოჯახის, დედობისა და ქალთა ნაყოფიერების ქალღმერთი.

1. **გაასწორე ტექსტში მოცემული მცდარი ინფორმაცია (მოსწ. წიგნი, გვ. 79, დავალება №5) და წაიკითხე.**

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

2. **წაიკითხე და მონიშნე ცხრილში სათანადო სვეტი.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს |
|---|---|---|---|
| ა. ძველი რომაელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ იუნონას. | | | |
| ბ. იუნონას ოქროსფერი თმა და დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა. | | | |
| გ. სიტყვა „მონეტა“ ლათინური სიტყვაა. | | | |
| დ. რომაული მითოლოგიის მიხედვით, იუნონა ლომის ტყავით იმოსებოდა. | | | |
| ე. იუნონას პატივსაცემად რომაელებმა ზარაფხანა ააგეს. | | | |
| ვ. ზარაფხანაში მოჭრილ ფულს რომაელებმა იუნონა უწოდეს. | | | |

3. **დაუბრუნდი ცხრილს და დაასაბუთე პირველი ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.**

საიდან ჩანს? მოიყვანე შესაბამისი ადგილები ტექსტიდან: _______________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

4. **იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.**

**ა.** შენი აზრით, რატომ გამოსახავდნენ რომაელები იუნონას თხის ტყავით შემოსილსა და ეტლზე ფარითა და მახვილით ამხედრებულს?

**ბ.** გაიხსენე, რისი ღვთაებაა იუნონა და მიუთითე, შენი აზრით, აქვს თუ არა რაიმე სიმბოლური დატვირთვა თხას, ფარსა და მახვილს?

**გ.** გინახავს თუ არა, როგორ გამოსახავენ ქართველები „ქართვლის დედას“? მოიძიე ინფორმაცია და წარმოადგინე (*სად დგას ეს ძეგლი, ვინ არის მისი ავტორი, რისი სიმბოლოა ეს ძეგლი, რა უჭირავს მას ხელში?*)

5. **გამოიყენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ.82 ) და დაადასტურე ან უარყავი ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.**

**ა.** კლუბის წევრები ძველებური მონეტების შეგროვებითა და შესწავლით იყვნენ დაკავებულები. ____________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

ბ. სამეფო ხაზინა ადრე ნუმიზმატთა კლუბის ადგილას არსებობდა. __________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

გ. მონეტების გამოფენაზე მისვლა შეზღუდული იყო. __________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

**6. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| დაინტერესებული | მონეტა | ______________ |
| მდიდარი | ინიციატივა | ______________ |
| გვერდჩამოტეხილი | ადამიანი | ______________ |
| მოულოდნელი | კოლექცია | ______________ |

**7. გამოიყენე წინა დავალებაში მოცემული სიტყვათშეხამებები და შეადგინე წინადადებები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს. შეამოწმე ენობრივი გამართულობა და, საჭიროებისამებრ, დააზუსტე მასწავლებელთან ერთად.**

ა. ______________________________________________

______________________________________________

ბ. ______________________________________________

______________________________________________

გ. ______________________________________________

______________________________________________

დ. ______________________________________________

______________________________________________

**8. ამოწერე, რა ნახეს დამთვალიერებლებმა გამოფენაზე და წაიკითხე,**

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**9. მითითებული ფულის ერთეულებიდან, აირჩიე ერთ-ერთი, მოძებნე მის შესახებ ინფორმაცია და გააცანი კლასელებს.**

**1. დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე სწორი ვარიანტები დავე ქრისპის შესახებ.**





ა. დავე ქრისპი პროფესიით არის:
1. მზარეული;
2. არქეოლოგი;
3. ნუმიზმატი.

ბ. დავე ქრისპის გატაცებაა:
1. ძველი მონეტების შეგროვება;
2. სამოყვარულო არქეოლოგია;
3. მოგზაურობა.

**2. მოისმინე ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები.**

**3. წაიკითხე ტექსტი და შეავსე გამოტოვებული ადგილები. მოისმინე თავიდან და შეამოწმე.**

________________ დავე ქრისპმა რამდენიმე წლების წინ ________ ________ დეტექტორი ____________ და მისი გამოცდა ________ ________. ქვეყნის სამხრეთ_დასავლეთ სანაპიროში ცდების ____________ ________ ის ვერცხლისა და ბრინჯაოს ____________ მონეტებს წააწყდა. ________________ 52 000 მონეტა 1 მილიონი ამერიკელი დოლარის ექვივალენტს წარმოადგენდა.

ექსპერტების ____________, აღსანიშნი მონეტები 253-293 წლებშია ________________. 700-მდე მონეტაზე რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსია ________________.

ამ ____________ საავადმყოფოს მზარეული მილიონერად ________ ________. დავე ქრისპმა ____________ მისი ქონების ნაწილი იმ მიწის მეპატრონეებზე გადაენაწილებინა, რომლებიც ____________ მას მონეტების ამოღებისათვის.

**4. დაუბრუნდი ტექსტს. მოძებნე დაშვებული ენობრივი შეცდომები, ამოწერე და გაასწორე. წაიკითხე და შეამოწმე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
| --- | --- |
| | |

## 2. ბანკები და გადასახადები

**5. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტები. გააცანით ერთმანეთს ტესტის შედეგები და შეადარეთ პასუხები.**

I. სიტყვა „ბანკი“ მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან Banca, რაც ნიშნავს:
ა) ფულიან კაცს ბ) მაგიდას გ) გრძელ სკამს

II. ბანკის პირველი ჩანასახი შეიქმნა:
- ა. მესოპოტამიაში, დაახლოებით, ძვ. წ. 3000 წელს;
- ბ. ეგვიპტეში, დაახლოებით, ძვ. წ. 300 წელს;
- გ. ანატოლიაში, დაახლოებით, ძვ. წ. 600 წელს.

III. ისინი გამოიყენებოდა:
- ა. ფულისა და კრედიტის გასაცემად;
- ბ. პირადი ძვირფასი ნივთების შესანახად;
- გ. მარცვლეულისა და ღირებული ნივთების შესანახად.

IV. სავაჭრო ბანკი პირველად მოხსენიებულია:
- ა. მესოპოტამიაში, დაახლოებით, ძვ. წ. 1500 წელს;
- ბ. ანტიკურ ხანაში, დაახლოებით, ძვ. წ. 600 წელს;
- გ. შუა საუკუნეებში, დაახლოებით, 1600 წელს.

V. თანამედროვე გაგებით, პირველი ბანკი დაარსდა:
ა) იტალიაში 1407 წ. ბ) საფრანგეთში 1470 წ. გ) ჩინეთში 1704 წ.

VI. პირველი ქართული ბანკის დაარსება უკავშირდება:
ა) თამარ მეფეს; ბ) სულხან-საბა ორბელიანს; გ) ილია ჭავჭავაძეს.

**6. წაიკითხე (მოსწ. წიგნი, გვ. 132) და შეამოწმე შენი პასუხები.**

**7. წაიკითხე და გადახაზე არასწორი შესიტყვება.**

ა. ფულის / თანხის:

გადარიცხვა ჩარიცხვა გადახურდავება გაყიდვა მოხსნა შეტანა გატანა

ბ. ანგარიშის:

გახსნა დახურვა შევსება გამოტანა შემოწმება

გ. კრედიტის:

აღება ჩარიცხვა გაგრძელება დახურვა გაუქმება

8. **მოისმინე და შეამოწმე შენი ნაწერი.**

**9. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.**

- ა. ფულის ______________________________ მინდა ჩემი ანგარიშიდან სხვა ანგარიშზე!
- ბ. თქვენთან მინდა ანგარიშის ____________________________.
- გ. ძალიან გამიჭირდა და კრედიტის __________________________ გადავწყვიტე.
- დ. მთლიანად მინდა ჩემი თანხის ______________________!
- ე. აღარ მინდა კრედიტის _____________________________, სასწრაფოდ უნდა დავფარო!
- ვ. შემიძლია ინტერნეტბანკის მეშვეობით ჩემი ანგარიშის _________________________?

**1. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ბანკომატიდან | გადარიცხვა | ____________________ |
| ბანკომატში | დასმა | ____________________ |
| ანგარიშიდან | გამოტანა | ____________________ |
| ანგარიშზე | ნახვა | ____________________ |

**2. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები. ყურადღება მიაქციე ზმნისწინებს. წაიკითხე და შეამოწმე მასწავლებლის დახმარებით.**

| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩარიცხვა** | *რიცხავს* | *რიცხავ-***დ***-ა* | *ჩარიცხა* | *ჩარიცხოს* | *ჩაურიცხავს* |
| **გადარიცხვა** | *რიცხავ-ს* | | | | |
| **გადახდა** | *იხდი-ს* | | | | |
| **მიღება** | *იღებ-ს* | | | | |
| **აღება** | *იღებ-ს* | | | | |
| **გახსნა** | *ხსნი-ს* | | | | |
| **მოხსნა** | *ხსნი-ს* | | | | |
| **დახურვა** | *ხურავ-ს* | | | | |
| **შეტანა** | *შეაქვ-ს* | | | | |
| **გატანა** | *გააქვ-ს* | | | | |
| **გადატანა** | *გადააქვს* | | | | |
| **გადახურდავება** | *ახურდავებ-ს* | | | | |

**3. შეასრულე წიგნში მოცემული დავალება (გვ. 85, დავალება №7-8). გაასწორე რეპლიკებში დაშვებული შეცდომები და წაიკითხე.**

ა. ________________________________________

ბ. ________________________________________



RVEULI_Done-11_Qartuli _ 126

**4. წაიკითხე რეპლიკები და შემოხაზე სწორი პასუხები.**

ა. – პირდაპირ შემოიტანთ თანხას თუ უნდა გადავრიცხოთ?
- გადახდის აპარატით უნდა ვისარგებლო;
- სად შემიძლია, რომ გადავრიცხო?
- პირდაპირ გადავიხდი, თუ შეიძლება!

ბ. – მთლიანად გადაიხდით თუ ნაწილს?
- მთლიანი თანხა სად უნდა გადავიხადო?
- მთლიანად, რა თქმა უნდა!
- შეგიძლიათ, მთლიანი თანხა გადარიცხოთ ჩემს ანგარიშზე?

გ. ხომ ვერ მასწავლით, ბანკომატოთ როგორ ვისარგებლო?
- ბანკომატმა ჩემი ბარათი ჩაყლაპა!
- ეს ბანკომატი არ მუშაობს!
- ძალიან მარტივია, აი, ნახეთ!

**5. დაალაგე სიტყვები სწორი თანამიმდევრობით. წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რითი სარგებლობის წესებია მოცემული.**

ა. მარჯვენა ბარათი არსებულ მხარეს მოათავსეთ პლასტიკური ჭრილში.

ბ. მომსახურების ღილაკზე თქვენთვის სასურველი თითის ენა აირჩიეთ დაჭერით.

გ. თქვენი კლავიატურაზე PIN აკრიფეთ კოდი.

დ. ოპერაცია ღილაკზე მის გასწვრივ მოთავსებულ თითის დაჭერით თქვენთვის სასურველი შეარჩიეთ.

ე. თანხის სასურველი ვალუტა სურვილის გასწვრივ შეარჩიეთ გატანის შემთხვევაში, მის მდებარე ღილაკზე დაჭერით.

ვ. აირჩიეთ „დიახ“ ქვითრის შემთხვევაში, მიღების ღილაკი.

ზ. ოპერაციის თანხა, აიღეთ ბარათი და დასრულების შემდეგ ქვითარი.

1. ________________________________________

2. ________________________________________

3. ________________________________________

4. ________________________________________

5. ________________________________________

6. ________________________________________

7. ________________________________________

1. **გაიხსენე ფრენკ მაკნამარას ისტორია რესტორანში, წაიკითხე მოცემული ეპიზოდი და მონიშნე, რა არის ამ ვერსიაში შეცვლილი. აღადგინე, რა მოხდა რეალურად და შეამოწმე წიგნის დახმარებით.**

| **ახალი ვერსია:** | **რა მოხდა სინამდვილეში?** |
|---|---|
| 1949 წელს ერთ-ერთი ფინანსური კომპანიის ხელმძღვანელი, ნიუ-იორკელი ბანკირი, ფრენკ მაკნამარა მეგობრებთან ერთად სავახშმოდ წავიდა რესტორანში. ვახშმის დასრულების შემდეგ ფრენკმა გახსნა საფულე და აღმოჩნდა, რომ საკმარისი ფული თან არ ჰქონდა. ფრენკი იძულებული გახდა, ცოლისთვის დაერეკა, რათა მას სასწრაფოდ გადაერიცხა ფული მისი პირადი ანგარიშიდან.<br>ამ ინციდენტის შემდეგ ფრენკ მაკნამარამ დაიფიცა, რომ ასეთი რამ აღარ დაემართებოდა. | |

2. **წაიკითხე წინადადება და უპასუხე შეკითხვებს.**

*ამ ინციდენტის შემდეგ ფრენკ მაკნამარამ დაიფიცა, რომ ასეთი რამ აღარ დაემართებოდა.*

ა. რომელ ინციდენტზეა საუბარი?

ბ. მეტყველების რა ნაწილია „ამ“ და რა არის მისი ფუნქცია?

გ. მიუთითე, რომელ ბრუნვაში დგას და დაასახელე, როგორ იქნება ის სახელობითში.

დ. დააკონკრეტე, რა იგულისხმება „ასეთ რამეში“?

ე. რას ნიშნავს „აღარ დაემართებოდა“?

3. **დაუბრუნდი პირველ დავალებას. ამოწერე ტექსტიდან ზმნები, რომლებიც შესასრულებელ მოქმედებაზე მიუთითებენ და შეასრულე მითითებები.**

- დაასახელე, რომელი მწკრივია და მიუთითე შესაბამისი ფუნქცია;
- შეუწყვე ზმნას პირები და დაასახელე, რამდენპირიანია;
- დაასახელე, სუბიექტური და ობიექტური პირები და მიუთითე შესაბამისი ნიშნები.

4. **გაიხსენე, რა მოხდა, წაიკითხე მოცემული ისტორიები, მონიშნე არასწორი ინფორმაციები და გაასწორე ცხრილის პირველ უჯრებში („როგორ მახსოვს?“). წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.**

I. პაკისტანის ერთ-ერთმა მცხოვრებმა სახლიდან გაუსვლელად 100 ათასი რუპია (დაახ. 1500 დოლარი) დაკარგა. ის თავის დანაზოგს სამზარეულოს მაგიდის უჯრაში ინახავდა. ერთხელაც, როდესაც მას ფული დასჭირდა, უჯრა ცარიელი დახვდა – ფული ვირთაგვას მოეპარა.

| როგორ მახსოვს? | როგორ იყო სინამდვილეში? |
|---|---|
| | |

II. ნორვეგიის ერთ-ერთ მოქალაქეს მეგობარმა მანქანა აჩუქა. ამ მანქანით მან, დაახლოებით, 8 წელი იარა და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა ელოდა მას. ერთხელაც შეიხედა მან ავტომობილის საბარგულში და შემთხვევით აღმოაჩინა ფულით სავსე პატარა სეიფი. როგორც გაირკვა, მის მეგობარს ეს სეიფი საბარგულში დაემალა და დავიწყებოდა.

| როგორ მახსოვს? | როგორ იყო სინამდვილეში? |
|---|---|
| | |

III. პეკინელმა მოხუცმა გადაწყვიტა, 2400 მარკა ცოლისთვის დაემალა და გაზქურაში შეინახა. ერთ დღესაც მისმა ცოლმა გადაწყვიტა საუზმის მომზადება. როცა მან საუზმის მოსამზადებლად გაზქურა ჩართო, ფულმა წვა დაიწყო. ასე გაიგო მოხუცი პეკინელის ცოლმა ფულის შესახებ.

| როგორ მახსოვს? | როგორ იყო სინამდვილეში? |
|---|---|
| | |

**5. დაუბრუნდი წინა დავალებას. 🎧 თავიდან მოისმინე ეს ისტორიები და შეამოწმე, სწორად გახსოვს თუ არა. გაასწორე მცდარი ინფორმაციები მეორე სვეტებში („როგორ იყო სინამდვილეში“) და წაიკითხე.**

**6. შენი აზრით, რა მოხდა ამ შემთხვევების შემდეგ? მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად და ჩაწერე. გააცანით კლასელებს თქვენი ვერსიები და იმსჯელეთ, რატომ გადაწყვიტეთ ასე.**

I. ამ ამბის შემდეგ პაკისტანელმა ______________________________

______________________________

II. ნორვეგიის მოქალაქემ ნაპოვნი ______________________________

______________________________

III. პეკინელმა მოხუცმა ______________________________

______________________________

**7. 🎧 მოისმინეთ, რა მოხდა სინამდვილეში და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. მიუთითეთ, ვისი დაემთხვა და ვისი – არა? კონკრეტულად რა დაემთხვა და რა – არა?**

## 3. დაზღვევა

**1. წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

*ზარალი დაზღვევა ანაზღაურება*

**ა.** უსიამოვნების, ხიფათის თავიდან აცილება. ______________________

**ბ.** დანაკარგის აღდგენა, სანაცვლოს მიცემა. ______________________

**გ.** ქონებრივი დანაკარგი. ზიანი, მისი საპირისპიროა *მოგება*. ______________________

**2. გაანაწილე სწორად.**

**I.** *დაზღვეული / დასაზღვევი / დამზღვევი*

**ა.** ის, რაც უნდა დააზღვიონ. ______________________

**ბ.** ის, რაც უკვე დააზღვიეს. ______________________

**გ.** ის, ვინც დააზღვია. ______________________

**II.** *დაზარალებული / დამზარალებელი / დაუზარალებელი / დასაზარალებელი*

**ა.** ის, ვინც ან რაც არ დაზარალდა. ______________________

**ბ.** ის, ვინც ან რაც დაზარალდება. ______________________

**გ.** ის, ვინც ან რაც დაზარალდა. ______________________

**დ.** ის, ვინც ან რამაც დააზარალა. ______________________

**III.** *ასანაზღაურებლი / ამნაზღაურებელი / ანაზღაურებული / აუნაზღაურებელი*

**ა.** ის, რაც უნდა ანაზღაურდეს. ______________________

**ბ.** ის, რაც ვერ ან არ ანაზღაურდა. ______________________

**გ.** ის, ვინც ანაზღაურებს. ______________________

**დ.** ის, რაც ანაზღაურდა. ______________________

**3. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ხარჯის | აღდგენა | ______________________ |
| დანაკარგის | ანაზღაურება | ______________________ |
| სანაცვლოს | დაფარვა | ______________________ |
| დაკარგული დროის | მიცემა | ______________________ |

**4. ჩაწერე სწორად.**

დაზარალდა / გაფუჭდა:

მწყობრიდან გამოვიდა ანუ ______________________

ზიანი მიადგა, ანუ ______________________

**5. გამოიყენე წინა დავალებები და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით.**

**ა.** სეტყვამ საშინლად ______________________ მოსავალი. (დააზარალა / დაზარალდა)

ბ. სეტყვის შედეგად მოსახლეობამ დიდი ____________________ ნახა. (დაზარალება / ზარალი)

გ. სადაზღვევო კომპანია სრულად ____________________________ სტიქიური უბედურებით გამოწვეულ ზარალს. (დააზარალებს / აანაზღაურებს)

დ. ________________________________ ოჯახმა კომპენსაცია მოითხოვა. (დაზარალებულმა / დამზარალებელმა)

ე. მშენებლობიდან დამითხოვეს და ____________________________ ანაზღაურებაც დამაკისრეს. (ზარალის / დროის)

**6. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები. ყურადღება მიაქციე ზმნისწინებს. წაიკითხე და შეამოწმე მასწავლებლის დახმარებით.**

| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
|---|---|---|---|---|---|
| **დაზღვევა** | აზღვევ-ს | აზღვევ-დ-ა | დააზღვია | დააზღვი-ო-ს | და-უ-ზღვევ-ია |
| **ანაზღაურება** | | | | აანაზღაურ-ო-ს | |
| **აღდგენა** | | | აღადგინა | | აღუდგენია |
| **მოგება** | იგებ-ს | | | | |
| **წაგება** | | | | | წაუგია |
| **დაზარალება** | აზარალებ-ს | | | | |
| **მიცემა** | აძლევ-ს | | მისცა | | |
| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
| **დაკარგვა** | კარგ-ავ-ს | | | დაკარგ-ო-ს | |
| **დაფარვა** | | ფარავ-დ-ა | | | დაუფარავს |
| **დამალვა** | | | დამალა | | |

**7. გამოიყენე მოცემული სიტყვები და შეავსე წინადადებაში გამოტოვებული ადგილები სწორი ფორმით.**

ა. ზარალი ანაზღაურება დაზარალებული დამზარალებელი

______________________________ შეჰპირდა ____________________________ მხარეს, რომ ____________________ მთლიანად ________________________________.

**8. წაიკითხე და შემოხაზე სწორი განმარტება.**

<u>პოლისი არის:</u>

ა. ხელშეკრულება, რომელსაც დამზღვევი უდებს დასაზღვევ პირს ან ორგანიზაციას;

ბ. მოწმობა, რომელსაც დამზღვევი აძლევს დაზღვეულ პირს ან ორგანიზაციას;

გ. მოწმობა, რომელსაც იღებს პირი ან ორგანიზაცია დაზარალების შემდეგ.

**9. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

**1. რას პასუხობენ ავარიაში მონაწილე ერთ-ერთ პირს სატელეფონო დიალოგში? აღადგინე თანამოსაუბრის რეპლიკები კონტექსის მიხედვით და წაიკითხე. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და დააზუსტეთ რეპლიკების ენობრივი გამართულობა მასწავლებლის დახმარებით.**

– გამარჯობა, სერგო ჯინჭარაძე გაწუხებთ.
– ______________________________
– მე თქვენი სადაზღვევო პოლისით ვსარგებლობ.
– ______________________________
– დაახლოებით, 10 წუთის წინ ავარია მომივიდა აღმაშენებლის გამზირზე.
– ______________________________
– უკანა მხარე, ფაქტიურად, შესაცვლელია.
– ______________________________
– არა, არა... კარგად ვარ.
– ______________________________
– აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის კუთხეში, მოედანთან ახლოს.
– ______________________________
– გმადლობ!

2. **მოისმინე და ზუსტად აღადგინე მათი საუბარი.**

– გამარჯობა, სერგო ჯინჭარაძე გაწუხებთ.
– ______________________________
– მე თქვენი სადაზღვევო პოლისით ვსარგებლობ.
– ______________________________
– დაახლოებით, 10 წუთის წინ ავარია მომივიდა აღმაშენებლის გამზირზე.
– ______________________________
– უკანა მხარე, ფაქტიურად, შესაცვლელია.
– ______________________________
– არა, არა... კარგად ვარ.
– ______________________________
– აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის კუთხეში, მოედანთან ახლოს.
– ______________________________
– გმადლობ!

**3. დაუბრუნდი ორივე დიალოგს და შეადარე ისინი ერთმანეთს.**

- რომელი რეპლიკები დაემთხვა ერთმანეთს და რით? (*დაემთხვა მხოლოდ ძირითადი აზრი; ზუსტად დაემთხვა*);
- რომელი რეპლიკები არ დაემთხვა და რა არის მათ შორის განსხვავება?
- დაუბრუნდი შენს ვარიანტს. არის თუ არა რეპლიკებს შორის ლოგიკური ბმები დარღვეული? არსებობის შემთხვევაში, მიუთითე, რა შეუსაბამობაა.

**4. შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. არსებობს დაზღვევის სხვადასხვა სახე:
ბ. დაზღვევა არის
გ. სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი:
დ. დაზღვევის ძირითადი პრინციპი ასეთია:

(1) ___

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება.

(2) ___

ყოველწლიურად ადამიანებს შეაქვთ გარკვეული თანხა საერთო ფონდში, საიდანაც შემდეგ დაზარალებულ პირებს კომპენსაცია ეძლევათ.

(3) ___

სტიქიური უბედურებები, მოულოდნელი დაზიანებები და ნებისმიერი სხვა უსიამოვნება.

(4) ___

ქონებრივი დაზღვევა (მაგ., ნაგებობების, ცხოველების, საოჯახო ქონების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა), სოციალური დაზღვევა (მაგ., პენსიები, შემწეობები, შეღავათები), სამედიცინო დაზღვევა, პირადი დაზღვევა (მაგ., სიცოცხლის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან) და სხვა.

ა. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით. მიუთითე კონკრეტული სიტყვა ან სიტყვები, რომლებიც შენს პასუხს დაასაბუთებს.

- დაზღვევა ფულად კომპენსაციას გულისხმობს. ___
  **საიდან ჩანს?** ___
- ყველა ადამიანი უხდის სადაზღვევო კომპანიას ფულს. ___
  **საიდან ჩანს?** ___
- მიწისძვრით მიყენებულ ზარალს დაზღვევა არ ეხება. ___
  **საიდან ჩანს?** ___
- ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი ნივთის დაზღვევა. ___
  **საიდან ჩანს?** ___

ბ. დაუბრუნდი წიგნის 92-ე გვერდზე მოცემულ ავარიას, გაითვალისწინე დაზღვევის შესახებ მოცემული ინფორმაცია (მათ შორის, წიგნში მოცემული სქემაც, გვ.93) და ისაუბრე ამ სიტუაციის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.

- რა სახის სადაზღვევო შემთხვევასთან გვაქვს საქმე?
- რა და რა სახის დაზღვევაზე შეგვიძლია ვისაუბროთ მოცემულ შემთხვევაში და რატომ? დააკონკრეტე, რას გულისხმობ.
- რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის დაზღვევა მოცემულ სიტუაციაში?

1. **გაიხსენე დაზღვევის ისტორია და დაასახელე, ქვემოთ მოცემულ ინფორმაციებში რა არის არასწორი? გაასწორე ისინი და გააცანი სხვებს. შეადარეთ ერთმანეთის ნაწერ-ები.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ა. იმ დაზარალებულ ქვისმთლელებს, რომლებიც პირამიდების მშენებლობაში მონაწილეობდნენ, დახმარებას ეგვიპტის ფარაონი უწევდა.<br>ბ. მექარავნეები წინასწარ უთანხმდებოდნენ ქონების პატრონებს, რომ სტიქიის შემთხვევაში, მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ მოეთხოვათ.<br>გ. რომაელი ჯარისკაცები წინასწარ აზღვევდნენ საკუთარ ოჯახებს, რათა მათი დაღუპვის შემთხვევაში, ოჯახებს არსებობის საშუალება ჰქონოდათ. თანხა წინასწარ არჩეულ ლეგიონერთან გროვდებოდა.<br>დ. პირველი სადაზღვევო ხელშკრულება გაუფორმდათ სოციალურად დაუცველ ადამიანებს.<br>ე. ლონდონში გაჩენილმა ხანძარმა XVII ს-ში საფუძველი დაუდო, ზოგადად, უბედური შემთხვევებისაგან დაზარალებული ადამიანების დაზღვევას. | |

2. **შეამოწმე შენი დავალება წიგნის მიხედვით (გვ.94).**

3. **დაუბრუნდი წინა დავალებას და იქ მოცემული ცალკეული შემთხვევა დააკავშირე დაზღვევის თანამედროვე სტანდარტებთან, კერძოდ:**
   - დაზღვევის რა სახეა?
   - კონკრეტულად, რომელ სადაზღვევო შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

4. **რას ნიშნავს პირველ ყუთში მოცემული შესიტყვებები? დააკავშირე ისინი მეორე ყუთში მოცემულ ზმნებთან ნიმუში მიხედვით.**

| | |
|---|---|
| ა. წინააღმდეგობის გაწევა | 1. შეწინააღმდეგება |
| ბ. ხარჯის გაწევა | 2. გაგანიერება, გაფართოება |
| გ. სამსახურის გაწევა | 3. გათვალისწინება (მხედველობაში მიღება) |
| დ. დახმარების გაწევა | 4. მომსახურება; |
| ე. ანგარიშის გაწევა | 5. შველა, შემწეობა |
| ვ. განზე გაწევა | 6. დახარჯვა |

ა. ___1___ ბ. ________ გ. ________ დ. ________ ე. ________ ვ. ________

**5. გამოიყენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ. 95) და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა იყო ლონდონური ყავახანის გახსნის მიზანი?
ბ. რა ფუნქცია შეიძინა ყავახანამ გარკვეული დროის შემდეგ?
გ. რამ უბიძგა ლოიდს ახალი საქმიანობის დაწყებისაკენ?
დ. რატომ დაინტერესდა ის კონკრეტულად გემების დაზღვევით?
ე. შენ როგორ ფიქრობ, რატომ აკრძალა ინგლისის მთავრობამ „ლოიდის ცნობების“ გამოცემა?
ვ. რით უპასუხა ლოიდმა მთავრობის რეაქციას?
ზ. გაამართლა თუ არა ლოიდის იდეამ? საიდან ჩანს?

**6. გაიხსენე ედუარდ ლოიდისა და მისი ყავახანის ისტორია, წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია და მონიშნე შესაბამისი სვეტი.**

| | **სწორია** | **არ არის სწორი** | **არ ჩანს ტექსტში** |
|---|---|---|---|
| ა. ყავახანა დილით ადრე იღებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა.<br>ბ. ადგილობრივი ბრიტანელი ქალები ყავახანაში არ დადიოდნენ.<br>გ. ედუარდ ლოიდს არასოდეს უნახავს თავისი კლიენტები.<br>დ. ყავახანაში მომუშავე ქალებს, ლოიდის ბრძანებით, სპეციალური ტანსაცმელი ეცვათ.<br>ე. ყავახანის სტუმრებს მოსწონდათ იქაურობა.<br>ვ. ლოიდის მიერ დაარსებული პირველი გაზეთი ორგვერდიანი იყო.<br>ზ. გაზეთში მთავარ ინფორმაციებთან ერთად ლონდონის ახალი ამბებიც იბეჭდებოდა.<br>თ. ლოიდის სადაზღვევო კომპანიამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის გარეთაც.<br>ი. დღეს ლოიდის კომპანიაში უამრავი ადამიანი მუშაობს. | | | |

**7. დაუბრუნდი ცხრილს და გაამყარე იქ მოცემული მართებული (სწორი) და მცდარი (არასწორი) ინფორმაციები ტექსტის მიხედვით – საიდან ჩანს, რომ ეს მართლაც ასე იყო, ან ასე არ იყო? ამოწერე ტექსტიდან ფრაზები, რომლებიც შენს პასუხებს დაასაბუთებს.**

___1.________________________________________

**1. დაიყავით ჯგუფებად და შეასრულეთ მოცემული მითითებები.**

- „ჩამოაყალიბეთ“ სადაზღვევო კომპანია. მოიფიქრეთ კომპანიის სახელი, დაზღვევის სახეები და განსაზღვრეთ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევები;
- მოიფიქრეთ და შესთავაზეთ „კლიენტებს“ არასტანდარტული სადაზღვევო პაკეტი:
  - **ა.** უჩვეულო და არაორდინალური რისკები;
  - **ბ.** ღიმილისმომგვრელი სიტუაციები.

**გამოიყენეთ ფრაზები!**
1. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ... (*რას იზამთ / რა მოგივათ / რა შეგემთხვევათ*), სადაზღვევო კომპანია *გადაგიხდით / აგინაზღაურებთ* ...
2. ის, ვინც ... , ჩენი კომპანიისაგან მიიღებს ....
3. იმას, ვისაც ... , შეუძლია, ჩვენს სადაზღვევო კომპანიასთან გააფორმოს ხელშეკრულება და .... მიიღოს კომპენსაცია ... —ის ოდენობით!

- გაუკეთეთ რეკლამა თქვენს კომპანიასა და სადაზღვევო პაკეტს.

**მიაქციეთ ყურადღება!**

**სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები:**

I. გამოკვეთეთ რეკლამის ფუნქცია და მისი მომხმარებელი.
  - ა. პოტენციური კლიენტის დარწმუნება (*რატომ უნდა გახდეს თქვენი კლიენტი; რატომ უნდა აირჩიოს მაინცადამაინც თქვენი სადაზღვევო კომპანია და ა.შ.*);
  - ბ. მისი ინფორმირება (*რა ელის მას თქვენგან / რას მიიღებს ის თქვენი კომპანიისაგან და ა.შ.*);
  - გ. გაფრთხილება (*რა მოხდება, მაგალითად, თუკი ის თქვენს კომპანიას არ აირჩევს და ა.შ.)*

II. გაითვალისწინეთ ძირითადი მომხმარებლის ასაკი და ინტერესები.

III. გამოკვეთეთ თქვენი ძლიერი მხარეები:

**დაიმახსოვრეთ: ამბობთ მხოლოდ კარგს და არაფერს – ცუდს!**

IV. ყურადღება მიაქციეთ ტექსტის ფორმას და ენას:

**ტექსტი უნდა იყოს: მარტივი, ყველასათვის გასაგები და მცირე ზომის.**

- გააფორმეთ სადაზღვევო პაკეტი და რეკლამა და წარუდგინეთ კლასელებს.
- შეფასების კრიტერიუმები:

| | |
|---|---|
| ა. ყველაზე ორიგინალური | ბ. ყველაზე მრავალფეროვანი |
| გ. ყველაზე სასაცილო | დ. ენობრივად ყველაზე გამართული |

## წაკითხულის გააზრება

**დაუბრუნდი წიგნში არსებულ ტექსტს და შეასრულე მოცემული მითითებები.**

*1. რა იყო ევროპული საბანკო სისტემის ჩასახვის უშუალო მიზეზი?*

**გ.** ჯვაროსნული ლაშქრობები ახლო აღმოსავლეთში;
**დ.** ფინანსური რესურსების თავმოყრა იტალიური საგვარეულოების ხელში;
**ე.** იტალიელი მედიჩების მიერ ორგანიზაციის დაფუძნება ფლორენციაში;
**ვ.** იტალიელი მედიჩების მიერ საბანკო ფილიალების დაარსება მთელ ევროპაში.

2. *კარდინალ რიშელიეს გამონათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ მსხვილ ბანკებს შეუძლიათ:*

**ა.** პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა და ახალი სახელმწიფოების დაარსება;
**ბ.** პოლიტიკაში ჩართვა და ახალი სახელმწიფოების დაარსება;
**გ.** არსებულ სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოხდენა და ახალი სახელმწიფოების დაარსება;
**დ.** ოლიტიკაში ჩართვა და პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა.

3. *III აბზაცში ვკითხულობთ, რომ მაერ ამსჩელი იყო როტშილდების მამამთავარი. ეს გულისხმობს, რომ:*

**ა.** იგი იყო როტშილდების ოჯახის უფროსი;
**ბ.** იგი იყო ყველაზე პატივცემული როტშილდების ოჯახში;
**გ.** მან საფუძველი ჩაუყარა როტშილდების ფინანსურ კლანს;
**დ.** მან ყველაზე მეტი მოგება მოუტანა როტშილდების ფინანსურ კლანს.

4. *IV აბზაცში ვკითხულობთ, რომ ფინანსურმა ცენტრებმა ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის გავლით გადაინაცვლა ევროპის ჩრდილოეთში. ეს გულისხმობს, რომ:*

**ა.** ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის შემდეგ ფინანსური ცენტრები გადავიდა ევროპის ჩრდილოეთში;
**ბ.** ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის ნაცვლად ფინანსური ცენტრები დაარსდა ევროპის ჩრდილოეთში;
**გ.** ფინანსური ცენტრები ევროპის ჩრდილოეთში გადავიდა ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის გვერდის ავლით;
**დ.** ფინანსური ცენტრები ევროპის ჩრდილოეთში დაარსდა ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის თანხმობით.

5. *რა არის V აბზაცის სქოლიოს დანიშნულება?*

**ა.** ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის შეჯამება;
**ბ.** ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის შევსება კონკრეტული მაგალითებით;
**გ.** ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის განმარტება;
**დ.** ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის უარყოფა კონკრეტული მაგალითებით.

6. *V აბზაცში ნათქვამია, რომ ნიურ-იორკის საფონდო ბირჟა მიჩნეულია აშშ-ს ფინანსური ძლიერების სიმბოლოდ. შემოხაზეთ ვარიანტი, რომელშიც მსგავსი აზრია გამოთქმული:*

**ა.** ავტორის აზრით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა აშშ-ს ფინანსური ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს;
**ბ.** საერთო აზრით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა აშშ-ს ფინანსური ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს;
**გ.** საზოგადოების ნაწილის აზრით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა აშშ-ს ფინანსური ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს;
**დ.** საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა აშშ-ს ფინანსური ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს;

# მისტიკა

## 1. მითი თუ სინამდვილე

**1. გაიხსენე ინფორმაცია ბაბილონის გოდოლის შესახებ და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. რობერტ კოლდევეი იყო:
- არქიტექტორ-რესტავრატორი;
- არქეოლოგი;
- ისტორიკოსი.

ბ. მან 1899 წელს:
- აღმოაჩინა ქალაქი ბაბილონი;
- აღადგინა ბაბილონის გოდოლი;
- გამოიკვლია ბაბილონის ისტორია.

გ. ბაბილონის გოდოლის დანგრევა უკავშირდება:
- მეფე ნაბუქოდონოსორის სახელს;
- ალექსანდრე მაკედონელს;
- ასურეთის მეფეებს.

**2. წაიკითხე და შეამოწმე ნაწერი (მოსწ. წიგნი გვ.132).**

**3. გაიხსენე ბაბილონის გოდოლთან დაკავშირებული მითი. წაიკითხე მოცემული ვარიანტი, მოძებნე, რა არის იქ არასწორი და გაასწორე.**

| არასწორი ვარიანტი: | სწორი ვარიანტი: |
|---|---|
| ძველი ეგვიპტური მითის თანახმად, გამანადგურებელი მიწისძვრის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს ისეთი ქალაქისა და კოშკის აგება, რომელიც ვარსკვლავებს მისწვდებოდა. ადამიანის გადაწყვეტილებით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ გონება და გაფანტა ისინი სხვადასხვა მხარეს. | |

**4. თავიდან წაიკითხე და დააზუსტე შენი ნაწერი (მოსწ. წიგნი გვ.132).**

**5. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| მსოფლიო | ღმერთი | ______ |
| ებრაული | მიწისძვრა | ______ |
| გამანადგურებელი | თავხედობა | ______ |
| განრისხებული | მითი | ______ |
| ადამიანის | წარღვნა | ______ |

**6. გაეცანი მოცემულ განმარტებებს და დააკავშირე შესაბამის წინადადებებთან. ჩაწერე, კონკრეტულად რომელი მნიშვნელობა იგულისხმება.**

წარღვნა

1. ბიბლიური ლეგენდით – წყალდიდობა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა წყლით.
2. გადატ. თავსხმა // ნიაღვარი
3. წალეკვა (ზმნა: წალეკავს, წალეკა, წაულეკავს); მოვარდნილი (ადიდებული) მდინარის (ნიაღვრის...) მიერ წაღება;

ა. გუშინ საშინელი წარღვნა იყო. სტიქიამ ყველაფერი დააზარალა. ____________

ბ. გუშინდელმა ნიაღვარმა ეზო და მისი შემოგარენი მთლიანად წაიღო. ____________

გ. „წვიმა უფრო ღონიერდებოდა, თითქო წარღვნას ეპირებოდა“ (დ. კლდიაშვილი) ___ _________.

დ. გარეთ არ გაისვლება, ისეთი წარღვნაა. __________

ე. ყველა მოელოდა ქვეყნის წარღვნას. ___________

**7. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

*თავხედი ნიშნავს:*

ა. გაბედულ და უშიშარ ადამიანს;

ბ. ურცხვად თამამ, ზედმეტად მოურიდებელ, უტიფარ ადამიანს;

გ. სულელ, არაფრის მცოდნე ადამიანს.

*განზრახვა ნიშნავს:*

ა. თქმას, აზრის გამოხატვას;

ბ. არარეალურ რამეს, ფუჭ ოცნებას;

გ. ჩანაფიქრს, გადაწყვეტილებას, გეგმას

**8. შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე. შეადარე სხვების ვარიანტებს. ყურადღება მიაქციე ფორმათა სიზუსტეს.**

*წარღვნა ნიაღვარი თავსხმა*

ა. მოვარდნილმა _________________________ ბაღ-ბოსტნები დააზარალა.

ბ. ნამდვილი __________________, ასეთი ________________________ ჯერ არ მახსოვს.

*თავხედი თავხედობს თავხედობა*

ა. სირცხვილია, გაჩერდი, ნუ __________________________!

ბ. ყველა გაოცებული დარჩა მისი ____________________________.

გ. ნერვებს მიშლის, ძალიან ____________________________ ბავშვია.

**9. შემოხაზე, მოცემული განმარტებებიდან რომელი მნიშვნელობითაა გამოყენებული მითითებული სიტყვა წინადადებაში.**

*გაფანტვა*

1. აქეთ-იქით უწესრიგოდ დაყრა, მიყრა-მოყრა, გაბნევა, მიმოფანტვა
2. დაქსაქსვა, გარეკვა, გაყრა

*შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა.*

*არევა*

1. აშლა, აწეწა // არევ-დარევა, ერთმანეთში არევა
2. გადატ. აღელვება, შეშფოთება; შეშლა

   *ყველა არეული იყო. ეტყობოდათ, რომ მომხდარმა მათზე ძალიან იმოქმედა.*

**1. ვინ არიან და რა კავშირი აქვთ მათ დაკიდებულ ბაღებთან. ჩაწერე და გააცანი კლასელებს.**

**სემირამიდა:**

**ნაბუქოდონოსორი:**



**ალექსნდრე მაკედონელი:**

**ამიტა:**

**2. მოისმინე და გაასწორე შეცდომები.**

**3. გაიხსენე ინფორმაცია და დაასრულე მოცემული წინადადებები.**

**ა.** დაკიდებულმა ბაღებმა, სამწუხაროდ, ______________________________

**ბ.** ძველმა ბერძნებმა შეცდომა დაუშვეს, როცა ______________________________
______________________________

**გ.** სემირამიდა ძვ.წ.აღ. IX ს-ში მოღვაწეობდა, ბაღები კი ______________________________

**დ.** დედოფალი ამიტა იყო ______________________________

**ე.** ნაბუქოდონოსორმა სწორედ მისთვის ააგო პირამიდის ______________________________
______________________________

**ვ.** დედოფალი ამიტა წარმოშობით ______________________________

**ზ.** ბაბილონის დაკიდებული ბაღები ძვწ.აღ. IV ს-ში ______________________________
______________________________

**თ.** ალექსანდრე მაკედონელმა სწორედ აქ ______________________________
______________________________

**4. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ.103) ბაბილონის შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რატომ მიიჩნევდნენ „ბაბილონის გოდოლის“ შესახებ არსებულ გადმოცემას ლეგ-ენდად?

**ბ.** რა იყო გოდოლის გარე კედელსა და თხრილს შორის?

**გ.** რა მიანიშნებდა ქალაქ ბაბილონის მაღალგანვითარებულ ცივილიზაციაზე?

**დ.** რით გამოირჩეოდა ქალაქის შესასვლელში არსებული კარიბჭე?

**ე.** რომელი ნაგებობები იყო ქალაქში გამორჩეული?

**5. გაიხსენე ყველა ინფორმაცია, გამოიყენე წიგნი, შეავსე ძირითადი და მოკლე ინფორ-მაციით და წაიკითხე. საჭიროებისამებრ, დააზუსტე ინფორმაციის მართებულება მას-წავლებლის დახმარებით, ან მოისმინე და წაიკითხე ტექსტები თავიდან.**

მდებარეობა:

დაარსება:

აღმოჩენა:

ვინ, სად და როდის?

**ინფორმაცია და-კიდებული ბაღების შესახებ.**
აგება (ვინ, როდის და ვისთვის?):

მისი არქიტექტურა:

თანამედროვე ვითარე-ბა:



**ინფორმაცია გოდო-ლის შესახებ.**
პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე):

დამატებითი დეტალე-ბი:

**ინფორმაცია ქალაქის შესახებ.**

1. მისი დაგეგმარება:
2. არქიტექტურა:
3. შიდა კომუნიკაცია:

1. **შეადგინეთ შეკითხვები წინა დავალების მიხედვით, დააზუსტეთ მათი ენობრივი გამართულობა, დაუსვით ერთმანეთს და უპასუხეთ.**

2. **დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| გამოუწვავი | მოჭედილი | |
| ღრმა | კოშკები | |
| სპილენძით | კარიბჭე | |
| მიწისქვეშა | ქუჩა | |
| ლომის | აგური | |
| სათვალთვალო | ნაგებობები | |
| პროცესიის | თხრილი | |
| იშთარის | ქანდაკებები | |

3. **დაუბრუნდი წინა დავალებას, გამოიყენე მოცემული სიტყვათშეხამება და აღადგინე კონტექსტი. გაიხსენე და ჩაწერე ცხრილის I სვეტში, რა კონტექსტშია ისინი ნახმარი.**

| როგორ მახსოვს? | როგორ არის სინამდვილეში? |
|---|---|
| 1, | |
| 2. | |
| 3. | |
| 4. | |
| 5. | |
| 6. | |
| 7. | |
| 8. | |

4. **გამოიყენე წიგნი და შეამოწმე. შეავსე ცხრილის II სვეტი და შეადარე ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა.**

**5. გაიხსენე ინფორმაცია ერიკ შიპტონის შესახებ და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. ერიკ შიპტონი იყო:
- არქეოლოგი;
- ჟურნალისტი;
- ფოტოგრაფი.

ბ. ერიკ შიპტონმა:
- დაწერა წიგნი „თოვლის კაცის კვალგაკვალ“;
- გადაიღო თოვლის კაცის (იეტის) ნაფეხურები;
- დაგეგმა იეტის მოსაძებნად მოწყობილი ექსპედიცია.

**6. აღადგინე კონტექსტი. დაასრულე წინადადებები და წაიკითხე.**

ა. მთის ხალხის განცხადებით, ______________________________

ბ. ჟურნალისტს ისე უნდა გაეშუქებინა ექსპედიცია, რომ ______________________________

______________________________

გ. იეტი ვერ იპოვეს, თუმცა ______________________________

დ. რალფ იზარდის წიგნი გამოქვეყნებისთანავე ______________________________

**7. გამოიყენე ტექსტი იეტის შესახებ (მოსწ. წიგნი, გვ. 105), უპასუხე შეკითხვებს მეწყვილესთან ერთად და წაიკითხე. მიუთითე ადგილი ტექსტიდან, რომელიც თქვენს პასუხს დაასაბუთებს. შეადარე სხვების ნაწერს.**

ა. საიდან ჩანს, რომ ინფორმაცია იეტის შესახებ მარტო ჰიმალაებიდან არ მოდიოდა?

______________________________

ბ. რატომ ეშინოდათ ჰიმალაის მთებში მდგარ მონასტერთან მიახლოება?

______________________________

გ. რა კავშირი აქვს იეტს უკვდავ ლამასთან?

______________________________

დ. იეტის გარეგნობის შესახებ 3 ვარიანტი არსებობს. რომელია ისინი?

______________________________

______________________________

ე. რა არის ამ ურთიერთგანსხვავებული ვარიანტების არსებობის საფუძველი?

______________________________

ვ. რატომ ემალება იეტი ადამიანებს?

______________________________

**8. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა ან გამოთქმა ტექსტში კონტექსტის მიხედვით და ამოწერე.**

- ჭეშმარიტება გაიგო, ______________________________
- მხლებლები, ______________________________
- საფრთხეს თავი დააღწიეს, ______________________________

1. მოძებნე და გაასწორე ენობრივი შეცდომები.

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ა. იეტიზე ინფორმაცია, ძირითადად, ჰიმალაებისაგან მოდიოდა.<br>ბ. ჰიმალაის მიუვლელი ადგილები უხილავი ცხოველის საარსებოდ შესანიშნავ პირობებს ქმნიდა.<br>გ. ის ლამა იშვიათად თუ ინახავს ვინმეს.<br>დ. წიგნების წაკითხვის გამო იმ ლამას სიბრძნე შეუმეცნებია.<br>ე. ეს ამბავი დიდი ხნის წინაშე ორი ქვეყნების იმპერატორებს გადახდა.<br>ვ. მათ თავდამსხმელად იეტი ეგონათ და მისი შეპყრობა გადაუწყვეტიათ. | |

2. გადახაზე არასწორი შესიტყვება.

ა. თვალის მოკვრა
ბ. თვალის შევლება
გ. თვალის ჩაკვრა
დ. თვალის მიღება
ე. თვალის დადგმა

ა. ენის არევა
ბ. გონების არევა
გ. ცოდნის არევა
დ. ოთახის არევა
ე. ფეხის არევა

3. წაიკითხე და დააკავშირე. ჩაწერე სათანადო ფორმა და შეადარე სხვების ვარიანტებს. მოისმინე და შეამოწმე.

*მოეწონა მიანიშნა დაინახა შეათვალიერა*

ა. თვალი მოჰკრა ______________________
ბ. თვალი შეავლო ______________________
გ. თვალი დაადგა ______________________
დ. თვალი ჩაუკრა ______________________

4. სწორად გაანაწილე მოცემული ფორმები კონტექსტის მიხედვით.

ა. *მოჰკრა / მოუკრავს*
- მან მბრწყინავ ნივთს თვალი ______________________
- მას მბრწყინავი ნივთისთვის თვალი ______________________

ბ. *მიადგა / მისდგომია*
- ის თურმე ერთ ულრან ტყეს ______________________
- ის ერთ ულრან ტყეს ______________________

გ. *შეაღო / შეუღია*
- მას მოულოდნელად ______________________ ოთახის კარი.
- მან მოულოდნელად ______________________ ოთახის კარი.

*დ.* *გახდა / გამხდარა*

- როგორც გავიგე, თურმე მონასტრის უკვდავი მსახური ______________________-
- ის მონასტრის უკვდავი მსახური ________________________

**5. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები. ყურადღება მიაქციე ზმნისწინებს. წაიკითხე და შეამოწმე მასწავლებლის დახმარებით.**

| | **აწმყო** | **უწყვეტელი** -დ | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
|---|---|---|---|---|---|
| **დაქორწინება**<br>**გადაწყვეტა**<br>**გატაცება**<br>**ცნობა** | *აქორწინებს*<br>*წყვეტს*<br>*იტაცებს*<br>*ცნობს* | | *დააქორწინა* | *დააქორწინოს* | *დაუქორწინებია*<br>*გადაუწყვეტია*<br>*გაუტაცია*<br>*უცვნია* |
| | **აწმყო** | **უწყვეტელი** -ოდ | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
| **დაქორწინება**<br>**გადაწყდომა**<br>**შველა**<br>**დასხმა (თავს)** | *ქორწინდება*<br>*აწყდება*<br>*ჰშველის*<br>*ესხმის* | <br><br>*ჰშველოდა* | *დაქორწინდა* | *დაქორწინდეს*<br><br>*უშველოს*<br>*დაესხას* | *დაქორწინებულა*<br>*გადაწყდომია*<br>*უშველია*<br>*დასხმია* |

**6. გადაიყვანე ზმნები II თურმეობითში და ისე გადმოწერე მეორე ლეგენდა წიგნიდან.**

დიდი ხნის წინ ________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

**7. წაიკითხე და შეამოწმე დავალების სისწორე მასწავლებლის დახმარებით. ცალკე გადმოწერე შეცდომები და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| | |

## 2. წრუწნმენები და ფობიები

**1. წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე წინადადებებთან. ჩაწერე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი ხაზგასმული სიტყვა კონკრეტულ წინადადებაში.**

*ბედი:*

1. განგება, წერა
2. მომავალი ხვედრი, იღბალი
3. კარგი ხვედრი, კარგი იღბალი, ბედნიერება
4. არსებული მდგომარეობა, ყოფა, პირობები
5. გადატ. საცოლე ან საქმრო; საბედო

**ა.** „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი" (ანდაზა) __________

**ბ.** „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!" (აკაკი წერეთელი) __________

**გ.** „ქალი ზის და ბედს ელისო" (ანდაზა) __________

**დ.** „სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია" (ილია ჭავჭავაძე) ________

**ე.** ჩვენი ბედი არავის აწუხებს, როდემდე უნდა ვიყოთ ასე?! __________

**ვ.** ოღონდ ნუ მომკლავ და ბედს გწევო, – უთხრა ოქროს თევზმა მებადურს. ________

**ზ.** ბედი კარზე მოგადგა და შენ კიდევ უარს ამბობ?! ___________

**თ.** „ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ დაეძებს" (ილია) _________

**ი.** ყველა ერთი ბედის არ არის! _________

**კ.** შენი ბედი, რომ ახლა კარგ ხასიათზე ვარ, თორმე მე ვიცი, რასაც მიიღებდი! ______

**2. განმარტე შენი სიტყვებით. რას ნიშნავს მოცემული შესიტყვებები და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ვერსიები.**

**ა.** ბედის (ბედის ჩარხის) ტრიალი: ____________________

**ბ.** ბედმა უმტყუნა: ____________________

**გ.** ბედმა გაუღიმა: ____________________

**დ.** ბედი სწყალობს: ____________________

**ე.** ბედის ანაბარა (ამარა): ____________________

**ვ.** ბედს შეურიგდა: ____________________

**ზ.** ბედის ბორბალი: ____________________

**თ.** ბედის ვარსკვლავი: ____________________

**3. წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე წინა დავალებასთან. მიუთითე, რომელია და შეადარე შენს განმარტებასთან. რა დაემთხვა და რა – არა.**

1. მხოლოდ ბედის მოიმედედ დარჩენა; ყოველგვარ დახმარებას მოკლებული. ________
2. ცხოვრების ჩარხი, წუთისოფელი __________

3. იმედი არ გაუმართლდა, კარგის მოლოდინი გაუცრუვდა. ___________
4. ხალხის წარმოდგენით, ადამიანის ბედის განმსაზღვრელი ვარსკვლავი, რომელიც მისი დაბადებისას აინთება და მის სიკვდილთან ერთად ქრება. __________
5. მოულოდნელად კარგი რამ მოუვიდა. ___________
6. თავის ხვედრს დაემორჩილა. __________
7. ადამიანის ხვედრის ცვლა; კარგი ხვედრის ცუდით შეცვლა და პირიქით. __________
8. საქმე სასიკეთოდ (კარგად) მისდის. ___________

**4. გამოიყენე წინა დავალება (№ 2), წაიკითხე წინადადებები და შეავსე გამოტოვებული ადგილები.**

**ა.** რობინზონ კრუზო უკაცრიელ კუნძულზე ______________________________დარჩა.

**ბ.** საბოლოოდ, რობინზონ კრუზოს ________________________ და სახლში დაბრუნდა.

**გ.** რობინზონ კრუზოს მეგობრებს ____________________________________.

**დ.** რობინზონ კრუზო ______________________________ და ახალი ცხოვრება დაიწყო.

**5. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე დავალებები.**



ფრანო სელაკა – მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი ადამიანი; „მისტერ იღბალი“, როგორც მას უწოდებენ მეგობრები.
**წარმოშობა** – ხორვატია
**დაბადების თარიღი** – 1929 წელი
**დაბადების ადგილი** – კროატია
**პროფესია** – მუსიკის მასწავლებელი
**ოჯახი** – მეხუთე ქორწინება (2007წ.), მეუღლე – კატარინა

**ა.** მონაცემებზე დაყრდნობით, ისაუბრე ფრანო სელაკას შესახებ: ვინ არის, სადაურია, სად და როდის დაიბადა და რას საქმიანობს?

**ბ.** რატომ არის ფრანო სელაკა მსოფლიოში ყველაზე იღბლიან ადამიანად აღიარებული? გამოიყენე მოცემული ფოტოები (გვ.147-148) და ისე უპასუხე შეკითხვას.





_______________ _______________ _______________



RVEULI_Done-11_Qartuli _ 147





______________ ______________ ______________

გ. დაუბრუნდი ფოტოებს და დანომრე, შენი აზრით, რა მოხდა ჯერ და რა – შემდეგ ფრანოს ცხოვრებაში? **მოისმინე** და შეამოწმე შენი ვარაუდი. ჩაწერე შესაბამისი წლები, როდის მოხდა.

დ. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დააკავშირე ფოტოებთან.

1. ავტობუსის მდინარეში გადავარდნას 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ________
2. ავიაკატასტროფის შედეგად, ფრანო უმნიშვნელოდ დაზიანდა. ________
3. სელაკამ რამდენიმე წამით მოასწრო ცეცხლმოკიდებული მანქანიდან გადმოსვლა და ბენზინის ავზიც აფეთქდა. ________
4. მისი ავტომანქანა უფსკრულში გადაიჩეხა, თავად კი ხის ტოტებს დაეკიდა. ________
5. რელსებიდან მდინარეში გადავარდნილმა მატარებელმა 17 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ფრანო სელაკა კი მხოლოდ ხელის მოტეხილობით გადაიყვანეს საავადმყოფოში. ________
6. 81 წლის ფრანომ თავის სიცოცხლეში პირველად ითამაშა ლატარეა და თითქმის მილიონი დოლარი მოიგო. ________

ე. დაუბრუნდი ფრანოს ისტორიას. შენი აზრით:

1. ყველაზე მეტად რაში გაუღიმა ბედმა ფრანო სელაკას? იმაში, რომ:
   - *ის სასწაულებრივად გადაურჩა კატასტროფებს;*
   - *მოიგო მილიონი დოლარი;*
   - *იპოვა თავისი ნამდვილი სიყვარული.*
2. თავად ფრანო რას მიიჩნევს ბედის წყალობად? **მოისმინე** და შეამოწმე შენი ვერსია.

**1. დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ წინადადებებს (1, დ), მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.**

ა. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი; იგივეა, რაც ბაკი. ________________
ბ. ემსხვერპლა, ________________

**2. წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე წინადადებებთან. ჩაწერე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი ხაზგასმული სიტყვა კონკრეტულ წინადადებაში.**

უფსკრული:

1. მეტისმეტად ღრმა, თვალუწვდენელი ხევი, ხრამი;
2. გადატ. ხიფათი, ფათერაკი, დაღუპვა;
3. გადატ. დიდი განსხვავება; უთანხმოება.

ა. მეგობრებს შორის უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა. ___________

ბ. ისეთი ღრმა უფსკრული იყო, თვალს ვერ გაუსწორებდი! ___________

გ. ისეთ შეცდომებს უშვებდა, რომ ვერც კი ხვდებოდა, როგორ მიექანებოდა თანდათან უფსკრულისაკენ. ___________

**3. დაუბრუნდი ფრანოს შესახებ მოცემულ წინადადებებს და დაასახელე, რომელი მნიშვნელობით არის იქ ნახმარი „უფსკრული“?**

**4. დააკავშირე და ჩაწერე.**

*მოტეხვა აფეთქება დაკიდება გადაყვანა დაზიანება გადაჩეხვა*

ხრამში ____________________; საავადმყოფოში ________________________;

მძიმედ ____________________; კიდურების ________________________;

გაზის ____________________; ხეზე ________________________.

**5. მოძებნე ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ამერიკის National Institute of Mental Health-ისაგან 2009 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, დაახლოებით, 15 მილიონი ზრდასრულებული ამერიკელს ეშინია საჯარო გამოსვლის, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 9% ფობიის, სულ მცირე, ერთი სახეობით მაინც ტანჯულობს.<br>მიუხედავად იმისა, რომ მგზავრების დაღუპვა ავიაკატასტროფებში უფრო ხშირია, ვიდრე ავტოკატასტროფისას, მსოფლიოში 80 მილიონ ადამიანს სწორედ ფრენის ეშინია. ავიაფობიით დაავადებულთა შორის არიან ისინიც, რომლებსაც დახურული სივრცის გამო ეშინიათ. აღსანიშნავია, რომ 80 მილიონ ავიაფობში 25 მილიონი ამერიკელია.<br>ფობიის ერთ-ერთი ყველაზე გასავრცელებელი სახეობა – აკროფობია (სიმაღლის შიში) – დედამიწის მოსახლეობის, დაახლოებით, 5%-ს აწუხებს. ამ 5%-ში საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის ზოგადი ნაწილიც შედის. | |

**6. მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერე.**

ა. საზოგადოებისათვის განკუთვნილი, საზოგადო, საყოველთაო, ________________

ბ. განადგურება, მოსპობა, ____________________

გ. ადგილი, სადაც შესაძლებელია რაიმეს მოთავსება, ____________________

1. **დაუბრუნდი მე-5 დავალებაში ( გვ. 149) მოცემულ ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რის ეშინია ამერიკის მოსახლეობის 9%-ს?
   ბ. რომელი ქვეყნის 9%-ზეა საუბარი?
   გ. რომელი ფობიით დაავადებულები შედიან 80 მილიონში?
   დ. რა არის „აკროფობია“ და რამდენი ადამიანი იტანჯება აკროფობიით?
   ე. რომელი ქვეყნის მოსახლეობაა ეს 5%?

2. **დაუბრუნდი ACT-ის მიერ ჩატარებულ კვლევას. დააკვირდი კვლევის შედეგებს და ისაუბრე მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**
   - როგორია ვითარება ქალებში? კაცებში?
   - შეადარე ისინი ერთმანეთს და დაასახელე მათ შორის განსხვავება – ვის რისი უფრო ეშინია და რისი – არა.




3. **ჩაატარე მეწყვილესთან ერთად მსგავსი გამოკვლევა კლასში მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**
   - *შენი და შენი მეწყვილის ჩათვლით გამოიკითხე 10 თანაკლასელი (აქედან: 5 ბიჭი და 5 გოგო).*
   - *შეადგინე ცხრილი და მონიშნე ცხრილში, ვის რისი ეშინია (✓) და რისი- არა (×).*

   ცხრილის ნიმუში:

| თანაკლასელის სახელი და გვარი | დახურული სივრცის | სიმაღლის | სიბნელის | წყლის / ღრმა წყლის |
|---|---|---|---|---|
| გოგოლაძე გურამი | ✓ | × | × | ✓ |
| ებანოიძე ნანა | × | ✓ | ✓ | × |

   - *ცხრილის მონაცემები გადაიყვანე პროცენტებში და შეადგინე ორი შკალა:*

   I. ზოგადი (იხ. მოსწ. წიგნში მოცემული შკალა, გვ. 111), რომელიც უჩვენებს მთლიან სურათს;

II. კონკრეტული (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის), რომლებიც ცალ-ცალკე უჩვენებს, რა ვითარებაა გოგონებთან და რა – ბიჭებთან.

- *გააანალიზე სამივე შედეგი და გააცანი სხვებს. შეადარეთ ერთმანეთის მონაცემები.*

I. ზოგადი სურათის მიხედვით: მაგალითად, რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.

II. კონკრეტილი სურათების მიხდევით: მაგალითად,

ა. ბიჭების რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.

ბ. გოგონების რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.

გ. შეადარე ისინი ერთმანეთს და აჩვენე განსხვავება მათ შორის.

**4. დაუბრუნდი ACT-ის მიერ ჩატარებულ კვლევებს და შეადარე მათი მონაცემები თქვენს მონაცემებთან. ისაუბრე მსგავსება-განსხვავებების შესახებ.**

**5. წაიკითხე და სწორად აღადგინე რეპლიკები კონტექსტის მიხედვით. თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე.**

– რომ მოვდიოდი, შავმა კატამ ______________________

– კარგი, რა, გული ______________________! ვიფიქრე, რაღაც ______________________ ______________________!

– ამაზე მეტი რა ______________________! ხომ გითხარი, შავმა კატამ ____________ ______________________!

– შენ ცრურწმენა ______________ და... რამდენჯერაც შავი კატა ____________ ______________________, იმდენჯერ რაღაც ______________________ უნდა ______________________ აუცილებლად!

– კარგი რა, რა სისულელეა! უბრალოდ ______________________ და მეტი ________ ______________!

– ბავშვობიდან მეც სულ მეუბნებოდნენ, მარილი ______________________, დანა ხელში არავის ______________... მაგიდაზე ____________ და ისე ____________ ____________! სისულელეა! მარილიც ______________________, დანაც __________ __________ ხელში და ხელიდანაც ______________________.

**6. დაუბრუნდი წინა დავალებას და იქ მოცემული ზმნები სწორად გაანაწილე ცხრილში.**

| **უწყვეტელი** (რას შვრებოდა?) | **მყოფადი** (რას იზამს?) | **წყვეტილი** (რა ქნა?) | **II კავშირებითი** (რა ქნას?) | **I თურმეობითი** (რა უქნია?) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**1. გამოიყენე ცხრილი და შეასრულე ქვემოთ მოცემული მითითებები.**

ა. მოცემული ზმნები გაანაწილე პირთა რაოდენობის მიხედვით. შეუწყვე ზმნებს პირები, დააწერე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი და მიუთითე შესაბამისი ნიშნები.

| | |
|---|---|
| **ერთპირიანი** | |
| **ორპირიანი** | |
| **სამპირიანი** | |

ბ. დაუბრუნდი მწკრივებს და დაასახელე კონკრეტული მწკრივის ფუნქცია ცალკეულ შემთხვევაში. რას გამოხატავს კონკრეტული ფორმა?

*მაგალითად, არაერთგზის შესრულებულ მოქმედებას; მოქმედებას, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს; შესრულებული მოქმედების შედეგს და ა.შ.*

გ. დაუბრუნდი პირებს და დაასახელე, კონკრეტული ნაცვალსახელის ბრუნვა ცალკეულ შემთხვევაში.

დ. აკრძალვითი ბრძანებითის ფორმები შეცვალე ნიმუშის მიხედვით, წაიკითხე და შეამოწმე მისი სისწორე მასწავლებლის დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში, დააზუსტე მისი მნიშვნელობა და ჩაწერე, რას ნიშნავს.

| არ გააკეთო! | ნუ გააკეთებ! |
|---|---|
| არ დააბნიო!<br>არ მისცე!<br>არ დადო!<br>არ გადახვიდე!<br>არ თქვა!<br>არ იჩხუბო!<br>არ გადაწმინდო!<br>არ დაუსტვინო!<br>არ გატეხო!<br>არ შეხედო!<br>არ დაუჯერო! | |

ე. გამოიყენე ცხრილი და შეავსე გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით.

- არ ________________________ ცრურწმენებს, სისულელეა!
- ნუ ________________________ ხელით მაგიდას, დაგესვრება!
- არ ________________________ ქუჩაზე, გადასასვლელზე გადადი!
- არ ________________________ ტყუილი, ეს ძალიან ცუდია!
- ნუ ________________________ იმას, რაც შენ არ დაგინახავს!
- არ ________________________ ქუჩაში, უზრდელობაა!

**2. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ.112) და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|
| ა. ადამიანებს ყოველთვის და ყველა კულტურაში ეშინოდათ შავი კატის.<br>ბ. იაპონელებსა და ინგლისელებს შავი კატა უყვართ.<br>გ. კატის მკვლელებს ქვეყნიდან ასახლებდნენ.<br>დ. კატას ძველი ბერძნები ყვითელი საღებავებით ხატავდნენ. | | | |

**3. დაასაბუთე მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.**

ა. სიკვდილის შემდეგ ძველ ეგვიპტეში კატას განსაკუთრებულად მარხავდნენ.
**საიდან ჩანს?** ____________________

ბ. შოტლანდიაში შავ კატას სიმდიდრე მოაქვს.
**საიდან ჩანს?** ____________________

**4. დააკავშირე ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| ვაზაზე | მომტანი |
| ქალღმერთთან | გამოსახული |
| წარმატების | გაიგივებული |

| | |
|---|---|
| კანონის | მიჩნევა |
| სივდილით | დაცვა |
| დანაშაულად | დასჯა |

**5. დაუბრუნდი წინა დავალებას, გამოიყენე მოცემული სიტყვათშეხამება და აღადგინე კონტექსტი. გაიხსენე და ჩაწერე ცხრილის I სვეტში, რა კონტექსტშია ისინი ნახმარი.**

| როგორ მახსოვს? | როგორ არის სინამდვილეში? |
|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>4.<br>5.<br>6. | |

**6. გამოიყენე წიგნი და შეამოწმე. შეავსე ცხრილის II სვეტი და შეადარე ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა.**

**7. გამოიყენე წიგნში მოცემული მე-7 დავალება (გვ. 113) და შეადგინე წინადადებები 154-ე გვერდზე.**

გამოიყენე! **თუ** ... *გითამაშებს / გექავება / გიხურს* **, ესე იგი** ... იჩხუბებ / მიიღებ / გასცემ / გაღარიბდები / გაიგებ; ... უსიამოვნება / უბედურება მოგივა; ... ამბობენ / ჭორაობენ.

*ამბობენ, რომ:*

ა. ______________________

ბ. ______________________

გ. ______________________

დ. ______________________

ე. ______________________

ვ. ______________________

ზ. ______________________

თ. ______________________

**1. გაიხსენე რიცხვებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია და შეასრულე მოცემული დავალებები.**

I. მოცემული სიტყვების გამოყენებით, შეადგინე წინადადებები ისე, რომ აღადგინო სათანადო კონტექსტი.

**ა.** ამერიკა / ჯუნგლები / ინდიელთა ტომი

**ბ.** არაბები / ევროპელები / ციფრები

**გ.** ადამიანები / დიდი რიცხვები / იეროგლიფები

**დ.** პითაგორა / მათემატიკა / სამყარო

**ე.** ამერიკა / ცათამბჯენი / ცამეტი

1. ______________________

2. ______________________

3. ______________________

4. ______________________

5. ______________________

II. გააცანი შენი წინადადებები კლასელებს და შეადარე მათ ვარიანტებს. საჭიროებისამებრ, გაასწორე დაშვებული ენობრივი შეცდომები.

III. მოისმინე წინადადებები და შეამოწმე. შეადარე ისინი შენს ვარიანტებს. მიუთითე, რა დაემთხვა და რა – არა.

## 3. უცხოპლანეტელები

**2. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ 119) და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რის შესახებ წერს გიორგი პოსტს?

**ბ.** კონკრეტულად, რა ფაქტმა დააინტერესა გიორგი?

**გ.** არის თუ არა ეს ახალი ინფორმაცია? დაასაბუთე ტექსტის მიხედვით. წაიკითხე ფრაზა, რომელიც ამაზე მიუთითებს.

**დ.** როგორი დამოკიდებულებაა ამ ფაქტის მიმართ ინტერნეტსივრცეში და, როგორ ფიქრობ, რატომ?

ე. როგორია თავად გიორგის დამოკიდებულება?

ვ. ფიქრობ თუ არა, რომ გიორგის მაინც არ აქვს მყარი პოზიცია უცხოპლანეტელების არსებობასთან დაკავშირებით? დაასაბუთე პასუხი ტექსტის მიხედვით. მოიტანე ფრაზა, რომელიც შენს პასუხს გაამყარებს.

**3. დაახარისხე გიორგის მიერ მოყვანილი ფაქტები, ცალკეულ შემთხვევაში მიუთითე კონკრეტული წყარო (ვისგან მოდის ეს ინფორმაცია) და ამის მიხედვით ისაუბრე მათ სანდოობაზე.**

| წყარო არ არის მითითებული | წყარო მითითებულია | |
|---|---|---|
| | მეცნიერები, სპეციალისტები... | ნაცნობი ადამიანები |
| | | |

**4. უპასუხე შეკითხვებს ფაქტებზე დაყრდნობით და დაასაბუთე პასუხი.**

ა. რის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ: „საიდუმლოთა წიგნში“ უცხოპლანეტელების არსებობა დადასტურებულია? მოიტანე სათანადო ფრაზა.

ბ. რატომ ფიქრობენ „აპოლო 11“-ისა და „აპოლო 12“-ის ეკიპაჟები, რომ უცხოპლან-ეტელები არსებობენ?

გ. რაში ეწინააღმდეგება მთვარეზე მისიის მართვის ერთ-ერთი სპეციალისტი მეცნიერებს?

დ. სპეციალისტის ნაამბობის მიხედვით, აღიარებენ თუ არა მეცნიერები მთვარეზე უცხო ცივილიზაციის არსებობას?

**5. დაუბრუნდი გიორგის მიერ მოყვანილ ფაქტებს. რაზე მეტყველებენ ისინი?**

**6. შემოხაზე ვარიანტი, რომელსაც ემხრობი და დაასაბუთე სათანადო მაგალითებით. იმუშავე მეწყვილესთან ერთად.**

ა. ყველა ფაქტი ადასტურებს იმას, რომ უცხოპლანეტელები მართლაც არსებობენ;

ბ. ფაქტები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ სამყარო ამოუცნობია;

გ. ფაქტები ბოლომდე ვერ ადასტურებენ უცხოპლანეტელების არსებობას. ყველა ფაქტი მხოლოდ ვარაუდს ემყარება.

**1. ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია წერილობით და გააცანით კლასელებს.**

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

**2. გაიხსენე, რას ამბობს ცნობილი ფიზიკოსი და კოსმოლოგი სტივენ ჰოკინგი უცხოპლანეტელების არსებობის შესახებ, მონიშნე სწორი ვარიანტი და დაადასტურე შენი გადაწყვეტილება ტექსტის მიხედვით.**

ა. სტივენ ჰოკინგი:

- ვარაუდობს უცხოპლანეტელების არსებობას;
- დარწმუნებულია უცხოპლანეტელების არსებობაში;
- ეჭვით უყურებს მათ არსებობას.

**საიდან ჩანს?** მოიტანე 2 მაგალითი.

1. ______________________________________________

2. ______________________________________________

ბ. სტივენ ჰოკინგისათვის რიცხვები:

- მისი მათემატიკური ტვინის ვარჯიშისათვის საუკეთესო საშუალებაა;
- მისტიური და ამოუცნობი ფენომენია;
- სამყაროს გასაღებია.

**საიდან ჩანს?** მოიტანე მაგალითი.

1. ______________________________________________

**3. გაიხსენე ბავშვების დიალოგი და შეავსე წარმოდგენილი ნაწყვეტი.**

– ისე, ხომ შეიძლება, რომ ____________________ იყვნენ უცხოპლანეტელები? ამას წინათ ტელევიზიით ვნახე, 1996 წელს ________________________ მეცნიერებმა მარსიდან __________________________ მეტეორიტში რაღაც ________________ ________ მსგავსი აღმოაჩინესო. იმასაც ამბობენ, _____________________ არიან უცხოპლანეტელებიო. რაღაც ბაზები __________________________ იქ.

– კარგი რა, ვერაფერსაც ვერ ამტკიცებენ, მარტო ______________________. ფაქტია, რომ, თუკი ისინი მართლა ______________________, მაშინ ისეთ პლანეტაზე უნდა ______________________, სადაც ამის პირობები არსებობს. მინიმუმ, ______________________ მაინც უნდა ______________________! ჰოდა, წყალი არც მარსზე და არც მთვარეზე აღმოჩენილი არ არის.

– ეგ ბევრს არაფერს ______________________. შეიძლება, არის კიდეც და ჯერ ვერ აღმოაჩინეს. ისე, ხომ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მართლა ______________________ _____ ჩვენი დედამიწის ______________ პლანეტა?

– რა თქმა უნდა, ______________________ არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ამხელა ______________________ ჩვენ გარდა, შეიძლება, მართლაც ______________________ _____ სხვებიც!

4. **თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე შენი ნაწერი. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რატომ ფიქრობს ერთ-ერთი თანამოსაუბრე, რომ მარსზე, შესაძლოა, უცხოპლანეტელები არსებობდნენ?

ბ. რა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს სხვა პლანეტაზე სიცოცხლე?

გ. ეთანხმები თუ არა იმას, რომ სადღაც, შესაძლოა, სიცოცხლე მართლაც არსებობს?

5. **მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები დიალოგში და ამოწერე.**

ა. მიგნება, ნახვა იმისა, რაც მანამდე ცნობილი არ იყო. ______________________

ბ. ცოტა ხნით ადრე, ______________________

გ. წინასწარი აზრი, მოსაზრება რისამე შესახებ. ______________________

დ. ის, რაც სინამდვილეში მოხდა; ნამდვილი, უეჭველი. ______________________

ე. ვითარება, გარემოება, რომელშიც რაიმე ხდება. ______________________

6. **დაუბრუნდი დიალოგს და ამოწერე წინადადებები, რომლებიც გამოხატავენ:**

ა. წარსულში შესრულებულ მოქმედებას, როგორც ფაქტს: ______________________
______________________________________________

ბ. წარსულში შესრულებული უნახავი მოქმედების შედეგს: ______________________
______________________________________________

გ. მომავალში შესასრულებელი მოქმედების

- აუცილებლობას: ______________________
______________________________________________
- ვარაუდს: ______________________
______________________________________________
- შესაძლებლობას: ______________________
______________________________________________

**1. გამოიყენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ.121) და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. რას ფიქრობს სტივენ ჰოკინგი?**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|
| ა. წყლის აღმოჩენა უცხოპლანეტელებთან მიგვიყვანს. | | | |
| ბ. მარსზე შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა. | | | |
| გ. ადამიანები ვერასოდეს გაფრინდებიან მარსზე. | | | |
| დ. მარსის გამოსაკვლევად 3 მილიონი დოლარია საჭირო. | | | |
| ე. მზის სისტემაში აზრი არ აქვს უცხოპლანეტელების ძებნას. | | | |
| ვ. უცხოპლანეტელები აუცილებლად მზის სისტემის გარეთ უნდა ვეძებოთ. | | | |

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას, გამოიყენე ტექსტი და დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება სწორ და არასწორ პასუხებთან დაკავშირებით. მოძებნე და წაიკითხე სათანადო ადგილები.**

**3. გაიხსენე ტექსტი იუპიტერის თანამგზავრის შესახებ, მოძებნე მცდარი ინფორმაცია და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ევროპა ძალიან პატარაა. მისი ფართობი 3200 კმ-ც კი არაა, ამასთან ის ძალიან ცივია. ტემპერატურა აქ -160°C-ია. ევროპის უმეტესი ნაწილი დაფარულია სქელი ყინულით, რომელიც, სავარაუდოდ, 24 კმ სიგრძეზეა გადაჭიმული, თუმცა მის ქვემოთ, შესაძლოა, სითბოს წყაროც არსებობდეს... ეს სითბო, შეიძლება, საკმარისიც იყოს ყინულის ქვედა ფენის გასალღობად, რაც წარმოშობს თხევადი წყლის ტბას, რომელიც ზემოდან ყინულის მყარი ფენით არის დაცული. თუკი ეს ასეა, შესაძლოა, იქ ცხოვრობდნენ უცხოპლანეტელები – არსებები, რომლებიც განვითარდნენ, რათა აითვისონ ეს ბნელი და უძველესი წყლიანი სამყარო. | |

**4. თავიდან წაიკითხე და შეამოწმე შენი ნაწერი (მოსწ. წიგნი, გვ. 133).**

**5. გაასწორე ენობრივი შეცდომები და წაიკითხე.**

ა. ევროპაში ძალიან ცივია. ______________________

ბ. ევროპა ძალიან უსქესი ყინულითაა დაფარული. ______________________

გ. ყინულის სიღრმე 24 კმ-ზეა გადაჭიმული. ______________________

დ. ყინულის ქვემოთ უამრავი გამლღვარი წყლებია. ______________________

ე. გამლღვარი წყალი გაყინული ყინულითაა დაფარული. ______________________

**6. გამოიყენე წიგნში მოცემული ყველა ტექსტი, შეავსე ინფორმაციით სტივენ ჰოკინგის მოსაზრებებზე დაყრდნობით და გააცანი კლასელებს. იმუშავე მეწყვილეთან ერთად.**

**მათი არსებობა:**

1. შესაძლებელია თუ არა?
2. რა შემთხვევაში?
3. სად?

**ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს მეცნიერს:**



**ვარაუდები მათ გარეგნობასთან დაკავშირებით:**

**უცხოპლანეტელები და დედამიწელები:**

1. ინტერესები:
3. მოლოდინები:
4. სავარაუდო შედეგები:

**7.** **შეადგინეთ შეკითხვები წინა დავალების მიხედვით, დააზუსტეთ მათი ენობრივი გამართულობა, დაუსვით ერთმანეთს და უპასუხეთ.**

**8.** **დაუბრუნდი სტივენ ჰოკინგის მოსაზრებებს, გამოიყენე ისინი და ისაუბრე, ზოგადად, უცხოპლანეტელების არსებობა-არარსებობის შესახებ.**

**9.** **იმსჯელე სტივენ ჰოკინგის მიერ მოყვანილ ფაქტებსა და ვარაუდებზე. გამოხატე შენი პოზიცია მათ შესახებ და დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**

**10.** **მოძებნე სტივენ ჰოკინგის არგუმენტებიდან ორი: ერთი, რომლითაც ადასტურებს რაიმე დებულებას და მეორე, რომლითაც უარყოფს და შეასრულე მოცემული მითითებები.**

I. ***დამადასტურებელი არგუმენტი.***

- ჩაწერე დებულება (ფაქტი, ვარაუდი, პოზიცია), რომელსაც შემდგომ ადასტურებს.

- ჩაწერე არგუმენტი, რომლითაც ადასტურებს მოცემულ ფაქტს, ვარაუდს ან პოზიციას.

- შეაფასე მოცემული არგუმენტი – რამდენად მყარი და დამარწმუნებელია ის შენთვის და რატომ?

**II. *უარმყოფელი არგუმენტი.***

- ჩაწერე დებულება (ფაქტი, ვარაუდი, პოზიცია), რომელსაც შემდგომ უარყოფს.

- ჩაწერე არგუმენტი, რომლითაც უარყოფს მოცემულ ფაქტს, ვარაუდს ან პოზიციას.

- შეაფასე მოცემული არგუმენტი – რამდენად მყარი და დამარწმუნებელია ის შენთვის და რატომ?

**1. გაეცანი მეწყვილესთან ერთად წიგნში არსებულ სქემებს (გვ. 123) და შეასრულეთ მოცემული მითითებები.**

I. *გულდასმით წაიკითხე ფაბულად შერჩეული ფრაზა (მოსწ. წიგნი, გვ. 122) და მოიფიქრე სიუჟეტი. ყურადღება მიაქციე დასმულ შეკითხვებს.*

ვინ არის ეს ადამიანი? სად და რატომ მიდის ღამით? მარტო მიდის თუ ვინმესთან ერთად? რატომ გადაწყვეტს შემოვლითი გზით წასვლას? რომელი მხრიდან და როგორ გამოჩნდება მფრინავი თეფში? რა მოჰყვება მის გამოჩენას? სად წაიყვანენ უცხოპლანეტელები მას და რატომ? რა მოხდება იქ – რა მოჰყვა მათ შეხვედრას განსაკუთრებული: დამეგობრდნენ, დაეხმარნენ ....? რით დამთავრდება ეს ყველაფერი – საბოლოოდ წაიყვანეს ის თუ დააბრუნეს? და ა.შ.

აუცილებლად უნდა გამოჩნდეს კონკრეტული მიზანი, მაგალითად,

- უცხოპლანეტელებს კეთილი მიზნები ამოძრავებთ;
- მათ უნდათ ადამიანებთან დაახლოება;
- დედამიწაზე განსაკუთრებული მისია ჰქონდათ შესასრულებელი და სხვა.

II. *მოიფიქრე მთავარი და დამატებითი პერსონაჟები და შეადგინე მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია (მათი რაოდენობა განსაზღვრე საჭიროების მიხედვით).*

| | **პირადი მონაცემები** (ვინაობა, ასაკი, საქმიანობა) | **გარეგნობა** (ფიზიკური მონაცემები, ჩაცმულობა) | ხასიათის **თვისებები, ემოციები, ინტერესები...** |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2.. | | | |
| 3. | | | |
| 4. | | | |

III. *დაუბრუნდი პერსონაჟებს და იმუშავე მათზე.*

**ა.** მოიფიქრე, რატომ არიან ისინი ასეთები (მაგალითად, *კარგი / ცუდი; ჭკვიანი / სულელი; ბოროტი / კეთილი* და ა.შ.). მონიშნე სავარაუდო სიტუაციები, სადაც ისინი ამ თვისებებს ავლენდნენ ან გამოავლენენ, საჭიროების შემთხვევაში.

**ბ.** იფიქრე, რატომ აირჩიეს უცხოპლანეტელებმა მაინცდამაინც ის (*იმიტომ, რომ ჭკვიანია, თავისი საქმის პროფესიონალია ან ბოროტია, ცუდია და უცხოპლანეტელებთან შეხვედრამ ის მთლიანად უნდა შეცვალოს, სხვა ადამიანად უნდა აქციოს* და სხვა).

**გ.** მოიფიქრე და გამოკვეთე მათი განცდები და ემოციები სხვადასხვაგვარად:
- მისი ქცევით, რეაქციით (მაგ., *შიშისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა / კანკალი დაიწყო / მუხლებში ძალა გამოეცალა...; სიხარულისაგან ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო...*
- მისი რეპლიკებით (მაგ., როგორ მიხარია თქვენი ნახვა! რა საშინელება!...)
- თქვენი შეფასებით.

IV. *შესაძლო (სავარაუდო) გარემოებების (მოვლენების) გათვალისწინებით, ჩამოწერე საჭირო ლექსიკა, რომლებსაც სავარაუდოდ გამოიყენებ კონკრეტულ პერსონაჟთან მიმართებაში..*

| **გარემოება** (სიტუაცია) | **განცდა/ემოცია** (როგორია?) | **ქცევა/მოქმედება** (რას აკეთებს, რა გააკეთა?) |
|---|---|---|
| მარტო მიდის გაზაზე, ღამეა. | ჩაფიქრებული, დარდიანი...<br>მხიარული შეშინებული (სიბნელის ეშინია) | მღერის, უსტვენს...<br>ტელეფონზე საუბრობს...<br>თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკება...<br>აკანკალებული აქეთ-იქით იყურება... |
| უცებ მფრინავი თეფში გამოჩნდა. | აცახცახებული. თვალებდაჭყეტილი... | კაცი ერთ ადგილზე გაშეშდა; ხელების ქნევა დაიწყო; ყვირილი ატეხა; გაიქცა; ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო; ხის უკან დაიმალა; ორმოში ჩაძვრა ... |
| და ასე შემდეგ | | |

V. *რაიმეს აღწერისას, შეეცადე, გამოიყენო ხუთივე გრძნობა:*

1. სმენა (რა გაიგონა? – *ზუზუნი, რაღაც უცნაური ხმები, ფოთლების შრიალი...*)
2. მხედველობა (რა დაინახა? – *წითელი შუქი, მკვეთრი სინათლე, მრგვალი საგანი...*)
3. გემოვნება (როგორი გემო ჰქონდა? – *ტკბილი, მწარე, უცნაური...*)
4. ყნოსვა (რისი სუნი იგრძნო? – *დამწვარი რეზინის, ნაცნობი არომატის, ახალგამომცხვარი პურის...*)
5. შეხება (როგორია? – *მაგარი, რბილი, ცივი, ცხელი...*)

**ნიმუში:**

უცბად ჩაბნელებულ ცაზე მფრინავი თეფში გამოჩნდა – დიდი, მრგვალი და წითელი შუქით განათებული. ზუზუნით მოფრინავდა.

ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს უცბად შეწყდა. კაცი ჯერ ერთ ადგილზე გაშეშდა, შემდეგ ხეს ამოეფარა და შიშისაგან აცახცახებულმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვარდისფერი კვამლი დაინახა და რაღაც უცნაური სუნიც იგრძნო...

VI. *ჩამოწერე დროისა და სივრცის გამომხატველი ის სიტყვები და ფრაზები, რომელთაც სავარაუდოდ გამოიყენებ.*

| დროში ორიენტაცია | სივრცეში ორიენტაცია |
|---|---|
| მალე, ცოტა ხანში, ამასობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ხნის შემდეგ, მეორე დღეს, მოულოდნელად, მაშინვე, ერთ წამში, იმ დროს ... როცა..., მაშინ... როცა..., ისევე სწრაფად როგორც ..., მაშინათვე, პირველად, საბოლოოდ ... | მეზობელ ქალაქში, ქალაქგარეთ, ერთ პატარა სოფელში, სადღაც შორს, ათიოდე მეტრში, ერთ კილომეტრში, იმ ადგილიდან შორს / ახლოს; იქ სადაც; ტყეში / ტყის პირას / ტყისკენ; ორ ნაბიჯში, -თან ახლოს / შორს... |

VII. გამოკვეთე შენი პოზიცია და მონიშნე ძირითადი ენობრივი საკითხები.

| პოზიცია | ენობრივი საკითხები |
|---|---|
| ა. ხარ მხოლოდ ავტორი;<br>ბ. ხარ ავტორიც და პერსონაჟიც;<br>გ. გამოკვეთე, მთავარი პერსონაჟი ხარ თუ არა;<br>დ. ხარ დედამიწელი თუ უცხოპლანეტელი | <u>იფიქრე:</u><br>დაგჭირდება თუ არა და სად I და II პირთა კომბინაციების გამოყენება;<br>სად და როგორ გამოიყენებ შეფასება-დამოკიდებულების გამოხატველ ლექსიკას;<br>სად და როდის გამოიყენებ სხვათა სიტყვებს (დიალოგში, მონოლოგში) და რა ფორმით (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი); |
| ა. გადმოსცემ, რა მოხდა ერთხელ წარსულში;<br>ბ. გადმოსცემ მიმდინარე მოვლენებს.<br>გ. გადმოსცემ სხვის მონაყოლს;<br>დ. ჰყვები უცნაურ სიზმარს;<br>ე. და ა.შ. | დაფიქრდი, რომელ დროში ჰყვები ამბავს და, შესაბამისად, იფიქრე, რომელი მწკრივის ფორმებს გამოიყენებ;<br>რა შემთხვევაში დაგჭირდება შესრულებული (ან შეუსრულებელი) მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ფორმის გამოყენება... |

VIII. *შეადგინე მოთხრობის გეგმა.*

**<u>რეკომენდაცია:</u>** საჭირო არ არის, სრული წინადადებების გამოყენება. მთავარია, თანამიმდევრულად ჩამოწერო ძირითადი მოვლენების (ეპიზოდების) მოკლე მონახაზი.

**ნიმუში:**

1. კაცს ურეკავენ. სასწრაფოდ უნდა მივიდეს ავადმყოფთან. შუაღამეა.
2. გზაში მანქანა ფუჭდება და ფეხით აგრძელებს გზას.
3. დაინახავს შემოვლით გზას და ა.შ.

IX. *გადახედე გეგმას და ჩაინიშნე, სად შეგიძლია გამოიყენო ბუნების/ამინდის აღწერა და რა როლს ითამაშებს ის მთლიან სიუჟეტში. მაგალითად:*

- პერსონაჟის განწყობის, ემოციის უკეთ გამოსაჩენად (მაგ., *თუ პერსონაჟი მშიშარაა, მის შიშს აძლიერებს მოულოდნელი ქარის ამოვარდნა; სადღაც უეცარი ხმაური, ფოთლების შრიალი და ა.შ.*);
- სიტუაციის დასაძაბად და, პირიქით, სიტუაციის განსამუხტად (*მოულოდნელად ამინდი აირია / დაწყნარდა; ქარი ამოვარდა / ჩადგა; თავსხმა დაიწყო...*)

X. გასაადვილებლად შეგიძლია, გამოიყენო მოთხრობის სქემაც, ნიმუშის მიხედვით.



XI. *სათაურის შერჩევა;*

სათაური შეგიძლია, შეარჩიო წერის პროცესშიც, თუმცა უკეთესი იქნება, თუ წერის დასრულების შემდეგ დაფიქრდები მასზე.

ეცადე, სათაური იყოს მარტივი და შეიცავდეს მოთხრობის მთავარ სათქმელს.

თემიდან და სიუჟეტიდან გამომდინარე, შეგიძლია, სათაურშივე ჩადო რაიმე ინტრიგა, მაგალითად: *ჩემი მარსიანელი მეგობარი; მოგზაურობა უცნაურ არსებებთან ერთად* და ა.შ.

XII. *დასასრული*

კარგად მოიფიქრე ფრაზა, რომლითაც მოთხრობა უნდა დაამთავრო.

**ნიმუში:**

- *როცა თვალი გაახილა (გავახილე), ისევ იქ იყო (ვიყავი), საიდანაც...*
- *იმ შემთხვევის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ...*
- *კაცი დიდხანს ფიქრობდა იმ ....*
- *ამ ამბავმა მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. მან მყარად გადაწყვიტა ...*

**1. გამოიყენე თქვენი სამუშაო ვარიანტები და შეადგინე მოთხრობა (სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 200).**

**დაიმახსოვრე!**

- პირველივე ფრაზა უნდა იყოს საინტერსო.
- თხრობას ჩაანაცვლე დიალოგი.
- აღწერის დროს გამოიყენე ხუთივე გრძნობა.
- ყურადღება მიაქციე მოვლენათა თანამიმდევრობას.
- სწორად შეარჩიე ენობრივი მასალა.

**1. გააცანით თქვენი ნაწერები ერთმანეთს. მასწავლებელთან ერთად გამოავლინეთ ყველაზე:**

- ორიგინალური მოთხრობა;
- სასაცილო მოთხრობა;
- საინტერესო მოთხრობა;
- ენობრივად გამართული მოთხრობა.

**2. გაეცანი სიტუაციას და შეასრულე დავალება.**

*ამ ადამიანებმა ჰოლანდიური კომპანიის მიერ გამოცხადებულ პროექტში – „მარსი ერთი“ – მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.*

*კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მოხალისეებმა წარადგინეს ავტობიოგრაფიები, საკუთარი დახასიათებები და დამატებით სხვა საინტერესო ინფორმაციები.*

ა. კარგად დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, შენი აზრით, საიდან არიან წარმოშობით, ვინ არიან პროფესიით და როგორები არიან ისინი? დაასაბუთე შენი ვარაუდები.



**უთე შმიდტი**



**ნიკოლას მეიერი**



**ჟორჟ რენო**

**ოსტაპ შევჩენკო**



**მარტა იენსენი**



**3. გაეცანი ინფორმაციებს და შეამოწმე შენი ვერსიები. მიუთითე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**4. დაუბრუნდი ინფორმაციებს მოხალისეთა შესახებ და შეასრულე დავალება.**

- ამ ხუთი მოხალისიდან მარსზე წასვლის შანსი მხოლოდ ორ მოხალისეს აქვს. კიდევ ერთხელ გაეცანი კომპანიის პირობებს და დაასახელე, შენი აზრით, რომელ ორს აქვს ყველაზე დიდი შანსი და რატომ? დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება.

**უთე შმიდტი** – 37 წ. გერმანიიდან.
ჰყავს მოხუცი მშობლები და ერთი ძმა.
პროფესიით ფსიქოლოგია. მუშაობს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წამყვან ფსიქოლოგად. აქვს კერძო კლინიკაც.
არის კომუნიკაბელური და მშვიდი. უყვარს კლასიკური მუსიკა. მარტივად შეუძლია პრობლემების გადაჭრა.
ვერ იტანს აგრესიულ და გაუწონასწორებელ ადამიანებს.
აქვს დახურული სივრცისადმი შიში.
ფიზიკურად ჯანმრთელია.

**ჟორჟ რენო** – 32 წ. ფრანგი. ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.
ოჯახი არ ჰყავს. გაიზარდა ბავშვთა სახლში. ამბობს, რომ იქ ცხოვრების დიდი გამოცდილება მიიღო.
ნაკლებად ენდობა ადამიანებს. უკან არასოდეს იხევს და უარსაც არაფერზე ამბობს. არავის და არაფრის ეშინია. შეუძლია, ნებისმიერ სიტუაციაში თავი გაიტანოს.
ხშირად ხვდება კონფლიქტებში იმის გამო, რომ უსამართლობას ვერ იტანს.
მხიარულია. უყვარს სპორტი.

**ოსტაპ შევჩენკო** – 28 წ. უკრაინელი.
ჰყავს მშობლები და ერთი შვილი, რომელიც დედასთან ცხოვრობს. ახალი ოჯახი არ ჰყავს.
არის პოლიციის კაპიტანი. აქვს სამი წლის მუშაობის გამოცდილება.
ყოფილი სპორტსმენია (თამაშობდა რაგბს ეროვნულ ნაკრებში). სპორტს ტრავმების გამო დაანება თავი.
ფიზიკურად ძლიერია. ამჟამად არაფერი აწუხებს. არ სვამს და არ ეწევა.
მიაჩნია, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს.

**მარტა იენსენი** – 29წ. ნორვეგიელი, ბერგენიდან. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ოსლოში.
მარტა ახალგაზრდა პერსპექტიული მედიკოსია. დაინტერესებულია კლონირებით და ჩართულია ახალ ექსპერიმენტებში.
შეუძლია, 24 საათის განმავლობაში იმუშაოს.
მომთხოვნია როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.
უყვარს სიცოცხლე და მისდევს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

**ნიკოლას მეიერი** – 39 წ. ტეხასის შტატიდან (აშშ). პროფესიით აგროტექნიკოსი. ითვლება ტეხასის შტატში მემცენარეობის ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგად.
რამდენიმე წლის წინ ნიკოლასს გარდაეცვალა მეუღლე. შვილები არ ჰყავს.
მეიერმა თავი დაანება საჯარო სამსახურს, შეიძინა მიწა და ხელი მიჰყო ფერმერობას.
უყვარს მიწის დამუშავება, ახალი მცენარეების გამოყვანა, ცხოველებთან ურთიერთობა და, საერთოდ, ბუნება.
თავისუფალ დროს ბევრს კითხულობს. აქვს განსხვავებული ინტერესები. ამ ბოლო დროს გატაცებულია უახლესი ტექნოლოგიების დაუფლებითა და უძველესი ცივილიზაციების კულტურის შესწავლით.

RVEULI_Done-11_Qartuli _ 168